პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.: რედაქტორის 14—76; მდივნის 10—68; ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ., განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- შჩეგოლიუტინს მიუსაჯეს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა.
- კუნძულ მადაგასკარზე გადაიარა ციკლონმა, რომელმაც სრულიად დაანგრია ქალაქი ტამატავა.
- ტენანმა შეადგინა ესტონეთის ახალი კაბინეტი.
- საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა პარიზში.

სამშაბათი, 8 მარტი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 53 (1808)

28 მარტს, გაიხსნება

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების
საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ყრილობის დღის წესრიგი:

1) ს ს.ს.რ. მთავრობის მოხსენება.
2) სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება
3) სასოფლო მეურნეობის ამოცანების შესახებ „
4) განათლების სახალხო კომისარიატის „
5) საქართველოს წითელი ჯარის შესახებ „
6) საქართველოს კონსტიტუციის დამტკიცება.
7. არჩევნები.
8. მიმდინარე საკითხები.

ს.ს. ცაკის მდივანი—ხ. თოდრია.

ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალებს

8 მარტის დღეს, ამ ათი წლის წინად, მშრომელი ქალები, მთელ მუშათა კლასთან ერთად, გამოვიდნენ ბრძოლაში განთავისუფლების გზაზე მდგარ შრომის ბრწყინვალე მომავლისათვის.

ამ შესანიშნავ წლის თავზე, მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც გამოხატავს მთელი ფედერაციის მუშებისა და გლეხების ნება-სურვილს, გიგზავნით თქვენ, ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალებს, თავის მხურვალე სალამს.

იმ მომენტიდან, როდესაც, საბჭოების წითელი დროშის ქვეშ, ძალთა მძლავრი დაჭიმვით მოიშორეთ საუკუნოებრივი ბორკილები, შემბოჭველი მონობა და თამამად და მედგრად მოუწოდეთ თქვენს საზღვარგარეთელ დამონებულ დებს საერთო ბრძოლისაკენ თავისუფლებისათვის, მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ბრძოლის საქმემ იწყო შეუჩერებელი განვითარება და სწრაფი ნაბიჯით წინსვლა.

ჯერ უნახავ სოციალური რევოლიუციის უძლიერესმა ქარიშხალმა, რომელმაც დაანგრია მშრომელი კაცობრიობის შემბოჭველი მონობის მუხრუჭები, მთელი ქვეყნის ქალებს გაუხსნა სოციალური და უფლებრივი თავისუფლების ფართე პერსპექტივები. საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალი აღმოსავლეთის და დასავლეთის დამონებული ქალისთვის გადაიქცა ნათელ შუქურად, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად, რომელიც უჩვენებს ბრძოლის გზას მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ. მაგრამ, თქვენს ამხანაგებთან მუშებთან ერთად თქვენს მიერ დაწყებული საქმე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, ჯერ კიდევ ძლიერია წარსულის მემკვიდრეობა ქალის ყოფა-ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ძალების დიდი დაჭიმვაა საჭირო, რომ საბოლოოდ იქნას დამსხვრეული ოჯახური, ყოფა-ცხოვრებითი მონობის ხუნდები და რომ განხორციელებულ იქნას ცხოვრებაში ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წამოყენებული ლოზუნგები. საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ-ქალებს უნდა ახსოვდეთ, რომ ქალთა განთავისუფლების საქმე, პირველ ყოვლისა, არის მათივე, თვით მშრომელი ქალის საქმე, და ამიტომ მათ უნდა შეამჭიდროვონ თავისი რიგები საბჭოების დროშის გარშემო. დაამტკიცეთ, რომ თქვენ ნამდვილად ხართ იმედის ღირსი, იმ იმედის, რომელსაც ამყარებენ თქვენზე თქვენი დები, გახდით და იყავით შემდეგშიაც მაგალითი უცხო ქვეყნების დამონებულ ქალებისათვის. მოაწყვეთ დედობისა და ბავშვობის დაცვა, ხელი შეუწყვეთ საბავშვო ბაღებისა და სახლების აღორძინებას, საწარმოო შრომის არტელების და საზოგადოებრივ სასადილოების გამრავლებას ამიერ-კავკასიის სულ მიყრუებულ კუთხეებშიაც კი, მედგრად იარეთ საბჭოებში, მხნე მონაწილეობა მიიღეთ საბჭოთა მშენებლობაში დაუახლოვდით კოოპერაციას, ააშენეთ ახალი სოფელი.

დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ხელახლა თავს იყრიან მტაცებლური იმპერიალიზმის შავი ღრუბლები, დაე, ქალთა რიგებში გაისმას ძახილი— **ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ქალების განთავისუფლებას, გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას და, დაე, მოჰყვეს მას მსოფლიო ოქტომბერი!**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მიხა ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—
ა. შავერდოვი.

სრულიად საქართველოს ყველა მუშა და გლეხ-ქალებს

ამხანაგებო, მშრომელო ქალებო! სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალეთ მოგესალმებათ თქვენ დღევანდელ დღეს ქალთა საერთაშორისო ყოველწლიურ დღესასწაულის გამო! თექვსმეტი წელიწადი შესრულდა, რაც ყველა ქვეყნის მუშა-ქალები დღესასწაულობენ **8 მარტს** ნიშნად თავისი განთავისუფლებისა ყოველგვარი მონობისა, ჩაგვრისა, დამცირებისა და შევიწროებისაგან. რაც დრო გადის, ეს დღესასწაული სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობს მით, რომ მასში სულ უფრო და უფრო მეტი მუშა-ქალები იღებენ მონაწილეობას. 8 მარტის დღესასწაულის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ წლითი-წლობამდე აღნუსხული უნდა იქნას მუშა-ქალების საერთაშორისო მოძრაობის მიღწევები და აგრეთვე მისი ნაკლი და სუსტი მხარეები. ამ დღეს ხდება **მუშა-ქალების რევოლიუციონურ რაზმების დათვალიერება.** ამნაირად, თქვენ ყოველ წლივ 8 მარტს ჯამს უკეთებთ იმას, რაც გაკეთებულა უკანასკნელი წლის განმავლობაში და იმავე დროს ითვალისწინებთ იმასაც, რაც უნდა გაკეთდეს მახლობელ მომავალში.

ამ რიგად მუშა-მამაკაცების რევოლიუციონურ რაზმებს გვერდში უდგებიან მუშა-ქალების რევოლიუციონური რაზმებიც, — და ეს ორი შტო ერთდება ერთ მდინარეში, რომელსაც **მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა ეწოდება.**

თუ თქვენ გადაავლებთ თვალს იმას, თუ სხვადასხვა ქვეყნებში როგორ და რა პირობებში ხდება ამ დღესასწაულის ჩატარება, თქვენ დაინახავთ, რომ დღესდღეობით 8 მარტის დღესასწაულის აღნიშვნა ყველა ქვეყნებში **ერთნაირად არ ხდება.** დედამიწის ერთ ნაწილში მას აქვს მართლაც ნამდვილი დღესასწაულის და ზეიმის ხასიათი, ხოლო მის მეორე ნაწილში კი ქალთა საერთაშორისო დღე ჯერ კიდევ ტარდება უსასტიკესი კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ეს წარმოდგება იქიდან, რომ მთელი კაცობრიობა დღეს ორ არათანასწორ ნაწილად იყოფა: მის ერთ ნაწილში, **საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში,** ე. ი. იქ, სადაც დამყარებულია **მუშათა კლასის თავისუფლება,** 8 მარტის დღესასწაული მართლაც ყველა მშრომელ ქალთა ზეიმს წარმოადგენს, ვინაიდან აქ მუშა-ქალებს გლეხ-ქალებთან ერთად უფლების მხრივ უკვე მოპოვებული აქვთ **სრული თანასწორობა.**

სულ სხვას ვხედავთ ჩვენ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში, ე. ი. **ბურჟუაზიულ ქვეყნებში,** სადაც მუშა-ქალები ჯერ კიდევ მუშა-მამაკაცებთან ერთად **კაპიტალის უღელქვეშ იტანჯებიან,** და კიდევ მეტი: ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშა-ქალები დღემდის განიცდიან მონობას, ე. ი. ისინი განიცდიან **ორგვარ ჩაგვრას,** ერთი მხრივ, როგორც ქალები და მეორე მხრივ, როგორც **მუშები.** გაიხსენეთ, თუ რას ამბობდა ამ განსხვავების შესახებ **მუშათა კლასის მსოფლიო ბელადი—ამხ. ლენინი.** ჯერ კიდევ ამ 7—8 წლის წინეთ ერთ თავის მოხსენებაში ქალთა კონფერენციაზე: **„ჩვენ ახლა შეგვიძლია — ამბობდა იგი,—სრულის სიამაყით და სრულებით გაუზვიადებლად ვსთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთის გარდა** (იმ დროს არ არსებობდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი), **ჯერ არაა სხვა რომელიმე ქვეყანა დედამიწაზე, სადაც არსებობდეს დედაკაცების სრული თანასწორობა და სადაც დედაკაცი არ იყოს თავის მდგომარეობით დამცირებული და შეურაცხყოფილიო“.** სამწუხაროთ, ეს სიტყვები დღესაც სრულ ჭეშმარიტებას შეიცავენ. კიდევ მეტი: მას შემდეგ რაც ეს სიტყვები იქმნა წარმოთქმული, ამ განსხვავებამ საბჭოთა რესპუბლიკებისა და ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის ერთი-ორათ იმატა, რადგანაც საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელ ქალთა მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმე შეუჩერებლად და ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, მაშინ, როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშა-ქალების მდგომარეობა როგორც საერთოდ მთელი მუშათა კლასის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უკან მიდის და უარესდება. რაც დრო გადის, ბრძოლა ერთი მხრით მუშებსა და მეორე მხრით, იმათ მყვლეფელებსა და მძარცველებს (მექარხნეებსა და მემამულეებს) შორის უკიდურესათ მწვავდება. თუ თქვენ რამდენიმედ მაინც გადაავლებთ თვალს ევროპის და ამერიკის ქვეყნებში შექმნილ მდგომარეობას, ადვილად დაინახავთ, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოების მხრით მუშათა კლასის შევიწროება საერთოდ ამ უკანასკნელ დროს უმაღლეს წერტილს აღწევს. მუშებს უმცირებენ ხელფასს და უდიდებენ სამუშაო დროს. ამავე დროს ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობები მიმართავენ მუშათა კლასის წინააღმდეგ უსასტიკეს რეპრესიებს. ისინი ათასობით და ათიათასობით ატუსაღებენ, აგზავნიან კატორღაში, ან და პირდაპირ კლავენ მუშათა კლასის საუკეთესო მებრძოლთ და მის ინტერესების დამცველთ. ამჟამად „განათლებული“ ევროპის და ამერიკის სახელმწიფოების ციხეები ველარ იტევენ პოლიტიკურ ტუსაღებს, და მუშების სისხლით დამთვრალი და გაავთვებული ბურჟუაზია მუშათა რევოლიუციის საფრთხით უკიდურესათ დაშინებული, რევოლიუციონური მოძრაობის მოთავეთ გზავნის შორს სადღაც დიდ ოკეანეს გადაკარგულ კუნძულებზე სატანჯველად. მუშები თავის მხრით იძულებული ხდებიან პასუხი გასცენ ბურჟუაზიის ასეთ ჯალათურ პოლიტიკას **გაფიცვებით, დემონსტრაციებით და ალაგ-ალაგ აჯანყებებითაც.** მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზია უსასტიკეს ზომებს ღებულობს მუშათა რევოლიუციონური გამოსვლების წინააღმდეგ, ეს გამოსვლები არა თუ არ კლებულობენ, არამედ ისინი სულ უფრო და უფრო ხშირდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მზადდება სოციალისტური რევოლიუცია. ბურჟუაზია ამას გრძნობს და იგი უკანასკნელ ღონისძიებებს მიმართავს, რომ თავი დაიხსნას დაღუპვისაგან.

ყველაზე უდიდეს საფრთხეს იგი ხედავს საბჭოთა რესპუბლიკების არსებობაში; ყველა თავის უბედურების მიზეზს ბურჟუაზია ხედავს საბჭოთა ხელისუფლებაში და კომუნისტურ პარტიაში. ამიტომ, პირველ რიგში იგი ემზადება საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კომუნისტური პარტიის მოსპობისათვის. მას შეუძლია ეს მხოლოდ ომის საშუალებით, და აი იგი ამ უკანასკნელ დროს აშკარად ემზადება ამ ომისათვის. მას არაფრად მიაჩნია მილიონობით მუშების და გლეხების გაწყვეტა, ოღონდ კი ისევ შეინარჩუნოს ბატონობა მუშათა კლასზე.

აი, ასეთია ამჟამად მდგომარეობა უცხოეთში, ე. ი. იქ, სადაც კაპიტალის ბატონობაა. გარდა იმისა, რომ იქ ბურჟუაზიამ პირდაპირ ჯოჯოხეთურ პირობებში ჩააყენა მშრომელი ხალხი, იქ დღეს მუშათა კლასი კვლავ იმყოფება **ომის უშუალო საშიშროების წინაშე.** ასეთ პირობებში უხდებათ უცხოეთში თქვენს დებს და დედებს, მუშა-ქალებს, 8 მარტის დღესასწაულის ჩატარებას, ამიტომ დღევანდელ დღეს იქ ექნება **უფრო ბრძოლის ხასიათი,** ვინემ დღესასწაულის, იქ მუშათა კლასს და, მაშასადამე, მუშა-ქალებსაც არ შეუძლია ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად არ მოუწოდონ თავის რიგებს: **ძირს ბურჟუაზია და ბურჟუაზიული წესწყობილება, ძირს ომი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ! გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას, გაუმარჯოს ევროპის და ამერიკის მუშების დაძმობილებას და შეკავშირებას საბჭოთა რესპუბლიკების მუშებთან და გლეხებთან!**

აი, რა ლოზუნგებით გამოვლენ დღეს იქ სადემონსტრაციოთ ჩვენი დები და დედები, თქვენი ამხანაგები — მუშა-ქალები.

და უნდა იცოდეთ, რომ ეს გამოსვლები მათ იაფად არ დაუჯდებათ, და ვინ იცის, შეიძლება სისხლიც კი დაიღვაროს იქ ამისათვის.

სრულებით სხვას ვხედავთ ჩვენში, ე. ი. იქ, სადაც **არსებობს საბჭოთა ხელისუფლება.** აი, დღეს აქ ნამდვილად ზეიმობენ მუშა-ქალები და გლეხ-ქალები. აბა შეხედეთ, თუ როგორ თავისუფლად იკრიბებიან და დარაზმული წითელ დროშების ქვეშ ეფინებიან ქუჩებში. ისინი უკვე აღარ არიან თავჩაქინდრულები, არამედ წელში გამართულები ამაყად გამოიყურებიან. იმათ სახეს ემჩნევა შვება და სიხარული.

ამხანაგებო, მშრომელო ქალებო! მართალია, ჩვენ გვაქვს დღეს ზეიმისათვის სრული უფლება, მაგრამ ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მართალია, მშრომელი ქალი ჩვენში კანონმდებლობით სრულებით გათანასწორებულია მშრომელ მამაკაცთან, მაგრამ ცხოვრებაში ჯერ ეს კიდევ არაა სავსებით გატარებული. ჩვენ დღეს ვუკეთებთ ჯამს იმას, თუ რა გაკეთდა ამ მხრით გასული წლის განმავლობაში. **ჩვენ ვანგარიშობთ თვითეულ ნაბიჯს, რომელიც წინ იქნა გადადგმული.** ჩვენ ვანგარიშობთ, თუ რამდენმა ქალმა მიიღო მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში **შარშან და წელს,** თუ რამდენი მუშა-ქალი ან გლეხი-ქალი იქნა გაყვანილი საბჭოებში და აღმასკომებში, თუ რამდენი ქალია ჩაბმული კოოპერაციაში, საბჭოთა დაწესებულებებში, თუ როგორ მიმდინარეობს ქალთა პროფტექნიკური სწავლა-განათლება და სხ.

საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია თვითონ განუწყვეტლივ ავალებენ ყველა თავის ორგანოებს რაც შეიძლება მეტი მუშა ქალი და გლეხი-ქალის ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობაში და მასთან სასტიკად ადევნებენ თვალს, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში ეს დავალება. წარმოიდგინეთ, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა. ჩვენი უსახსრობა და სილატაკე, ჩვენი ჩამორჩენილობა და უკულტურობა, ძველი ტრადიცია და ჩვეულება, — ყველაფერი ეს ეღობება წინ მუშა-ქალის და გლეხი-ქალის ჩაბმას სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებათა, ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში ჩვენ მართლაც დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. მაგრამ ეს მიღწევები ჩვენ ოდნავაც არ გვაკმაყოფილებს და ჩვენ ამას ვამბობთ ყველას გასაგონად. ყველაზე უმთავრესი და სამწუხაროდ, რასაც ჩვენ აქ ვუსვამთ ხაზს, მდგომარეობს იმაში, რომ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე უპირველეს ყოვლისა **თვით ქალებმა უნდა იკისრონ.** ამიტომ დაარსებულია **ქალთა განყოფილება კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან** და **ქალთა კომისიები** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან. ამათ დავალებული აქვთ ქალთა ფართო მასების თავის ირგვლივ შემოკრება და იმათი ჩაბმა აღმშენებლობაში. მხოლოდ მუშა-ქალების და გლეხ-ქალების ფართოდ ჩაბმას აღმშენებლობაში ძალუძს დააჩქაროს სოციალისტური აღმშენებლობა.

ყველა ჩვენი უდიდესი მასწავლებლები, **მარქსი, ენგელსი, ლენინი** ქალს უდიდეს როლს ანიჭებდენ სოციალიზმის დამყარებაში. და მართლაც, საბჭოთა აღმშენებლობაში **ქალები უკვე თამაშობენ საკმარისად დიდ როლს.** განა ჩვენში არის დღეს ისეთი დარგი, სადაც ქალი არ მუშაობდეს, იქნება ეს კანონმდებლობა, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, ტეხნიკა თუ სხვა რაიმე. არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში რაგინდ დაწინაურებული ის არ უნდა იყოს, ქალს ოცნებაშიაც არ შეუძლია წარმოიდგინოს ის, რაც უკვე განხორციელებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩვენში.

აქედან აშკარაა, თუ რას ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლება მუშათა კლასისათვის საერთოდ და მშრომელ ქალებისათვის კერძოდ.

ჩვენმა ქალებმა უნდა გაიგონ ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სათავეში უდგას **კომუნისტური პარტია,** რომელიც ხელმძღვანელობს მას თავიდანვე. კომუნისტური პარტია ერთად-ერთი პარტიაა, რომელიც მტკიცედ ემსახურება მშრომელ მასების ინტერესებს; არ არის სხვა რომელიმე პარტია, რომელიც ასე ერთგულად იცავდეს მშრომელ ხალხს. დღეს, როცა მშრომელი ქალები ჩამწკრივებულან და სოციალიზმის წითელი დროშებით გამოდიან ქუჩებში და მოედნებზე, რათა მოუწოდონ ველას **საერთაშორისო სოლიდარობისა, ძმობისა და ერთობისაკენ,**—ამას ჩვენ სავსებით უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტურ-ბოლშევიკურ პარტიას. ამიტომ, ერთი უპირველეს ლოზუნგთაგანი 8 მარტის დღესასწაულის დროს უნდა იყოს ლოზუნგი **მშრომელ ქალთა ფართო მასების ნდობისა კომუნისტურ პარტიისადმი და მათი შემჭიდროებისა მის გარშემო.**

საბჭოთა ხელისუფლების და მთელი მუშათა კლასის ყველაზე უმტკიცეს ბურჯს წარმოადგენს ჩვენი **სახელოვანი მუშათა და გლეხთა წითელი ჯარი,** რომლის ცხრა წლის არსებობა ჩვენ ამას წინად ვიდღესასწაულეთ. განსაკუთრებით ძვირფასია წითელი ჯარი მშრომელ ქალთათვის.

ჩვენი საბჭოთა ქვეყანა გარშემორტყმულია ბურჟუაზიული მტაცებლებით და ავაზაკებით, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან დაამხონ და მოსპონ საბჭოთა ხელისუფლება. თქვენ იცით, რომ განსაკუთრებით დიდია ეს საფრთხე დღევანდელ მომენტში, როცა უცხოეთის კაპიტალისტებს სწადიათ ჩვენზე თავდასხმა. ამიტომ 8 მარტს მშრომელ ქალების ერთი ლოზუნგთაგანი უნდა იყოს მათი **მზრუნველობის გაორკეცება წითელი ჯარისადმი** და ყოველგვარი დახმარების გაწევა მისთვის თუ ბედმა კვლავ გვარგუნა ჩვენ მტრების მხრით ომის ჩვენ თავზე დატეხა, თქვენ უნდა დასდვათ ფიცი, რომ ყოველივე გასაჭირის დროს თქვენ ერთად იქნებით **თქვენ ძმებთან — წითელარმიელებთან** და უკლებლად გაიზიარებთ ყოველივე მათ ხვედრს. ჩვენი დების და დედების სიტყვას და მით უმეტეს იმათ საზეიმო ფიცს მეტად გამამხნევებელი ძალა ექნება. **მაშ გაუმარჯოს წითელ ჯარს!**

ამხანაგებო, მშრომელო ქალებო!

8 მარტი თქვენი საზეიმო დღეა და თქვენ დღეს მართლაც ზეიმობთ. თქვენ დღეს ანგარიშს უკეთებთ იმას, რაც გაკეთდა ამ ერთი წლის განმავლობაში, და იმასაც, რაც უნდა გაკეთებულიყო და ვერ გაკეთდა. დეე ოდნავადაც ნუ იქნება იმის გაზვიადება, რაც გაკეთდა! დეე ნუ დაიფარება ის ნაკლიც, რაც ჩვენ გვაქვს.

ჩვენ ეს ნუ შეგვაშინებს. პირიქით, ჩვენ ნაკლულოვანებათა გამოაშკარავება უფრო გაგვიადვილებს იმათ თავიდან აცილებას. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თქვენ შედარებით წარსულთან უდიდესი მიღწევები გაქვთ, რისთვისაც თქვენ შემოგნატრიან თქვენი უცხოელი ამხანაგები, თქვენი უცხოელი დები და დედები, მაგრამ **ამას მიაღწიეთ თქვენ ოქტომბრის რევოლიუციის საშუალებით და საბჭოთა ხელისუფლების შეოხებით. არ უღალატოთ ოქტომბრის რევოლიუციას და მთელი თავისი ძალღონით დაიცავით საბჭოთა ხელისუფლება, თუ ოდესმე მას განსაცდელი დაატყდა თავს დეე იყოს თქვენთვის ლენინიზმი გზის მაჩვენებლად!**

ძირს ბურჟუაზიული მტარვალობა და ბურჟუაზიის დიქტატურა!

გაუმარჯოს მშრომელთა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს — 8 მარტს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ქალთა დღე

(1927 წლის 8 მარტი)

ძვირფასო ამხანაგებო, — მრავალტომოვან და მრავალეროვან ამიერ-კავკასიის მუშა, გლეხ და მშრომელო ქალებო, დადგა თქვენი დღე —8 მარტი — ქალთა დღე, დღე მთელი მშრომელი კაცობრიობის უდიდესი და მნიშვნელოვანი ნაწილის დაზვერვისა და მობილიზაციის. კაცობრიობის ეს ნაწილი უხსოვარ დროიდან — ჯერ კიდევ წინაისტორიულ პერიოდიდან — დედამიწის ყველა ერების ოჯახში და საზოგადოებაში განიცდიდა მონურ მდგომარეობას. „ძლიერის უფლების“ საყოველთაო „მარადიული კოდექსის“ ძალით, ის მოკლებული იყო საკუთრების უფლებას, ის არ სარგებლობდა მამაკაცთან თანასწორი პირადი თავისუფლებით. მასზე ბუნებრივად „დამტკიცებული“ იყო მხოლოდ ერთი „უფლება“—კაცობრიობის ურიცხვს შთამომავლობათა შობა და კვება.

რასაკვირველია, სოციალ-ეკონომიურ და, მაშასადამე, წოდებრივ-კლასიური მხრივ მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება მრავალ ხალხთა მამაკაცებიც ქვეყნიერებაზე. მაგრამ ქალი უფრო მეტად, ერთი ორად უუფლებო იყო: მას კისერზე აწვა ჯერ ერთი, მამაკაცებთან ერთად კლასიურ-წოდებრივი მონობა და, მეორე, ოჯახური მონობა, ასე ვსთქვათ, „თავისივე“ მამაკაცისაგან.

რევოლიუციამ, სადაც კი ის მოხდა. თანდათან გაანთავისუფლა და ანთავისუფლებს ქალს მონურ მდგომარეობისაგან. ქალის განთავისუფლებას განსაკუთრებით ხელი შეუწყვეს ჩვენმა რევოლიუციებმა — 1905 წლის და შემდეგ 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიუციამ. **მაგრამ უმთავრესად დიადმა ოქტომბრის რევოლიუციამ საბოლოოდ დაამსხვრია ქალის მონობის ბორკილები და გაანთავისუფლა ისინი.** ის აბსოლიუტურად თავისუფალი და თანასწორუფლებიანია მოქალაქეობრივ-პოლიტიკური-ეკონომიურის მხრივ საბჭოების დიად მუშურ-გლეხურ ქვეყნებში, სადაც მეფობს დიქტატურა პროლეტარიატისა, ურყევლად დაკავშირებული მთელ მშრომელ გლეხობასთან, და სადაც საბჭოთა ხელისუფლებას ხელმძღვანელობს ლენინის დიადი პარტია —საკ. კომ. პარტია (ბ).

მაგრამ ქალს აჩნია ურიცხვ თაობათა მრავალსაუკუნოებრივი ორმაგი მონობის ღრმა კვალი. ამას ზედ ერთვის მისი მონობის — სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ-იურიდიულ მონობის ძირითადი მიზეზი — კაცობრიობის „მშვენიერი“ ნაწილის სპეციფიური როლი —როლი ჩვენი შთამომავლობის გამზაყოფიერებლისა და აღმზრდელის... ეს გარემოება კი ყველაზე მეტად ჰბორკავს ქალის მოძრაობას და უდიდეს განვითარებას ფიზიკურ-ფსიქიური მხრივ, რასაკვირველია, მამაკაცებთან შედარებით... ის უფრო „სუსტი“, „კონსერვატიულია“, და უმეტეს შემთხვევაში გაბრუებული რელიგიით და ყოველგვარი ცრუმორწმუნეობით.

აი, სწორედ კაცობრიობის ამ უდიდესი მარაგის საერთო—პროლეტარულ რევოლიუციონურ მოძრაობისაგან ჩამორჩენილი ნაწილის დასაწინაურებლად ყოველ წლობით ინიშნება სპეციალური დღე — 8 მარტი იმ მიზნით, რომ შემოწმებულ იქნას ქალებს შორის ახალი რევოლიუციონური კადრები, რომ ეს კადრები გამრავლებულ იქნან მომავალში

* * *

მუშა და გლეხ-ქალებო,—ჩვენი მრავალტომოვანი და მრავალეროვანი საბჭოთა ამიერ-კავკასიის თურქო, სომეხო, ქართველო, ოსო, აჭარელო, აფხაზო და სხვა მშრომელ-ქალებო, — თქვენ, ისევე როგორც ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენ მშრომელთ, ბედი გეწიათ: თქვენ აღარ გჭირდებათ ბრძოლა აღარც მეფის რეჟიმთან, აღარც ბურჟუაზიულ-კლასიურ რეჟიმთან, ისინი განადგურებული არიან... მაგრამ თქვენ მუშურ-გლეხური ქვეყნის მემკვიდრეობითი ჩამორჩენილობასთან ერთად, ხართ მშრომელთა ყველაზე ჩამორჩენილი მასა როგორც კულტურული განვითარების, ისე კლასიური შეგნების მხრივ... თქვენ არ გიჭირავთ სათანადო და შესაფერისი ადგილი ახალი წყობილების შექმნაში, — სოციალიზმის მშენებლობაში, არა აქვს ადგილი ქალების მასიური მონაწილეობას არც ერთ ორგანიზაციაში, — არც პარტიაში, არც პროფკავშირებში, არც კოოპერაციაში, არც საბჭოებში და არც სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ მუშურ-გლეხურ კოლექტივებში. უნდა შეიგნოთ ეს და მომავალში შეასრულოთ თქვენი უდიდესი რევოლიუციონური მოვალეობა —მეტი ყურადღებით და ინტერესით მოეპყარით თქვენს დღეს — 8 მარტს. ამხანაგო მუშა და გლეხ-ქალებო, თქვენგან უფრო აქტიურნო და შეგნებულნო, შეიჭერით ქალაქის მუშა ქალების და სოფლის გლეხ-ქალების მასაში... გაარჩიეთ და განიხილეთ მათთან ერთად მუშურ-გლეხური ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოების ხელისუფლების ყველა საკითხები და ყველა ამოცანები,—პროფმშენებლობის, კოოპერაციის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სასოფლო მეურნეობის ტრაქტორიზაციის და მექანიზაციის, როგორც საგასაცემო. ისე საცალო ფასების დაკლებისა, ამასთან დაკავშირებით პროდუქციის თვითღირებულების გაიაფების და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების, მეურნეობისა და საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაციის, ზედმეტი, ზედნართი და ზედნადები ფასების გაუქმების და, საერთოდ, მომჭირნეობის რეჟიმის სასტიკად და უაღრესად გონივრულად განხორციელების საკითხები.

ამ გზით აღმოიფხვრება წყეული საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი ყველა ჩვენს აპარატში, როგორც საბჭოთა, ისე სამეურნეო, სავაჭრო და სხ. აპარატში.

შეიგნეთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ეს საერთო, სამოქალაქო და თქვენი ამოცანები მამაკაცებთან ერთად, და ამ დღეს დარაზმეთ მუშა და გლეხ-ქალთა მეტი მასები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ მშრომელთა რევოლიუციონურ-კლასიური მოვალეობა, რომ საერთო ძალ-ღონით, ქალაქთან სოფლის კავშირის, მრეწველობის კავშირის მიწათმოქმედებესთან, მუშისა და გლეხის კავშირის ნიადაგზე დავაგროვოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტები, რომ ვაშენოთ და აუცილებლივ ავაშენოთ სოციალიზმი. ამასთან ერთად მხარში ამოუდექით მამაკაცებს, დაიჭირეთ თვალი ფხიზლად და ყური მახვილად საბჭოთა ხელისუფლების მიმართ — მოღალატე მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატისტების და მათ დამქირავებელთა — საერთაშორისო კაპიტალისტების, იმპერიალისტების მიმართ, ბ-ნ ბურჟუების, ჩერჩილების, პილსუდსკების პოლიტიკანების მიმართ, რომლებიც გაცოფებული არიან სიბრაზისაგან ჩვენი მიღწევების გამო სოციალიზმის მშენებლობაში, რომლებიც ყოველდღე მახეს გვიგებენ და სცდილობენ ჩვენზე თავდასხმას, თავდასხმას საბჭოების ქვეყანაზე, მუშებისა და გლეხების პირველ რესპუბლიკაზე მთელს მსოფლიოში, რათა ამით შეაფერხონ სოციალიზმის მშენებლობა დედამიწის ერთმეექვსედ ნაწილზე და მოსპონ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების საფრთხე მსოფლიოს დანარჩენ ხუთ-მეექვსედ ნაწილში.

ჩვენ თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის მშრომელო ქალებო, დიადი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად, ვაშენებთ რა სოციალიზმს საბჭოთა ქვეყნის შიგნით და ფხიზლად ვიყურებით რა როგორც დასავლეთისაკენ, ისე აღმოსავლეთისაკენ, ვადევნებთ რა თვალს როგორც ჩვენს მტრებს, ისე მოყვარეებს, ჩვენს ბრწყინვალე წითელარმიასთან ერთად მტკიცედ დაუხვდებით გაცოფებულ მტერს, რომელიც გაბედავს ხელის შეშლას სოციალიზმის ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობისთვის... თქვენი დების,—როგორც უფროს, ისე უმცროს დების,—ჩაბმა ამ დღეს, — 8 მარტის დღეს,—სახელმწიფოებრივ მმართველობაში და სოციალიზმის მშენებლობაში თქვენს ძმებთან — მამაკაცებთან ერთად,—ეს არის თქვენი პირდაპირი და უმშვენიერესი მოვალეობა, თქვენს მშვენიერ მოვალეობა-ამოცანათაგან უმშვენიერესი მოვალეობა და ამოცანა... მამაკაცებთან ერთად იბრძოლეთ სოფლად — კულაკების და ქალაქად — ნეპმანების ხროვის წინააღმდეგ მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ჩემი მხურვალე სალამი თქვენი რევოლიუციონური დღესასწაულის დღეს, და გულწრფელი სურვილი, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირში საბჭოთა ხელისუფლების მე-10 წლისთავზე ამიერ-კავკასიის ყველა თურქ, სომეხ, ქართველ და დანარჩენ მშრომელ-ქალებმა მტკიცედ და მხნედ მოიშორონ ჩადრასთან ერთად, რელიგიური და სხვა ცრუმორწმუნეობა, და მხარში ამოუდგენ მამაკაცებს სოციალიზმის მშენებლობაში, რომ ამით განხორციელებულ იქნას დიდი ბელადის, საყვარელი ილიჩის დაუვიწყარი ლენინის აღთქმა, რომ „მზარეულ ქალსაც შეეძლოს სახელმწიფოს მმართვაო“.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალს, ქალთა დღეს—8 მარტს!

გაუმარჯოს თქვენს მასიურ გარევოლიუციონერებას და მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობაში!

გაუმარჯოს რევოლიუციის ხელმძღვანელს — საკ. კომ. პარტიას (ბ), ლენინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს კომინტერნს — საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ბელადს!

გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას!

ძირს მტაცებელი — იმპერიალისტები!

ძირს ომი!

ძირს კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს კომუნიზმს, რევოლიუციონურ მარქსიზმს, ლენინიზმს!

ამიერ-კავკასიის ყველა მუშა და გლეხ-ქალებო, გაჰყევით ლენინს!

მიხა ცხაკაია.

გერმანია ნეიტრალიტეტს იცავს ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულებაში

კანტონის ჯარები შანხაის უახლოვდებიან

რეაქციონური ძალები სტოვებენ შანხაის.—შეტაკება უ-პეი-ფუს ჯარისკაცებსა და მუკდენელებს შორის

შანხაიში მზადდება საყოველთაო გაფიცვა

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

გამოძახილი სამხრეთ-სლავიაში.

ვენა, 6 მარტი. ეხება რა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობას, ზაგრების დემოკრატიული გაზეთი „ნოვოსტი“ სწერს:

„ეხლა ძნელია იმის თქმა, თუ როგორ დამთავრდება ინგლის-საბჭოთა კავშირის ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს რევანშთან საბჭოთა კავშირის მხრივ, ვინაიდან ბოლშევიკები საკმაოდ გამოცდილები არიან იმისათვის, რომ კანტონის არმია თავიანთ მიზნებისათვის გამოიყენონ.

სამხრეთ-სლავიამ საგარეო საქმეებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს: ჩვენ არ ვიცით, როდის და რა პირობებში ჩაგვითრევენ შესაძლო ომში საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის“ (ადს).

„ინგლისი ნიადაგს ამზადებს ანტისაბჭოთა ომისათვის“.

ვენა, 6 მარტი. ჰუნგრელთა უმცირესობის ორგანო „კოლეტი უიშაგ“, რომელიც გამოდის კლაუზენბურგში, ათავსებს მოწინავე წერილს სათაურით „ინგლისი ნიადაგს ამზადებს ანტისაბჭოთა ომისათვის“.—ახლო მომავალში, — სწერს გაზეთი,—ინგლის-საბჭოთა ომს არ უნდა მოველოდეთ, მაგრამ ეხლანდელი კონფლიქტი აუცილებლად გამოიწვევს შეტაკებას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც ჰქმნის მსოფლიო ომის საფრთხეს. აღნიშნავს რა ინგლისის აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, გაზეთი მიუთითებს ინგლისის დამოკიდებულების შეცვლაზე პოლონეთის მიმართ, რომელიც, გაზეთის აზრით, ანტისაბჭოთა ფრონტის სათავეში ექცევა.

— ინგლისმა,—სწერს გაზეთი,—ხელი შეუშალა საგარანტიო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირსა და განაპირა სახელმწიფოებს შორის. მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ შეწყდა სწორედ კანტონის ჯარების ძლევამოსილ წინსვლის მომენტში“ (ადს).

ლოიდ-ჯორჯი მოლაპარაკების მოშლის

ვენა, 6 მარტი. ვენის გაზეთ „ნეიე ფრეიე პრეს“-ში გამოქვეყნებულია ლოიდ-ჯორჯის ვრცელი წერილი, რომელშიაც ეს უკანასკნელი აცხადებს: „ნოტა არ გამოიწვევდა რაიმე ზიანს, ის რომ არ თავდებოდეს უგუნური მუქარით არა მარტო სავაჭრო, არამედ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, რამაც ნოტას ულტიმატუმის სახე მისცა. **საბჭოთა საპასუხო ნოტის ბოლო ნაწილი მოწმობს საბჭოთა მთავრობის აშკარა სურვილს აიცდინოს ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობა.** ეს გარემოება საშუალებას აძლევს ინგლისის მთავრობას ხელოვნური ღირსებით დაიხსნას ნაპრალის პირისაგან“ (ადს).

ჩემბერლენის ხრიკები

ბერლინი, 7 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს სესიის გახსნის გამო ჟენევაში ჩავიდენ ბრიანი, ჩემბერლენი, ვანდერველდე, შტრეზემანი და ზალესკი.

მოლაპარაკება პარიზში 5 მარტს ჩემბერლენსა და ბრიანს შორის ნათელს ფენს მომავალ საიდუმლო მოლაპარაკებას ჟენევაში. პრესის ერთსულოვანი ცნობით, ჩემბერლენისა და ბრიანის შეხვედრის დროს განხილულ იქნა მდგომარეობა ჩინეთში და აგრეთვე უმთავრესად საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.

გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ჩემბერლენი აშკარად სცდილობს ევროპის დიდი სახელმწიფოები ჩააბას საერთო მოქმედებაში საბჭოთა კავშირის დიპლომატიური და ეკონომიური იზოლიაციის განხორციელების მიზნით. ჩემბერლენის ბრიანთან უკანასკნელი მოლაპარაკების უმთავრესი მიზანი იყო საფრანგეთის თანამშრომლობის უზრუნველყოფა ამ საქმეში. გერმანიის პრესა ხაზს უსვამს, რომ ლონდონსა და პარიზს ესმით, რომ ბოიკოტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვერ განხორციელდება გერმანიის დაუხმარებლად. აქედან—გაძლიერებული ზეგავლენა გერმანიაზე, რომ მიაღწიონ მის მოწყვეტას საბჭოთა კავშირისაგან. ეს ზეგავლენა ნათელ გამოხატულებას პოულობს ცდაში იკისრონ შუამავლობა გერმანიისა და პოლონეთს შორის, რომელთა მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, შეწყდა. ინგლისი ხაზს უსვამს, რომ გერმანია დასთანხმდა შეიქნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეკონომიური ომის ფრონტი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. გერმანიის პრესა დაჟინებით უსვამს ხაზს, რომ გერმანია ხელს არ იღებს ნეიტრალიტეტზე და უნდა განაგრძოს ლოკარნოს და საბჭოთა კავშირთან ბერლინში დადებული ხელშეკრულების პოლიტიკა (ადს).

კანტონის ჯარები შანხაისთან

შანხაი ახალი საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში

ნიუ-იორკი, 6 მარტი. ეროვნული ჯარები ენერგიულად მიიწევენ სუნ-ჩუუსაკენ (70 კილომეტრის მანძილზე შანხაიდან დასავლეთის მიმართულებით). იმავე ცნობების მიხედვით, **შანხაიში მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა, რომელიც შეუფარდდება ეროვნულ ჯარების მიერ სუ-ჩჟოუს აღების მომენტს.**

ამერიკის ქვეითა ჯარი, შანხაის ქუჩებში აღლუმების შემდეგ, დაბრუნდა ამერიკის სამხედრო გემებზე. (ადს).

მუკდენელები, ხენანელები და შანდუნელები.

პეკინი, 7 მარტი. მუკდენელები განაგრძობენ გადასვლას ყვითელ მდინარეზე და მიიწევენ წინ უ-პეი-ფუსაკენ ნანჩევანში.

პრესის ცნობით, **მოხდა შეტაკება მუკდენელებისა და ხენანელების ჯარებს შორის.**

მუკდენელების და შანდუნელების ცდებს წაიწიონ სუჩჟოუსაკენ, ხვდება წინააღმდეგობა გენერალ ვან-ვეი-ვეის მხრით, რომელიც ემორჩილება უ-პეი-ფუს და ხელს უშლის მუკდენელების გადასვლას ხენანზე. (ადს).

ანხოის გენერლების პროტესტი

შანხაი, 7 მარტი. ჩინური პრესის ცნობით, ანხოის რამოდენიმე გენერალმა გამოაქვეყნა საპროტესტო დეკლარაცია შანდუნის ჯარების სამხრეთისაკენ წინ წაწევის წინააღმდეგ.

სხვა ცნობებით, ეროვნული ჯარები წარმატებით მიიწევენ წინ ნანკინისაკენ. (ადს).

ნანკინის საფრთხე

შანხაი, 7 მარტი. პრესის ცნობით, ეროვნულ ჯარებს განზრახვა აქვს წავიდენ იან-ცზი-ცზიანის ქვევით. იმის გამო, რომ ანხოის გუბერნატორმა ჩენ-ტინ-იუმ უარი განაცხადა შანდუნელებთან თანამშრომლობაზე, ნანკინისათვის იქმნება საფრთხე მდინარის გზით. პროვინცია ანხოს ადგილობრივმა ჯარებმა გადასჭრეს რკინისგზა ნანკინიდან ცინანში, მაგრამ ისინი განაიარაღეს შანდუნის ჯარებმა. მოძრაობა აღდგენილ იქნა. (ადს).

შანდუნელები სტოვებენ შანხაის რაიონს

შანხაი, 7 მარტი. „ჩაინა კურიერი“ აქვეყნებს სენსაციურ ცნობას იმის შესახებ, რომ ვითომც შანდუნის ჯარებმა მიიღეს ბრძანება დასცალონ შანხაის რაიონი და დაუყოვნებლივ დაბრუნდენ ნანკინში, ვინაიდან სამხრეთელების მემარცხენე ფრთას შეუძლია დაიჭიროს სუჩჟოუ. გაზეთი იუწყება, რომ **შანდუნის ჯარი 2.500 კაცის შემადგენლობით უკვე გამოვიდა შანხაიდან და გაემგზავრა სუჩჟოუს მიმართულებით.** შანხაის სადგურზე შანდუნის ჯარის კაცებმა ხელთ იგდეს ორთქლმავლები, მიუხედავათ რკინისგზის ადმინისტრაციის წინააღმდეგობისა. (ადს).

სახალხო ძალაუფლებისაკენ

შანხაი, 7 მარტი. შანდუნის ჯარების შანხაიდან გასვლის გამო ქუჩებში ვრცელდება ფურცლები, რომლებშიაც მასსებს მოუწოდებენ სახალხო ძალაუფლების დამყარებისაკენ.

ფურცლები აყენებენ შემდეგ ლოზუნგებს: ახალი საყოველთაო გაფიცვის მომზადება, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა, მოსწავლეებმა, ვაჭრებმა და სხვებმა; სახალხო დელეგატების კომიტეტის შექმნა, რომლის ხელშიაც უნდა გადავიდეს ძალაუფლება; მხარის დაჭერა ეროვნულ-რევოლიუციონურ არმიებისა და ეროვნული მთავრობისათვის და სხვა. (ადს).

უთანხმოება ჩრდილოელთა ბანაკში

შანხაი, 7 მარტი. როგორც იუწყებიან, **ჩრდილოეთში წარმოიშვა უთანხმოება მუკდენელებსა და შანდუნელ ჯარებს შორის, ვინაიდან მუკდენელები პროვინცია შანდუნში შევიდენ ჩჟან-ცზუნ-ჩანთან შეუთანხმებლად.** ჩჟან-ცზუნ-ჩანი საქმის გამოსარკვევად გაემგზავრა ნანკინიდან შანდუნის დედა ქალაქის — ცზი-ნან-ფუს მიმართულებით (ადს).

შეტაკება „მოკავშირეებს“ შორის

პეკინი, 6 მარტი. ქალაქ ჩენ-ჩჟოუს მახლობლად **მოხდა შეიარაღებული შეტაკება უ-პეი-ფუს ჯარისკაცებსა და მუკდენის ჯარებს შორის.** შეტაკების შედეგი გამოურკვეველია. (ადს).

სამხრეთელების ახალი მოკავშირე

ნიუ-იორკი, 6 მარტი. „ასოშიეტედ პრეს“-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **პროვინცია ან-ხოის გუბერნატორი ჩენ-ტინ-იუე, შეუერთდა ნაციონალურ არმიას. ამით ნაციონალურ ჯარებს მიეცათ საშუალება უშუალო კავშირი დაამყარონ ან-ხოისა და ჩჟეცზიანის პროვინციებს შორის. ჩენ-ტინ-იუემ გადასჭრა იან-ციზნპუკოუს რკინის გზა და ამნაირად ნაციონალურმა ჯარებმა ყოველი მხრიდან შემოარტყეს ალყა პროვინცია ცზიან-სუს.** (ადს).

სუ-ჩჟოუ დამხობის წინ

პეკინი, 6 მარტი. **შანხაის ფრონტზე კანტონელები სცდილობენ შანხაი-ნანკინის რკინის გზის ხაზის გადაჭრას. ისინი იმყოფებიან გზიდან 20 კილომეტრის მოშორებით და უტევენ სუ-ჩჟოუს კვანძოვან სადგურს.** სუ-ჩჟოუში სასწრაფოდ გაემგზავრა შანხაის თავდაცვის უფროსი, იქვე გადაჰყავთ შანდუნის ჯარები.

შანხაი და შანხაისთან

ნიუ-იორკი, 7 მარტი. „ასოშიეიტედ პრესის“ შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შანხაიში გადასხეს იაპონელთა რაზმი 500 კაცის შემადგენლობით.

ჩჟან-ცზუნ-ჩანი ჩავიდა სუჩჟოუში, რომელიც 75 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს შანხაის დასავლეთით.

სარკინისგზო მიმოსვლა შანხაისა და ნანკინს შორის მოსახლეობისათვის შეწყვეტილია.

ეროვნული ჯარები, ხმების მიხედვით, **7 კილომეტრზე იმყოფებიან სუჩჟოუდან.**

ანხოის გუბერნატორ ჩენ-ლინ-იუეს ჯარები უარს აცხადებენ ჩრდილოელთათვის დახმარების გაწევაზე. (ადს).

ხუნ-ჩუან-ფანის ჯარების შეცვლა შანდუნის ჯარებით.

შანხაი, 6 მარტი. გრძელდება სუნ-ჩუან-ფანის ჯარების შეცვლა ჩჟან-ცზუნ-ჩანის ჯარებით. ჩინური გაზეთების ცნობებით, სუნ-ჩუან-ფანის ექვსი დივიზია იხსნება ფრონტიდან და გადაყვანილი იქნება ცზიან-სუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. რუს თეთრგვარდიელთა პირველი შერეული ათასეული დროებით დაბანაკდა ვუზუნში (?). შანდუნის ჯავშნოსანი მატარებელი გადავიდა მდინარე იახცზეზე და ნანკინის რკინის გზით მიიმართება შიხხეისაკენ (ადს).

ჩჟე-ცზიან — ცზიან-სუს ფრონტზე

შანხაი, 7 მარტი. იუწყებიან, რომ **ეროვნული ჯარების ძალები ჩჟე-ცზიანის და ცზიან-სუს პროვინციების ფრონტზე უდრის 50.000 კაცს და შესდგებიან ჩჟე-ცზიანის ჯარებისაგან, რომელნიც ამას წინად აჯანყდენ სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ.**

სამხრეთელების ძალები, როგორც იუწყებიან გაყოფილია სამ ჯგუფად: ერთი მოქმედებს სუნ-ცზიანის ფრონტზე, მეორე მიდის ჩრდილოეთისაკენ, მესამე მიიმართება სუნ-ჩჟოუსაკენ.

შანხაიში გავრცელდა ხმები, რომ ეროვნულმა ჯარებმა აიღეს ვუკონი, რომელიც სუჩ-ჩჟოუზს გვერდით იმყოფება. სხვა ხმებით, შანდუნის ჯარები წავიდენ შანხაის რაიონიდან ჩრდილოეთისაკენ. (ადს).

ცზუ-ცზიანის კონცესიის გადაცემა ნაციონალური მთავრობისათვის

ლონდონი, 6 მარტი. იუწყებიან, რომ ეროვნულ მთავრობასთან შეთანხმების ძალით, **ინგლისი 15 მარტს გადასცემს კანტონის მთავრობას ინგლისის კონცესიის მმართვას ცზო-ცზიანში (ადს)**

პეკინის კაბინეტის რეორგანიზაცია გადადებულია.

პეკინი, 6 მარტი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ხალახლა გადაიდო პეკინის მთავრობის რეორგანიზაცია. ჩჟან-ცზო-ლინმა განუცხადა პეკინის მთავრობის პრემიერს ველინგტონ-კუს, რომ კაბინეტის შემადგენლობაში არავითარი ცვლილებები არ მოხდება იმ დრომდე, ვიდრე არ მოწესრიგდება მდგომარეობა ხენანის პროვინციაში (ადს).

პეკინის პოლიციის თარეში.

პეკინი, 6 მარტი. პეკინის პოლიციამ დააპატიმრა სტუდენტი სია-შამ-მინი, რომელსაც ბრალდება „იარაღისა და კომუნისტური ლიტერატურის შენახვა“. მიუხედავად ხანგრძლივი ჩხრეკისა, ვერ იქნა აღმოჩენილი ვერც იარაღი და ვერც კომუნისტური ლიტერატურა. მიუხედავად ამისა, პოლიცია უარს აცხადებს სია-შამ-მინის განთავისუფლებაზე იმ დღემდე, ვიდრე წარმოდგენილი არ იქნება თავდებობა (ადს).

ევგენი ჩენის განცხადება.

ვაშინგტონი, 6 მარტი. ჩ.-ა. შ. შ. საგარეო საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს ევგენი ჩენის მოთხოვნილებას ამერიკის სარდლობის მიერ ხანკოუში ჩამორთმეულ „სტანდარტ ოილის“ კომპანიის გემის დაბრუნების შესახებ (ადს).

თბილისის პარტაქტივის რეზოლუცია

ცეკას თებერვლის პლენუმის შესახებ

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საერთო-საქალაქო კრება, მოისმინა რა მან ამხ. ორახელაშვილის და ლუკაშინის მოხსენებები საკავშირო კომპარტიის (ბ) თებერვლის პლენუმის მუშაობის შესახებ, პლენუმის გადაწყვეტილებებს სცნობს სავსებით სწორად, მთლიანად უერთდება მათ და ღებს სახელმძღვანელოდ.

ცეკას პლენუმმა ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ყველა მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებზე დასახა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებათა ეხლანდელი პერიოდის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ამ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად წასწევს წინ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს, კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო დამოუკიდებლობას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან და გააძლიერებს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის კაპიტალური აღმშენებლობის გეგმიან საფუძველს.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ერთი ძირითადი საკითხთაგანია ფასების შემცირების საკითხი. ცეკას მტკიცე დირექტივა ამ საკითხშიაც უსიტყვოდ უნდა იქნას შესრულებული სამეურნეო, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების შეერთებული ძალღონით. სამეურნეო აღმშენებლობის ახალმა პერიოდმა სრული გამოსახულება ჰპოვა მიმდინარე სამეურნეო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდაში და აგებაში; აუცილებელია მთელი ძალღონე მოხმარდეს ცეკას პლენუმის დირექტივის (ბიუჯეტის სისწორით შესრულების შესახებ) თავის დროზე და სრულ განხორციელებას.

საბჭოთა არჩევნებმა, რომელიც ჩატარდა ცეკას დირექტივის საოძველზე, დაამტკიცეს პარტიის პოლიტიკის სისწორე საბჭოების გამოცოცხლების საქმეში, უპარტიო აქტივის მშრომელთა მასების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის და ათეული მილიონობით მშრომელთა მასებზე პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცების საქმეში, რითაც საბოლოოდ გაცამტვერდა ოპოზიციის ბელადების მტკიცება იმის შესახებ, რომ პარტიის ხაზი გადაიხარა კულაკების მხარეზე.

საბჭოში ჩაბმული უპარტიო აქტივის საქმიან მუშაობაში მონაწილეობის კიდევ უფრო გაფართოება, პარტიის გავლენის კიდევ უფრო გაძლიერება საბჭოების საშუალებით და საბჭოების კავშირის გაძლიერება მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენებთან—ცეკას დირექტივები, რომლებიც სავსებით უნდა იქნას შესრულებული.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი [illegible] შემოქმედებითმა მუშაობამ ოპოზიციის კიდევ უფრო მეტი დაქსაქსულობა და დაშლა გამოიწვია, რომლის გაკოტრება ნათლად გამოაშკარავდა ოპოზიციის ბელადების გამოსვლაში ცეკას პლენუმზე. ოპოზიციის რიგების [illegible] ლას კიდევ ზედმეტად ხაზს უსვამს ამხ. ნიკოლაევას, ბადაევის და მთელი რიგი ამხანაგების გასვლა ოპოზიციიდან, რომელნიც ოპოზიციის ძირითად აქტივს წარმოადგენდენ.

აქტივის კრება მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ პარტია ერთსულოვნად და მტ[illegible] შეასრულებს რა ცეკას თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მიაღწევს სამეურნეო აღმშენებლობის ახალ გამარჯვებებს— პროლეტარულ ხელმწიფოს პოლიტიკურად გაძლიერებისაკენ და ამით უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ძლევა-მოსილ წინსვლას სოციალიზმისაკენ.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ულტრა-მემარცხენეთა ბანაკი იშლება

ესსენი, 6 მარტი. კამათმა ევერტის მოხსენების გარშემო შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, ნათელყო დაშლა ულტრამემარცხენეების ბანაკის. ულტრა-მემარცხენეები სრული ლიკვიდაციის გზაზე დგანან. კამათის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა საკითხი აზრთა სხვადასხვაობის შესახებ პარტიულ უმრავლესობას შორის. ყრილობის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ხემნიცის ჯგუფის ლიდერის **ვეშეს** გამოსვლამ, ვეშემ განაცხადა, რომ ბოლო მოელო მის ეჭვებს ბრანდლერისა და ტალჰეიმერის საკითხში ბრანდლერისა და ტალჰეიმერის ყოფილი მომხრე ერნსტ მეიერი ხაზს უსვამდა წინანდელი შეცდომების აშკარა დაგმობის აუცილებლობას. პარტიის გაძლიერების ინტერესებისათვის. ახალგაზრდობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომკავშირი დგას ცეკას პლატფორმაზე ვედინგსა და პფალცშიც კი, რომლებიც წარმოადგენდენ ულტრა-მემარცხენე დასაყრდენ პუნქტებს და სადაც ულტრა-მემარცხენეები უკვე არავითარი გავლენით აღარ სარგებლობენ ახალგაზრდობაში.

ამხ. ევერტის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში **ევერტმა** ცეკას სახელით განაცხადა, რომ არავითარი ლაპარაკი აღარ შეიძლება ბრანდლერისა და ტალგეიმერის დაბრუნებაზე პარტიულ მუშაობისადმი იმ დრომდე, სანამ ისინი აშკარად არ აღიარებენ თავის შეცდომებს. ევერტმა თავისი სიტყვა დაასრულა მოწოდებით ულტრა-მემარცხენე ოპოზიციის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისაკენ და დაუნდობელ ბრძოლისაკენ ყველა მიმართულებებთან, რომლებიც კი სცდილობენ პარტიული დისკუსიის გარძელებას.

ამხ. შნელლერის მოხსენება

4 მარტს გერმანიის კომპარტიის ყრილობის საღამოს სხდომაზე მოხსენებით პარტიის მუშაობის შესახებ მასიურ უპარტიო მუშათა ორგანიზაციებში გამოვიდა ამხ. შნელლერი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის დარაზმვა ინგლისის ტიპის მიხედვით.

5 მარტს მოელიან მოსკოვიდან ამხ. კლარა ცეტკინის ჩამოსვლას გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე. (ადს).

სავაჭრო ურთიერთობა სპარსეთთან

მოსკოვი, 7 მარტი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ ავტორიტეტულ წრეებში აცნობებს შემდეგი.

„ვაჭრობის წარმატებით მსვლელობა ბაქოს ბაზრობაზე და მნიშვნელოვანი მონაწილეობა მასში სპარსელი ვაჭრების მხრივ აიხსნება იმ ბუნებრივი ეკონომიური კავშირით, რომელიც ორთავე ქვეყანას შორის არსებობს. სპარსეთის ნედლეულს საუკეთესო ბაზარი აქვს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა სამრეწველო პროდუქცია რომელიც ზედმიწევნით აკმაყოფილებს სპარსელ მომხმარებელთა გემოვნებას და მოთხოვნილებას, უკვე განთქმულია სპარსეთში (უმთავრესად შაქარი, ნავთის პროდუქტები და საფეიქრო ნაწარმოები). სპარსეთის სავაჭრო აღებ-მიცემობა საბჭოთა კავშირთან აგებულია სავაჭრო ბალანსის წონასწორობის საფუძველზე, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში სპარსეთს ყოველთვის აქვს პასიური ბალანსი, რაიც იწვევს მის გაღატაკებას. სწორედ ამიტომ, ორთავე ქვეყნის წარმომადგენლებმა ეს პრინციპები დაუდეს საფუძვლად იმ სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც მოსკოვში მოლაპარაკების დროს იქნა შემუშავებული. სამწუხაროდ, სპარსეთის მთავრობამ შეაჩერა მოლაპარაკების გაგრძელება, რასაც ზოგიერთი წრეები უკავშირებდენ უცხოეთის პრესის იმ ნაწილის მუქარას სპარსეთისადმი, რომელნიც უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების გამო. ამის მეტად სამწუხარო შედეგი იყო ის, რომ სავაჭრო ურთიერთობა დარჩა მოუწესრიგებელი, რამაც გამოიწვია სამეურნეო კრიზისი ჩრდილოეთ სპარსეთში, რომელიც ეკონომიურად დაკავშირებული არის საბჭოთა კავშირის ბაზართან.

საბჭოთა მთავრობამ, გაითვალისწინა რა სპარსელი ვაჭრების მძიმე მდგომარეობა, გადასწყვიტა, მიეცა მათთვის საშუალება ფართო მონაწილეობა მიეღოთ ბაქოს ბაზრობაზე, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სავაჭრო შეთანხმება.

ეხლა შეიძლება ითქვას, რომ ბაქოს ბაზრობამ რამდენადმე შეამსუბუქა ჩრდილოეთ სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობა. მაგრამ უფრო მტკიცე და ხანგრძლივი შემსუბუქება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მოწესრიგდება სავაჭრო ურთიერთობა ორთავე ქვეყნის შორის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში სპარსეთში დაიწყო ზოგიერთ წრეების მოქმედება, რომელნიც სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის მოუწესრიგებლობაში არიან დაინტერესებულნი. ეს წრეები სცდილობდენ შექმნათ შთაბეჭდილება, რომ პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობათა მოუწესრიგებლობის გამო ეკისრება საბჭოთა მთავრობას და ბოიკოტისაკენაც კი მოუწოდებდენ სპარსელ ვაჭრებს, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბაქოს ბაზრობა დაუდებს საფუძველს სპარსეთისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობათა განმტკიცების პროცესს და ახლო მომავალში სპარსეთის სავაჭრო წრეების კანონიერი ინტერესები გამოიწვევენ სავაჭრო შეთანხმების დადებას ორთავე ქვეყნის შორის (ადს).

საბჭოთა კანონმდებლობა და ქალი

„ჩვენში, საბჭოთა რუსეთში, კანონის მიხედვით, ქალთა უთანასწორობისაგან მამაკაცთან, არავითარი კვალი აღარ დარჩენილა. განსაკუთრებით საზიზღარი, საძაგელი და ორპირული უთანასწორობა საქორწინო და საოჯახო უფლებებში, ბავშვის მიმართ, სავსებით აღმოფხვრილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ".

ლენინი.

საბჭოთა კავშირში ვერ ნახავთ ჩვენ კონსტიტუციასთან, ჩვენ კანონებთან ცოტაოდნათ გაცნობილ პირს, რომელიც არ ხედავდეს, რომ მშრომელ ქალთა განთავისუფლების მხრივ ჩვენ გაცილებით წინ ვდგევართ მთელს მსოფლიოში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი კანონები ქალის შესახებ არის ყველაზე სრული, ყველაზე სწორი, ისინი ნამდვილად უხსნიან მას ყველა გზებს ყოველგვარი სახის სახელმწიფოებრივი, კულტურული, საზოგადოებრივი და პარტიული მუშაობისაკენ. ვერც ერთმა ქვეყანამ, ვერც ერთმა პარტიამ, ვერც ერთმა გაბატონებულმა კლასმა ვერ შესძლო, ვერ გაბედა იმის გაკეთება. რის გაკეთებაც შესძლო ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც სავსებით მოსპო რა კერძო საკუთრება, ამოგლიჯა ქალის მონობის და უთანასწორობის ყველა ფესვები და კანონმდებლობითი გზით დამყარა ორივე სქესის სრული თანასწორობა როგორც სახელმწიფოში, ისე ოჯახშიაც და საზოგადოებაშიაც. მაგრამ, როგორც ამხ. ლენინი ამბობდა. კანონი თანასწორუფლებიანობის შესახებ „არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი ქალის განთავისუფლებისაკენ". ქალი ხომ იმყოფებოდა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ და ოჯახურ მონობაში. თუ პირველი ადვილი დასაძლევია, სამაგიეროთ ძნელია ბრძოლა ყოფა-ცხოვრების სიმახინჯესთან და ქალის ეკონომიურ დამოკიდებულებასთან. და[illegible] ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საბჭოთა კანონმდებლობა, რომლებიც იცემა ჩვენში ჩვენი ძირითადი კანონების განსავითარებლად და შესავსებად, ყველა ჩვენი კოდექსები შეიცავენ განყოფილებებს, თავებს და მუხლებს, რომლებიც მიმართული არიან იქითკენ, რომ განთავისუფლებულ იქნას ქალი ამ მონობიდან და მისცეს მას თავისი უფლებების გამოყენების სრული საშუალება. ზოგიერთი ეს კანონები პირდაპირ რევოლიუციას ახდენენ ქალთა განთავისუფლების დარგში, ისინი ატარებენ სისტემატიური ბრძოლის ხასიათს ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ნაშთების წინააღმდეგ. ასე აწარმოებს შეუსუსტებელ ბრძოლას ჩვენი კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ქალთა გატაცების, მცირეწლოვანთა ქორწინების და სხვა უკულმართობათა წინააღმდეგ. აზერბეიჯანის მთავრობის სპეციალური დადგენილებით, გაუქმებულია შარიატის წესით მომხდარ ქორწინების ძალა და შედეგები.

ჩვენს საადგილ-მამულო კოდექსს აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ვინაიდან ის ეხება მშრომელთა ყოფაცხოვრებითი და სამეურნეო მხარეებს.

[illegible] სდგამს [illegible] ნაბიჯს ქალთა ინტერესების [illegible]. ავიღოთ თუ გინდ მე-4 განყოფილებას პირველი და მეორე თავი, სადაც ნათლად და გარკვევით გამოხატულია გლეხ-ქალთა თანასწორუფლებიანი მდგომარეობა როგორც მიწათსარგებლობის საკითხში, ისე ქონების გაყოფის და მემკვიდრეობის საკითხში.

ჯერ კიდევ 1898 წელს ამხ. ლენინი წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" სწერდა: „ქალთა და მოზარდთა ჩაბმა წარმოებაში, ძირითადათ პროგრესიული მოვლენაა. უდავოა, რომ კაპიტალისტური ფაბრიკა მუშათა მოსახლეობის ამ ფენებს აყენებს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში, რაც მოითხოვს სამუშაო დღის შემცირებას და მოწესრიგებას. შრომის ჰიგიენურ არსებობის უზრუნველყოფას და სხ. მაგრამ ქალთა და მოზარდთა სამრეწველო მუშაობის სავსებით აკრძალვა ან და ცხოვრების ასეთის პატრიარქალური წყობილების დაცვა, რომელიც უარყოფს ასეთ მუშაობას, იქნებოდა რეაქციონური და უტოპიური".

თუ ავიღებთ ყველა ჩვენს შრომის კანონებს და ანალიზს გაუკეთებთ მათ, მაშინ ცხადათ ავრწმუნდებით იმაში, რომ ჩვენს საბჭოთა კანონმდებლობას, იცავს რა ის ქალთა შრომას, მხედველობაში აქვს ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც შესაძლებელს გახდიან შრომის შეთავსებას დედობრივობასთან და უზრუნველყოფენ პროლეტარიატის ჯანსაღი თაობის წარმოშობას და განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა ქალთა შრომის [illegible] და ბავშვის დაცვაზე სჩანს ყველაფერში. შრომის კანონთა კოდექსი; მისი მუხლები: 129, 130, 132 და 134 იცავენ ქალთა შრომას მავნე წარმოებისაგან, ღამე მუშაობისაგან და იძლევიან შეღავათებით სარგებლობის საშუალებას ფეხმძიმეობის დროს და სამუშაოდან დროებით განთავისუფლებას ბავშვის საკვებათ. ამ მუხლებს, ამ კანონებს მხედველობაში აქვთ ქალთა შრომის გამოყენების შეზღუდვა მძიმე და მავნე წარმოებებში და, აგრეთვე ღამე.

ქალთა შრომის გამოყენებისა და უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, ჩვენი კანონმდებლობა შესაძლებლად სცნობს ქალთა შრომის გამოყენებას განსაკუთრებით მავნე წარმოებებში და ღამე, მხოლოდ შრომის ინსპექტორის და სათანადო პროფკავშირის განსაკუთრებული ნებართვით.

მაგალითად ტრანსპორტზე მუშაობა დაკავშირებულია მოძრაობისათვის განუწყვეტლივ, დღე და ღამის განმავლობაში ხელის შეწყობასთან და ამიტომ, რადგან შეუძლებელია მომუშავე ქალთა განწესრიგება ღამის სამუშაოსთან დაუკავშირებელ პროფესიის მიხედვით, არსებობს სპეციალური ნებართვა ტრანსპორტის სამსახურისათვის. ამ ორივე შემთხვევაში შეზღუდვა შეეხება არა სრულწლოვანთ, ფეხმძიმე და ბავშვების მკვებავ ქალებს.

სპეციალური კანონით გათვალისწინებულია დედობის და ბავშვობის დაცვა. ფიზიკური შრომის და ნაწილობრივ გონებრივი შრომის მუშა - ქალები ფეხმძიმეობის დროს თავისუფლდებიან მუშაობისაგან რვა კვირით ბავშვის შობამდე და კიდევ რვა კვირით შობის შემდეგ. ამასთან სამსახურიდან დათხოვა ფეხმძიმეობისა და ბავშვის კვების დროს შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ისიც შრომის ინსპექტორის ნებართვით. ჩვენი კანონმდებლობა არა მარტო იცავს ქალთა შრომას, არამედ ხელმძღვანელობს კიდეც იმ პირობების შექმნას, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ქალთა შრომის გამოყენების დარგის გაფართოებას. ასე, მაგალითად, ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარი № 17 ლაპარაკობს წარმოებაში ქალთა ჩაბმის შესახებ მათი კვალიფიკაციის ამაღლების გზით. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა, რომ საფაბრიკო - საქარხნო სკოლებში ჩაბმულ იქნას ახალგაზრდა ქალთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი, და რომ საფაბრიკო - საქარხნო შეგირდობის ასეთი სკოლები მოეწყოს, აგრეთვე, იმ წარმოებებთან, სადაც უფრო მისაღებია ქალთა შრომის გამოყენება. ამასთან ერთად შრომის ორგანოები აწარმოებენ ბრძოლას ქალთა უმუშევრობასთან, იცემა სპეციალური თანხები უმუშევარ - ქალთა არტელებისა და კოლექტივების: სამკერვალო, საფეიქრო, სამრეცხველო და სხვ. არტელებისა და კოლექტივების მოსაწყობად.

რაც შეეხება ახალ კანონს ქორწინებისა, ოჯახისა და მეურვეობის შესახებ, უნდა ითქვას, რომ ის წარმოადგენს უდიდესი ბრძოლის დასაწყისს, ბრძოლის ყოფა - ცხოვრების და მამაკაცთან ქალის დამოკიდებულების ახალი საფუძვლების შესაქმნელად ჩვენს, სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში. იმის საწინდარს, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დასრულდება, რომ ეს კოდექსი მოიპოვებს ავტორიტეტს და გატარდება ცხოვრებაში, — წარმოადგენს ის გარემოება, რომ ის მიღებულ იქნა იმის შემდეგ, როდესაც მთელი წლის განმავლობაში ის გაარჩიეს საბჭოთა კავშირის მუშურ - გლეხური მასების ყველა თაობებმა და ფენებმა, შეავსეს, ნაწილობრივ შეცვალეს, მოიწონეს და მიიღეს, როგორც მარტივი და სწორი დაცვის ფორმა, ნაჩვენები თვით ცხოვრებით და სასამართლო პრაქტიკით. კოდექსის ძირითად დებულებებს წარმოადგენენ. ჯერ ერთი, ფაქტიური ქორწინების თანასწორობა რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებასთან, მეორე, აბსოლიუტური უფლება გაყრაზე და, მესამე, უდავო უფლება ალიმენტის მიღებაზე. ეს ძირითადი დებულებები აუცილებელია ქალაქის და სოფლის ქალთა ყველაზე სუსტი ფენების დასაცავად. ამ გარანტიების გარეშე ზედმეტია ლაპარაკი ორივე სქესის თანასწორ უფლებიანობაზე, ქალის ეკონომიურ და ყოფა - ცხოვრებითი განთავისუფლებაზე. ქორწინების რეგისტრაცია წარმოადგენს მხოლოდ ოჯახური დამოკიდებულების უდავო საბუთს; საბჭოთა კანონმდებლობას არ შეუძლია არ დაიცვას ფაქტიური ქორწინების შედეგები, კანონი ბავშვის აღზრდაზე მატერიალურ პასუხისმგებლობას აკისრებს ორივე მშობელს. მთელი საბჭოთა კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ქალთა განთავისუფლებას, გადაიქცევა ცოცხალ სინამდვილედ მხოლოდ ყველა მშრომელი მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების საშუალებით. საჭიროა ყველამ კარგად შეიგნოს ის, რომ ოჯახიდან კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლის დიდ და მძიმე საკითხში, ოჯახისა და ქორწინების საკითხების სიძნელე დაძლეული იქნება მარტო კანონით და სასამართლოთი კი არა, არამედ ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალების ენერგიული მონაწილეობით, მზრუნველობით და მუშაობით.

მარიამ ორახელაშვილი.

მოითხოვენ საბჭოთა

საკონსულოს გახსნას

ტოკიო, 6 მარტი. იაპონიის დეპუტატთა პალატაში შეტანილია პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მიერ ხელმოწერილი წინადადება. დეპუტატები მოითხოვენ, რომ იაპონიის მთავრობამ მიმართოს საბჭოთა მთავრობას თხოვნით საბჭოთა საკონსულოს დაარსების შესახებ ქალაქ ნიგიტაში, რომელიც, მათი აზრით, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს უფრო მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობის დამყარების საქმეში იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის. (ადს)

ციკლონი მადაგასკართან

ლონდონი, 6 მარტი. კაპშტადტიდან იუწყებიან, რომ კუნძულ მადაგასკარის აღმოსავლეთ ნაპირზე გადაიარა ძლიერმა ციკლონმა, რომელმაც ძირფესვიანად დაანგრია ქალაქი ტამატავე.

იუწყებიან, რომ ადამიანის მსხვერპლთა რიცხვი ქალაქ ტამატავეში აღწევს 500 კაცს. ტამატავეს ნავთსადგურში მდგარი ორი გემი ღელვამ გამოაგდო ნაპირზე. (ადს).

პარიზი, 6 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ქალაქ ტამატავეზე გადავლილ ციკლონისაგან მიყენებული ზარალი სჭარბობს 200 მილიონ ფრანკს (ადს).

ბალტიის სახელმწიფოები

და საბჭოთა კავშირი

შეიძლება ესტონეთის გარეშეც

რიგა, 6 მარტი. ეხება რა ლატვია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, ლატვიის სოციალ - დემოკრატიის ორგანო სწერს:

„ლატვიამ საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულება უნდა დასდოს ესტონეთთან ერთად. თუ ესტონეთი არ მოისურვებს ასეთ ხელშეკრულების დადებას, ლატვიას შეუძლია დასდოს ის დამოუკიდებლად". (ადს).

ღამის ცნობები

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება პარიზში.

მოსკოვი, 7 მარტი. 6 მარტს პარიზში საფრანგეთთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. რაკოვსკის მეთაურობით.

ესტონეთის ახალი მთავრობა.

რეველი, 6 მარტი. ყოფილ მთავრობის თავმჯდომარემ **ტემანმა**, რომელიც გადადგა პარლამენტში სამხედრო მინისტრის სოოტსის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებების გამო, შეადგინა ახალი კაბინეტი წინანდელი შემადგენლობით, გარდა სოოტსისა, რომელიც შესცვალა გენერალ რეეკმა (ადს).

განაჩენი შჩეგოლიუტინის საქმეზე.

ბაქო, 7 მარტი. შჩეგოლიუტინს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, რომელიც შეცვლილ იქნა 10 წლის დაპატიმრებით. (ადს).

იტალია-პოლონეთ-რუმინეთის კავშირი

ვარშავა, 7 მარტი. „ექსპრეს პორანი" ათავსებს ვენის პრესის ცნობას, რომ შესაძლებელია დაიდოს იტალია-პოლონეთ-რუმინეთის შეთანხმება იმ პირობით, თუ იტალიამ დაადასტურა ბესარაბიის რუმინეთთან შეერთება. (ადს).

თავდასხმის ცდა უცხოელთა კვარტალზე

შანხაი, 6 მარტი. სუნ-ჩუან-ფანის არმიიდან შანხაიში ჩამოვიდა 1.500-მდე ჯარისკაცი, რომლებმაც სცადეს შესულიყვნენ უცხოელთა უბანში, მაგრამ მათ წინ შეხვდენ ინგლისის ჯარები. ჩინელებმა თავიანთი ცდა კიდევ მეტის სიძლიერით განიმეორეს, მაგრამ დამატებით გამოწვეული ჯავშნიანი ავტომობილებით ახალი რაზმებით ჩინელი ჯარისკაცები გაფანტულ იქნენ (ადს).

პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება

ვარშავა, 6 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ჩაიშალა პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება სა[illegible] დასახლების მოლაპარაკება მაინც გრძელდება სხვა საკითხებში შეთანხმების [illegible] (ადს).

ოლინის საქმე

რიგა, 7 მარტი. სამხედრო სასამართლოში დაიწყო ოლინის საქმე, ოლინს განზრახული ქონდა ფაშისტური გადატრიალების მოხდენა ვოლში. (ადს).

ზალესკის განცხადება

ვენა, 6 მარტი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ, ვენაში შეჩერების დროს ვენის გზაზე, „ნეიე ფრეიე პრეს"-ის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„ყველა ცნობები ინგლის - პოლონეთის მოლაპარაკების შესახებ მთლიან ანტი-საბჭოთა ფრონტის შესაქმნელად სიმართლეს არ შეეფერება".

არას დროს, ინგლისის არც ერთ წრეში,—სთქვა ზალესკიმ,—მით უმეტეს მთავრობის წრეში, პოლონეთის მთავრობისათვის არ მიუციათ წინადადება ევროპაში მდგომარეობის გართულების გამო მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პოლონეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის შენარჩუნებას და განმტკიცებას". (ადს).

საშინელი ტერორი უნგრეთში

პატიმართა წამება ციხეებში.—პატიმართ მუხრუჭებით აგლეჯენ ხორცს, უდაღავენ სხეულს.—ფრანც გოგის მოკვლა „გაქცევის ცდის დროს".—ჯალათების მთავრობა მადლობას უცხადებს მენშევიკებს დახმარებისათვის.

დაპატიმრებულთა წამება.

ვენა, 6 მარტი. სოციალისტურ მუშათა პარტიის ბუდაპეშტში დაპატიმრებულ წევრებს უნგრეთის პოლიცია წამების საშუალებით ართმევს ჩვენებებს.

მუხრუჭით დაუგლიჯეს ახალგაზრდა ხერინის ცხვირის ნესტოები. დაპატიმრებულ ნორმანის ცოლი გააშიშვლეს და სცემეს მათრახებით. ორმა პოლიციელმა სცადა 19 წლის ელიზაბეტა ბრუკის გაუპატიურება, რის შემდეგ გააშიშვლეს და სცემეს. ედუარდ რეშინს ამოუგდეს მკლავები, რის შემდეგ სიგარებით ამოუწვეს ტანი. უნგრეთის წითელი არმიის ინვალიდს იოგან კოშიჩს მოგლიჯეს პროტეზი, ცეკვავდენ მის მუცელზე და სცემდენ მისი საკუთარივე პროტეზით. 19 წლის პაპიცს თავზე ამოგლიჯეს თმა, რომელიც შემდეგ შეაჭამეს. ალექსანდრე ლევი პოლიციელებს ხელშეკრული ჰყავდათ დაკიდული. როცა ლევი ჰკარგავდა გრძნობას, მას ცივი წყალით ასულიერებდენ. ლევის უდაღავდენ ტანს გავარვარებული რკინით და სიგარებით (ადს).

ფრანც გოგის მოკვლა.

ვენა, 6 მარტი. კაპოშვარში (უნგრეთი) დაპატიმრებული ფრანც გოგი, რომლის შესახებ პოლიცია ამტკიცებდა, რომ ვითომ ის გადახტა მატარებლიდან და გაიქცა, სინამდვილეში პოლიციელებს გამოუყვანიათ მატარებლიდან და დაუხვრეტიათ ბუდაპეშტის ახლოს, ვითომდა გაქცევის ცდის გამო (ადს).

ჯალათები მადლობას უცხადებენ მენშევიკებს.

ვენა, 6 მარტი. 3 მარტს შესდგა უნგრეთის პარლამენტის დეპუტატთა და მთავრობის პარტიის წევრთა სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი რეპრესიების შესახებ სოციალისტური მუშათა პარტიის წინააღმდეგ. მთელი რიგი დეპუტატები მხარს უჭერდა მთავარ პროკურორის მოთხოვნილებას დაპატიმრებულთა საველე სასამართლოსათვის გადაცემისა და მათთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის შესახებ. დეპუტატების საპასუხოდ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ვაშმა განაცხადა, რომ მთავრობა ყველა ზომებს იხმარს კომუნისტური საქმიანობის აღმოსაფხვრელად. შემდეგ ის მიესალმა კომუნისტების მიმართ სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგო პოზიციას და მოუწოდა სოციალ-დემოკრატებს მთავრობისათვის მხარის დაჭერისაკენ ბრძოლაში ბოლშევიზმის წინააღმდეგ (ადს).

მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის უახლოესი ამოცანები

ამიერ-კავკასიის მუშა და გლეხ-ქალთა მონაწილეობა სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახასიათებს მათი აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა და საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის გაძლიერება.

სადელეგატო კრებები

25—26 წლის მოწვევის სადელეგატო კრებების ქსელში (797 პუნქტი ამიერ-კავკასიაში) გაერთიანებულია 21.428 მშრომელი ქალი, წინანდელ მოწვევის 10.971-თან შედარებით (გაიზარდა 95,8 პროცენტით). დელეგატ ქალთა რიცხვის გადიდება აიხსნება სადელეგატო კრებების მოწყობით სოფლად და აგრეთვე წარსულ წელთან შედარებით მკვიდრ მოსახლეობის გლეხ ქალთა დიდი რაოდენობის ჩაბმით სადელეგატო კრებებში. ამ შემთხვევაში სადელეგატო კრებებში შედიოდენ არა ქალთა აქტივები, არამედ პირიქით მშრომელი ქალები, რომელნიც წინად არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელთათვის სადელეგატო კრებები წარმოადგენდენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადამუშავების პირველ საფეხურს. თუმცა სადელეგატო კრებების მუშაობისადმი პარტორგანიზაციების ყურადღება გაძლიერდა, მაგრამ ვერ იქნა მოწესრიგებული მათი მუშაობა პრაქტიკულ საკითხების დაყენების მხრივ: უმეტეს შემთხვევებში სადელეგატო კრებებს ჰქონდათ გადახრა სწავლებისაკენ. მიმდინარე წელს სადელეგატო კრებების შემადგენლობაში ჩვენ გვყავს საზოგადოებრივ მუშაობის სკოლა გაუვლელი 30.000 მშრომელი ქალი ამიტომ ჩვენმა პარტორგანიზაციებმა ეხლავე უნდა მიიღონ ყოველივე ზომები დელეგატ ქალთა პოლიტიკურ აღზრდელობითი მუშაობის შესათანხმებლად მათ საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მუშაობასთან, სადელეგატო კრებების გადასაქცევად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობისათვის პრაქტიკულ მომზადების სკოლად, ისე უნდა დააყენონ სადელეგატო კრებების მუშაობა, რომ ეს კრებები თამაშობდენ საზოგადოებრივ ერთეულის როლს, ეხმარებოდენ პარტიას მისი მუშაობის გაღრმავება-განმტკიცებაში მუშათა და გლეხთა ფართე მასებს შორის.

საბჭოები

1926 წლის საბჭოთა არჩევნები ჩატარდა ქალების განსაკუთრებული აქტივობით. საბჭოთა ამიერ-კავკასიაში არჩეულ ორგანოების შემადგენლობაში (სასოფლო, სათემო, საქალაქო საბჭოები, აღმასკომები) ქალები შეადგენდენ 9.840, ანუ 10,5 პროც., მაშინ, როცა წარსულ წელს მათი რიცხვი უდრიდა 5.150 (18 პროც. აზერბეიჯანში, 8,2 პროც. სომხეთში, 7,9 პროცენტი საქართველოში), წინანდელ მოწვევის საბჭოების შემადგენლობასთან შედარება შემდეგ სურათს გვაძლევს: იმ დროს, როცა სასოფლო საბჭოების შემადგენლობაში ჩვენ ყველგან ვხედავთ ქალების პროცენტის გადიდებას (აზერბეიჯანში 7,6 პროცენტით, საქართველოში 0,2 პროცენტით, სომხეთში 1,6 პროცენტით; ხოლო ამიერ-კავკასიაში 3,5 პროცენტით), ქალების მონაწილეობა აღმასკომებში კლებულობს (გარდა სომხეთისა), კლებულობს აგრეთვე სასოფლო საბჭოების წევრ და თავმჯდომარე ქალების რაოდენობა (ამიერ-კავკასიაში 35-დან 11-მდე).

ეს გარემოება, როგორც სჩანს აიხსნება იმით, რომ მოსახლეობა ზოგიერთ ადგილებში ჯერ კიდევ ვერ ენდობა ქალებს საზოგადოებრივ სამუშაოზე. მაგრამ საბჭოების და აღმასკომების წევრ ქალთა მუშაობის გამოცდილებამ, ზოგიერთ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარე ქალთა მუშაობამ (მაგალითად ნახჭევანის მხარეში, სადაც ერთი გლეხის ქალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეთ ხელახლად არჩევის საკითხის გარშემო შეიქნა ორი ბანაკი, ერთი კულაკების ბანაკი არჩევის წინააღმდეგ, ხოლო მეორე ღარიბ გლეხთა და კომკავშირელთა ბანაკი არჩევის სასარგებლოდ), მათ საქმიან და აქტიურმა მონაწილეობამ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში აშკარად დაგვანახვა, რომ ამ უნდობლობას არავითარი საფუძველი არა აქვს. რასაკვირველია, ამიერ-კავკასიის ყოფა-ცხოვრების პირობები საჭიროდ ხდიან სისტემატიურ ყურადღებას საბჭოში არჩეულ გლეხ ქალის მიმართ. უმეტეს შემთხვევებში გლეხ-ქალებს არ იყოლიებდენ საბჭოების მუშაობაში, საკმაოდ არ ამუშავებდენ კომისიებში, არ იყო არავითარი ხელმძღვანელობა მათი მუშაობისადმი საბჭოების და აღმასკომების მხრივ. ჯერ კიდევ გამოურკვეველია რა ცვლილებას შეიტანს საბჭოების შემადგენლობაში ქალების რაოდენობის მხრივ მიმდინარე საარჩევნო კამპანია. საჭიროა რათა საბჭოების მუშაობის დაწყებიდანვე გაძლიერებულ და მოწესრიგებულ იქნეს მუშა და გლეხ-ქალთა მუშაობის ხელმძღვანელობის საქმე, მათი ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში წამოყენება აღმასკომების შემადგენლობაში, (რასაკვირველია, საქმიანი მიდგომით), ჩაბმა საორგანიზაციო მუშაობაში და ბრძოლა ისეთ შემთხვევების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ქალთა განთავისუფლების წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევას, მაგალითად, ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანის ერთ- ერთ მაზრაში (კუბის), სადაც კულაკს უნდოდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ქალის მოკვლა იმ მოსაზრებით, რომ უკეთესია ციხეში ჯდომა, ვინემ „დიაცის" ხელქვეით ყოფნა.

ნდობის საქმიანი ატმოსფერის შექმნა აუცილებელი პირობაა ქალების ნაყოფიერი მუშაობისათვის საბჭოებში და მაშასადამე თვით საბჭოების მუშაობისათვისაც.

თურქი ქალების კლუბები

წარსულ წელს ახასიათებს თურქ-ქალთა და ამიერ-კავკასიის კულტურულ ჩამორჩენილ ადგილების სხვა ეროვნებათა ქალების ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში. გაიზარდა თურქ-ქალთა კლუბების რიცხვი (80—85-მდე) და გლეხ-ქალთა კოხების (კუთხეების) რიცხვი (78-დან 86-მდე), გაიზარდა როგორც მათში დარაზმულ მოსახლეობის რაოდენობა, ისე იმ ორგანიზაციების რიცხვიც, რომლებიც ჩამორჩენილ გლეხ-ქალებს შორის იწყებიან საწარმოო და კულტურულ მუშაობას (არტელები, ჭრა-კერვის წრეები, სახელოსნოები, საქმიანი კონსულტაციები). კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება კლუბებში და კოხებში ,მათი მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერება პარტკომების და პოლიტ-განათლების განყოფილებათა მხრივ, კლუბებთან და კოხებთან არსებულ საწარმოო უჯრედების განმტკიცებასთან ერთად თურქი ქალების გაძლიერებულ აქტივობას შემდგომში სწორი კალაპოტით წარმართავს.

ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებთან არსებულ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიების მატერიალური ბაზისის განმტკიცებამ (ისინი ღებულობენ 10 პროცენტს უმუშევრობასთან საბრძოლველად გადადებულ თანხებიდან) საქართველოს და აზერბეიჯანის კომისიებს საშუალება მისცა გაეფართოებიათ მუშაობა უმუშევარ ქალებისათვის შრომითი და ხმარების გაწევის დარგში (ხსენებულმა კომისიებმა ამიერ-კავკასიაში მოაწყვეს 60 კოლექტივი, ორი სახლი უთავშესაფარო ქალთათვის სახელოსნოებით და სხვა) დაეარსებიათ კომისიები ზოგიერთ მაზრების აღმასკომებთან, მოეწესრიგებიათ იურიდიული დახმარება ქალთათვის. [illegible] კომისიებმა მომავალში თავისი მუშაობის ფარგლებში უნდა მოაქციონ შემდეგი საკითხები: ქალთა შრომის კვალიფიკაცია, ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ ორგანიზაციების და დაწესებულებების მუშაობის გაძლიერება და ქალების ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში (ბაგები, საბავშვო მოედნები, სასადილოები და სხვა). კომისიებმა ყოველმხრივ უნდა მიაქციონ ყოფა-ცხოვრებითი საკითხებისაკენ საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციების და ნებაყოფლობითი საზოგადოებების ყურადღება.

კომისიების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს მათი მონაწილეობის გაძლიერება საკანონმდებლო მუშაობაში ქალთა შესახებ და ამ კანონმდებლობის განხორციელების შემოწმებაში.

შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობასთან სწორი კონტაქტის დამყარება გააძლიერებს უმუშევარ ქალთათვის დახმარების გაწევის საქმეს, ქალთა შრომის შესწავლას და სხვა.

რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებთან არსებულ კომისიების მუშაობის ამგვარად დაყენება ამ კომისიებს გადააქცევს ქალთა შრომის და ყოფა-ცხოვრების ნამდვილ გამაუმჯობესებელ ორგანოებათ.

პროფკავშირები

ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების ამოცანა სდგას აგრეთვე ჩვენ სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების წინაშეც, რომელთა შემადგენლობაში მუშა ქალი 15,6 პროცენტს შეადგენს.

რამდენი ბაგები გვაქვს ჩვენ წარმოებებში, და საბავშვო ოთახები კლუბებში? ერთეულები. მიუხედავად ამისა, ამიერ-კავკასიაში პროფესიონალური აქტივი 8,1 პროცენტს აღწევს. საჭიროა რათა ხელი შეუწყოთ მუშა-ქალის აქტივობის ზრდას. იმ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, რომელნიც მუშა-ქალს შესაძლებლობას აძლევენ არა მარტო იყოს წარმოებაში, არამედ მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მუშაობაშიაც—აუცილებელი პირობაა მუშაობის გასაძლიერებლად მუშა-ქალის კლასობრივი აღზრდისათვის.

მუშა და გლეხ-ქალის დაწინაურება

ამიერ-კავკასიაში ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია დაწინაურების საკითხი; ეს ერთნაირად ეხება ჩვენ პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებს. შეადგენს რა 15—20 პროცენტს მასსიურ ორგანიზაციებში (საბჭოებში, პროფკავშირებში, კოოპერაციაში) მუშა და გლეხი ქალი მმართველ ორგანოებში (ფაბრკომები, აღმასკომი, გამგეობა) გაცილებით ნაკლები რაოდენობით ხვდება. ამის მიზეზია უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ორგანიზაციების არასაკმაო წინასწარი მუშაობა აქტივის მომზადების საქმეში. მუშა და გლეხ-ქალებისაგან აქტივის მომზადების საკითხი, ქალების მუდმივ (ფასიან) სამუშაოზე წამოყენების საკითხი—დღის გადაუდებელი ამოცანაა.

პარტიაში მოზიდვა

ეს საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია ქალთა აქტივის არასაკმაო მომზადებასთან. მიუხედავად იმისა, რომ სწარმოებს ქალების აქტივობის ძლიერი ზრდა, ძლიერი მისწრაფება პარტიისაკენ მუშა და გლეხ ქალების მხრივ—მიუხედავად ამისა, ამიერ-კავკასიაში პარტიის შემადგენლობაში ქალების რიცხვი უდრის მხოლოდ 3.810, ე. ი .5,8 პროცენტს.

ვცნობთ რა კომკავშირს ძირითად წყაროთ საიდანაც პარტია აგროვებს ახალ კადრებს, საჭიროა გავაძლიეროთ ღარიბ ქალთა ჩაბმა ღარიბ გლეხების ჯგუფებში, მუშა ქალების ჩაბმა აქტივთან მუშაობაში, რაც გაადიდებს მუშა და გლეხქალთა რიცხვს ჩვენი პარტიის რიგებში.

ყველა მიღწევებმა და ნაკლულოვანებებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდა მშრომელ ქალთა შორის მუშაობაში, თავის გამოხატულება ჰპოვა პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების გადაწყვეტილებებში. მიმდინარე წლის 8 მარტის ჩატარებასთან დაკავშირებით დაწყებული მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესამოწმებლად მდიდარ მასალას მოგვცემს პროლეტარიატის საერთო მუშაობის შემოწმებისათვის ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე და სოციალისტური აღმშენებლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივების დასახვისათვის.

ხ. შავერდოვა.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

8 მარტი

მშრომელთა ახალ ,ჯერ კიდევ ხელუხლებელ ფენების გამუდმებული და შეუჩერებელი გაღვიძება, მათი ჩაბმა რევოლიუციონურ შემოქმედებაში—წარმოადგენს ჩვენი რევოლიუციის განსაკუთრებულ თვისებას, წარმოადგენს მის უდიდეს უპირატესობას, შეადგენს მის ძალას და უზრუნველყოფს მის გამარჯვებას.

ამიტომ 8 მარტის დღესთან დაკავშირებულ მიღწევების ჯამის გაკეთება უნდა ხდებოდეს მასების ზრდის და აქტივობის შემოწმებისა დ. რევოლიუციონურ შემოქმედებაში მშრომელ-ქალთა ფართე მასების ჩაბმაზე პარტიის მიერ გაწეულ ღონისძიებათა შედეგების გათვალისწინების ნიშნის ქვეშ. ამ შედეგებს ჩვენ ვამოწმებთ არა განცალკევებულად, არამედ მთელ პროლეტარულ რევოლიუციის განვითარებასთან დაკავშირებით ყველა ქვეყნებში, და, განსაკუთრებულად, სოციალისტურ მიღწევებთან დაკავშირებით ჩვენს საბჭოთა კავშირში.

კომუნისტური პარტია, თავის მუშა და გლეხქალთა განყოფილებების საშუალებით, წლიდან წელზე თავის გავლენის ქვეშ აქცევს მშრომელ ქალთა ფართე ფენებს. პარტია მთელ თავის ყურადღებას მიაქცევს იქითკენ, რომ გაზარდოს მუშა და გლეხ-ქალთა აქტივობა და ჩაბას ისინი საბჭოთა კავშირის აღმშენებლობით მუშაობაში. ქალთა აქტივობის გაძლიერებამ გაზარდა ქალთა პროცენტი როგორც პარტიაში, ისე ახ. ლენ. კომ. კავშირში. 1925 წელს პარტიაში იყო 1009 ქალი, ე. ი. მთელი შემადგენლობის 5,5 პროცენტი; 19226 წ.—1610, ი. 5,9 პროცენტი. ახ. ლენ. კომ. კავშირში 1925 წ. იყო 4841 ქალი, ე. ი. 11,7 პროცენტი, ხოლო 1926 წელში—8756, ე. ი. 14,6 პროც.

ამხ. როზა ლიუქსემბურგი

მიუხედავად ქალთა პროცენტის ასეთი ზრდისა როგორც პარტიაში, ისე ახ. ლენ. კომკავშირში, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ზრდა, პარტიისა და ახ. ლენ. კომ. კავშირის საერთო ზრდასთან შედარებით, საკმაო არ არის. და ამ დღეს, 8 მარტს, ეს პროცენტი უნდა გაიზარდოს პარტიაში შეგნებულ, ღირსეულ და აქტიურ მუშა-ქალთა მიღებით.

ძირითად საშუალებას, რომლითაც პარტია თავის პოლიტიკურ გავლენის ქვეშ აქცევს ქალთა მშრომელი მასების ფართე ფენებს, წარმოადგენენ სადელეგატო კრებები, რომელთა ზრდაც ნიშნავს პარტიის ზრდას და მის კავშირს მუშა და გლეხ-ქალთა უდიდეს მასებთან. სადელეგატო კრებები აღვიძებენ და იზიდავენ მშრომელ ქალთა ჩამორჩენილ ფენებს.

დელეგატ-ქალთა და სადელეგატო პუნქტების რიცხვის ზრდას მოწმობენ შემდეგი ციფრები. 1925 წელში დელეგატ-ქალთა რიცხვი უდრიდა 5015-ს, ხოლო პუნქტების—188-ს; 1926 წელში დელეგატ-ქალთა რიცხვი გაიზარდა 9679-დე (ზრდა შეადგენს 93 პრ.), ხოლო პუნქტ. 325-დე (ზრდა შეადგენს 77 პროცენტს), 1927 წელში დელეგატ-ქალთა რიცხვი ავიდა 12.000-დე (ზრდა თითქმის 24 პროცენტით 1926 წ. შედარებით), ხოლო პუნქტების რიცხვი—410-დე (ზრდა—26 პროცენტით).

რაც შეეხება ყველაზე უდიდეს მნიშვნელობის პოლიტიკურ ფრონტს—ქალთა მონაწილეობას საბჭოების გადარჩევაში 1925—26 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოების გადარჩევაში მონაწილე ქალების რიცხვი ავიდა 33,5 პროცენტამდე, ე. ი. გაიზარდა 12 პროცენტით 1924—25 წელთან შედარებით, ხოლო სულ მთელ საქართველოში საბჭოებში არჩეულ იქნა 1596 ქალი. 1926—27 წლის საარჩევნო კამპანიაში კი უკვე ირკვევა, რომ ჩვენ მოვახერხეთ მშრომელ-ქალთა ჩამორჩენილ ფენების ინტერესის გაღვიძება და მათი მოზიდვა. თუ 1925 წელში ახალციხეს მაზრაში ჩვენ გვყავდა 31 საბჭოს წევრი ქალი, დღეს უკვე გვყავს 45 ქალი; ახალქალაქის მაზრაში იყო 26, გვყავს—70, ბორჩალოს მაზრაში იყო—36, გვყავს—70; დუშეთის მაზრაში იყო—2, გვყავს—14.

ეს არასრული ცნობები მოწმობენ, რომ ჩვენ შევსძელით მუშა და გლეხ-ქალთა ახალი ფენების დაპყრობა და რომ ჩვენი პოლიტიკა, მიმართული საბჭოების გამოცოცხლებისაკენ, მიდის სწორი გზით.

შემდეგ ეტაპს წარმოადგენს მშრომელ-ქალთა ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პრაქტიკულ მუშაობაში და ამ მუშაობის შეთანხმება ყოველდღიურ მუშაობასთან წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში. საბჭოს-წევრ გლეხ-ქალის ჩაბმით პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენ უფრო მჭიდროთ ვაკავშირებთ საბჭოს სოფლის ფართო მასებთან, და ვეხმარებით პარტიას მასთან და მის გარშემო პარტიული აქტივის შექმნაში, იმ აქტივის, რომელსაც შეუძლია პარტიის დაკავშირება გლეხებისა და გლეხ-ქალების მასასთან.

ქალთა შეგნების გაღვიძების და ოჯახურ ბორკილებისაგან განთავისუფლების ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს მათი ჩაბმა კოოპერაციაში. ამ მხრივ ვისურვებდით, რომ უკეთესი მდგომარეობა შექმნილიყოს, რადგან სასოფლო კოოპერაციაში 1926 წ. ჩაბმულია ქალთა მხოლოდ 1,4 პროცენტი, ხოლო ქალაქის კოოპერაციაში 14.1 პროცენტი. ეს ციფრები სანუგეშო არ არის, და ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ კოოპერაციაში ჩავაბათ ქალების რაც შეიძლება მეტი რიცხვი.

ქალთა შორის მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს, აგრეთვე, აქტიურ პროფმუშაობაში მათი ჩაბმის ამოცანას. 1926 წელში ჩვენ გვყავდა ფაბქარხკომებში—670 ქალი, ე. ი. 13 პროცენტი, ფაბქარხკომების კომისიებში—1411, ე. ი. 13 პროცენტი, სამაზრო განყოფილებებში—127, ე. ი. 10,1 პროცენტი, ცენტრალურ გამგეობებში—30, ე. ი. 7,6 პროცენტი, სამაზრო პროფბიუროში—25, ე. ი. 8.4 პროცენტი და საქ პროფსაბჭოში—8, ე. ი. 3,9 პროც.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სუსტად არის დაყენებული მუშაობა პროფკავშირების წევრებს შორის, მათი ჩაბმის მხრივ სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანოებში და კულტგანმანათლებელ დაწესებულებებში და ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფსაბჭო სათანადო ყურადღებას მიაქცევს ამას.

უდიდეს საკითხს, რომელიც აფერხებს ქალთა შორის მუშაობას, წარმოადგენს უმუშევრობის საკითხი. ამ საკითხის გადაჭრაში შეუძლია და უნდა მიიღოს კიდეც მონაწილეობა შრომის სახალხო კომისარიატმა, რომლის წინაშეც წამოჭრილია უმუშევართათვის კოლექტივებისა და კურსების გახსნის ამოცანა, უმუშევართა და მათ რიცხვში ქალთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სერიოზული სამუშაო უძევს წინ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ ცაკთან არსებულ კომისიას. საქართველოს ცაკთან ეს კომისია არსებობს 1923 წლიდან და მუშაობს მისი უშუალო ხელმძღვ. ქვეშ, მეტად შეზღუდულ საშუალებების მიუხედავად, ამ კომისიას დიდი მუშაობა შეასრულა მშრომელ-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მხრივ. მას მოუხდება თავისი მუშაობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება და გაფართოება არტელების, საბავშვო ბაღების, საზოგადოებრივი სასადილოების გახსნის მხრივ და სხ.

გადახედავს რა განვლილ გზას—გაითვალისწინებს რა ჩვენს მიღწევებს და ნაკლულოვანებებს, ყოველი მუშა და გლეხი ქალი, განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა ადევნებდეს თვალყურს საბჭოთა კავშირის მოწოდების ნიშნებს, რომლებიც მოგვიწოდებენ ჩვენ ქალთა საერთაშორისო დღეს, სოციალისტურ მშენებლობისაკენ.

ეს ნიშნავს ქალთა მოკრეფას მშენებლობისათვის, და შეიარაღებას რევოლიუციისათვის. 8 მარტი უდიდესი დღესასწაულია. ის ანმტკიცებს პროლეტარულ მთლიან ფრონტს, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით დაიძრება მსოფლიო კაპიტალიზმზე იერიშის მისატანად. ქალთა საერთაშორისო დღე დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს იმპერიალისტების მზადებას ომისათვის და ამ მზადებასთან დაკავშირებულ ბოროტმოქმედებებს. ამ დღის ჩვენ სოლიდარობას უცხადებთ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ერებს, რომლებიც ირაზმებიან თავის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

უფრო ძლიერ, ვიდრე დღემდე, გამოვეხმაუროთ მათ ძახილს. შევამჭიდროვოთ რიგები და განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობა!

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს—8 მარტს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

შ. ჯაფარიძე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოციალიზმის აღმშენებლობა—ჩვენი საერთო ამოცანაა!

ქალი და კოოპერაცია

„ქალის სრულ განთავისუფლებლად და ქალი მამაკაცთან ნამდვილად გასათანასწორებლად საჭიროა, რომ იყოს საზოგადოებრივი მეურნეობა და რომ ქალმა მიიღოს მონაწილეობა საერთო საწარმოო შრომაში",—ამბობს ამხ. ლენინი.

კოოპერაცია ჰქმნის საზოგადოებრივ მეურნეობას და ხელს უწყობს კარჩაკეტილ ოჯახურ მეურნეობის მოსპობას. ამიტომ კოოპერაციის გაძლიერება ქალისათვის არის საუკეთესო გზა, რომელსაც ის მიჰყავს საზოგადოებრივი მუშაობისაკენ. კოოპერაცია ხელს უწყობს ქალის სრულ განთავისუფლებას იმ უნაყოფო და მეტად მძიმე ოჯახურ მუშაობისაგან, რომელსაც იგი დღეს აწარმოებს. აქედან ცხადია, რომ ქალის მონაწილეობა კოოპერაციაში, აძლიერებს რა კოოპერატიულ მოძრაობას, ხელს უწყობს ქალთა სრულ განთავისუფლების საქმეს.

რადგან ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქალისათვის კოოპერაციას, კოოპერატიულ მოძრაობაში იგი უნდა იყოს პირველ რიგებში და კოოპერატივს აფასებდეს არა როგორც უბრალო სავაჭრო დაწესებულებას, არამედ, როგორც ისეთ ორგანიზაციას, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. თუ ასეთი შეგნება იქნება გაღვიძებული ქალთა შორის, მაშინ ქალი შეიქნება თავდადებული და გულმოდგინე მუშაკი კოოპერაციაში. ასეთ მუშაკს კი აქვს უდიდესი სარბიელი კოოპერატიულ მოქმედების ასპარეზზე; კოოპერატიულ პროპაგანდის და კოოპერაციის ხელმძღვანელობის საქმეში ქალს შეუძლიან გამოიყენოს თავისი ცოდნა და გამოცდილება და მით ხელი შეუწყოს კოოპერაციის სწორედ ისეთ ორგანიზაციათ გადაქცევას, რომელიც მას შეუმსუბუქებს მდგომარეობას და სრულიად განათავისუფლებს ოჯახურ საქმიანობისაგან.

მუშა და გლეხ-ქალისათვის კოოპერაცია ისე, როგორც პროფესიონალური კავშირი, წარმოადგენს შეკავშირების საუკეთესო საშუალებას; ამიტომ განსაკუთრებით კომუნისტ-ქალებს მართებს ქალთა შორის ისეთივე აქტიური რევოლიუციონური მუშაობის წარმოება კოოპერაციაში, როგორსაც ისინი აწარმოებენ ამ მხრივ წარმოებებში.

კოოპერატიული მოძრაობა ძლიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს სრულიად შეგნებული და კოოპერაციის იდეებით გამსჭვალული მშრომელთა მასა. ამ მხრივ ქალს შეუძლია დიდი როლის ითამაშოს; ქალს დიდი გავლენა აქვს მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში; მისი გავლენით მოზარდი თაობა ბავშვობიდანვე შეითვისებს და შეიყვარებს კოოპერატიულ მოძრაობას.

კოოპერატიული მეურნეობა საზოგადოებრივი მეურნეობაა და ასეთი მეურნეობის განვითარებისათვის კი საჭიროა მის საქმიანობაზე მუდამ თვალყურის დევნება და მზრუნველობა. ასეთი მზრუნველი და თვალყურის მდევნელი თვით კოოპერაციაში შეკავშირებულ წევრთა შორის ხშირად ნაკლებად მოიპოვება. კოოპერატორ-ქალთა გამრავლება კი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებას კოოპერატიულ მეურნეობაში.

ყველა ამის გამო კოოპერატიულ მოძრაობაში ქალთა მონაწილეობის გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და ამიტომ კოოპერაციის მოღვაწეთაც მართებთ დიდი ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ გამრავლდეს კოოპერატორ-ქალთა რიცხვი.

ზარიანელი.


გაუმარჯოს 8 მარტს!

მშრომელ ქალთა სოლიდარობის დღე

ყოველ წელს 8 მარტს კომუნისტური პარტია ახდენს თავის სარეზერვო არმიის—მშრომელ ქალთა არმიის დათვალიერებას. 1927 წლის 8 მარტს კომუნისტური პარტია, პროფკავშირები და საბჭოთა ხელისუფლება ჯამს გაუკეთებენ ყველაფერ იმას, რაც გაკეთდა წარსულ წლებში მუშა და გლეხ ქალთა თანასწორუფლებიანობის მისაღწევად.

კომუნისტური პარტიის მუშაობის შედეგათ ქალების შეგნება იზრდება, დღითი-დღე იზრდება აგრეთვე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო დარაზმულ მუშა და გლეხქალთა რიცხვი. არ არის საბჭოთა აღმშენებლობის არც ერთი დარგი, სადაც მუშა ან გლეხქალებს თავისი წვლილი არ შეეტანათ სოციალისტური შენობის აგების საქმეში.

საბჭოებს, კოოპერაციას, პროფკავშირებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჰყავთ აქტიური მომუშავე მუშა და გლეხი ქალები, სადელეგატო კრებები ყოველ წელს გვაძლევენ აქტიურ მუშა ქალების ახალ ძალებს, რომელთაც გავლილი აქვთ კომუნიზმის, საბჭოთა აღმშენებლობის სკოლა. მაგრამ ყველაფერი გააკეთა თუ არა პარტიამ მშრომელ ქალთა ჩასაბმელად საბჭოთა აღმშენებლობაში, ამას დაგვანახვებს 8 მარტი, ქალთა შორის მუშაობის გამოცდის დღე, და თვითეულმა მუშა და გლეხ ქალმა 8 მარტისთვის უნდა შეამოწმოს ყველაფერი გააკეთა თუ არა მან იმისთვის, რომ დახმარებოდა პარტიას და ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარების საქმეში.

1927 წლის 8 მარტი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ჩატარდება სამეურნეო ცხოვრების განვითარების პირობებში; ამ დღეს საჭიროა, რათა მუშა ქალებმა შეამოწმონ რამდენათ აქტიურად ეხმარებიან ისინი მრეწველობის განვითარებას, რამდენათ შეიგნო გლეხ ქალმა სასოფლო-მეურნეობის განვითარების აუცილებლობა. ქალთა საერთაშორისო დღეს მუშა ქალთა აქტივმა უნდა თვალი გადაავლოს იმ ამოცანებს, რომლებიც სდგას საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელთა წინაშე მიმდინარე წელს და განახლებული ენერგიით უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები იმისთვის, რომ ჯერ კიდევ შეუგნებელ ქალთა მასები ჩააბან საბჭოთა კავშირის განმტკიცების საქმეში, მით უმეტეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ძლიერების ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად იზრდება კაპიტალისტური ქვეყნების მტრულობაც საბჭოთა კავშირის მიმართ. მათ თავის ბრწყინვალე სინათლით მოსვენებას არ აძლევს შუქურა, რომელსაც სოციალიზმის გზით მიჰყავს მთელი ქვეყნის მშრომელნი. მათი მტრული ხელი პირველ რიგში მიმართულია დასავლეთის და აღმოსავლეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელნიც იწყებს ბრძოლას მუშათა კლასის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის უღელ ქვეშ გმინავენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მუშები და მუშა ქალები, მაგრამ მიუხედავად აუტანელი და მძიმე პირობებისა კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლაში თანდათან ახალი ძალები გამოდიან. ცდილობენ რა დაამარცხონ მუშათა კლასი თავის ქვეყანაში, კაპიტალისტები ამავე დროს ქმნიან მთლიან რეაქციონურ ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 8 მარტს საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ ქალთა მასებმა კიდევ ერთხელ უნდა განაცხადონ, რომ ისინი მთელი ქვეყნის მუშათა კლასის რაზმის ნაწილს წარმოადგენენ, რომ მათთვის სულ ერთი არ არის როგორ ცხოვრობენ და იტანჯებიან მათი დები და ძმები ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომ ყველა მშრომელთა გამარჯვება მჭიდროთ დაკავშირებულია პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებასთან.



ამხ. კლარა ცეტკინ

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს, საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ ქალებმა უნდა განაცხადონ, რომ ისინი მზად არიან ყოველ წუთში და ყოველივე ძალღონით დაიცვან საბჭოთა ქვეყანა კაპიტალისტების თავდასხმისაგან, მზად არიან განამტკიცონ სოლიდარობა მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან და კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ სოციალიზმის დამყარებისათვის.

ო. კიდაიშ.

8 მარტი მთელი ქვეყნის პროლეტარ ქალთა და პროლეტარების დღეა!
განამტკიცეთ მუშა და გლეხ ქალთა კავშირი!
განვამტკიცოთ მშვიდობიანობა და მეგობრობა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის!

ჩვენი მოვალეობა

ყველა ერთა ცხოვრებაში, როგორც წარსულში, ისე ნაწილობრივ, დღესაც, ქალი მოკლებული იყო ყოველგვარ თავისუფლებას. მას ყოველმხრივ შეკრული ჰქონდა გზები.

დღეს კი, ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით, ქალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია. დღეს ქალს შეუძლია თავისუფალი განვითარება, სახელმწიფოს მართვა - გამგეობაში მონაწილეობა, და საერთოდ სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რომლითაც სარგებლობს მამაკაცი.

მაგრამ ასეა მხოლოდ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე; დანარჩენ ხუთ მეექვსედში კი ქალი ისევე უვიცი, ბნელი, ჩაგრული, უფლებააყრილი, მამაკაცისაგან დამოკიდებული ქმნილებაა, როგორიც იყო წარსულში.

ამიტომ ჩვენი ვალია უჩვენოთ მაგალითი უცხო ქალებს, — ვასწავლოთ მათ ბრძოლა და ის გზები, რომლითაც მივედით ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე.

გაუმარჯოს 8 მარტს — ქალთა განთავისუფლების დღეს!

მ. თარ—ძე

მუშავ, გლეხო! შენი თავისუფლება არ არის სრული, სანამ დამონებულია შენი და, ცოლი და დედა!

ერთი წლის მუშაობა

მიღწევები მეტეხის რაიონში

(თბილისი).

წარსულ წელს ქალთა შორის მუშაობა მეტეხის რაიონში საგრძნობლად გაცხოველდა. დელეგატ-ქალების გადარჩევის კამპანიამ მიიპყრო დიდი ყურადღება პარტიულ და პროფორგანიზაციების მხრივ. მეტეხის რაიონში არჩეულია 205 დელეგატი-ქალი. დელეგატ-ქალთა შემადგენლობა ყოველმხრივ უმჯობესდება წარსულ წელთან შედარებით. სადელეგატო კრებების მუშაობამ გეგმიანი ხასიათი მიიღო. მოხდა [illegible] დაყოფა: შემსუბუქდა მეცადინეობის პროგრამა და მეცადინეობის თეორეტიული მხარე უფრო მჭიდროთ დაუკავშირდა პრაქტიკულ საქმიანობას. კრებებზე დასწრება დელეგატ-ქალებისა უდრის 90 პროც. (წარსულ წელს კი 50 პროც. ესწრებოდა). პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია 135 ქალი (წარსულ წელს—70 იყო), სხვადასხვა კომისიებში 53 ქალი (წარსულ წელს—21), საბავშვო ბაღებთან მიმაგრებულია 9 ქალი, სადუქნო კომისიებში მუშაობს 45 ქალი (1926 წ.—18), კოოპერატიულ კომისიაში 58 ქ. ((1926 წ.—32) „მუშკოოპი"-ს რწმუნებულია 25 ქალი (წ. წელს—12), პიონერთა კოლექტივებთან მიმაგრებულია 33 ქალი, სახალხო მსაჯულებათ არიან 17 ქალი.

დელეგატ-ქალების საშუალებით მუშაობაში ჩაბმულ იქნა დანარჩენი ქალთა მასაც, შესამჩნევად გაიზარდა მუშკორ-ქალების რიცხვი, ამჟამად 78 ქალია მუშკორი, შარშან 32 იყო). გაღრმავდა და გაიზარდა ქალების მონაწილეობა საკლუბო მუშაობაში. ჩვენს რაიონში კლუბის წევრთა რიცხვი აღწევს 2.000-მდე, გამგეობის წევრი—9. სხვადასხვა წრეებში მონაწილეობას [illegible] 54 ქალი მუშათა ახალ [illegible] გახსნილია ქალთა კუთხე, სადაც მუშაობს ჭრა-კერვის სკოლა და სხვა წრეები.

ნ. თ—ილი.

რა გაკეთდა საგარეჯოში

(გარე-კახეთი).

გლეხ-ქალთა შორის მუშაობის საქმე საგარეჯოს რაიონში (საგარეჯოს და მანავის თემებში) კარგათ არის დაყენებული. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით და დახმარებით შარშან რაიონში ჩამოყალიბებული იყო ორი სადელეგატო ჯგუფი. წელს კიდევ ჩამოყალიბებულია ასეთი სამ ადგილას: სოფელ საგარეჯოში, ნინოწმინდაში და მანავში.

სოფელ საგარეჯოში სადელეგატო კრებას ხელმძღვანელობდენ მასწავლებელი ქალები. უჯრედიდანაც არის გამოყოფილი ამხანაგი, რომელიც სისტემატიურად ესწრება კრებებს. სოფელ ნინოწმინდაში (სადელეგატო კრებას) ხელმძღვანელობს პარტუჯრედიდან მიმაგრებული ამხანაგი, ასევეა სოფელ მანავშიაც. მთელ რაიონში სადელეგატო კრებებში ჩაბმული ასამდე გლეხი-ქალი მეცადინეობას ესწრება არადელეგატი ქალებიც.

სადელეგატო კრებები ყურადღებას აქცევენ გლეხ-ქალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმესაც. ეხმარებიან ქვრივ-ობლებს და სხვ. საფეიქრო სკოლამ, რომელიც აქ სულს ღაფავდა და უნდა დახურულიყო, ქალთა სადელეგატო კრებების ინიციატივით და ცალკე ამხანაგების დახმარებით, დატოვებულ იქნა; მას კიდევ მოემატა ჭრა-კერვის განყოფილება, სადაც სწავლობენ რამდენიმე ათეული გლეხი ქალიშვილები.

უკანასკნელ საბჭოთა არჩევნებში ქალებმა აქტიურ მონაწილეობა ღებულობდენ, რის შედეგად გაყვანილია საგარეჯოს საბჭოში 1[illegible] დეპუტატი-ქალი და მანავის საბჭოში—33 პროცენტი. აქტიური ქალები მუშაობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, მაგ., გლეხკომში, კოოპერატივში, სასამართლოში და სხვ.

ტასო იმნაიშვილისა.

მზად იყავით იმისთვის, რომ მუშებსა და გლეხებთან ერთად დაიცვათ მსოფლიოში პირველი საბჭოთა რესპუბლიკა!

ქალთა საერთაშორისო დღე „ზაკტპო"-ში

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დღეს, 8 მარტს, საღამოს ექვს საათზე, „ზაკტპო"-ს წითელ კუთხეში გაიმართება საერთო კრება „ზაკტპო"-ს, ა.-კ. საგზაო კომიტეტის და ა.-კ. საგზაო დამზღვევ სალაროს მუშა-მოსამსახურეთათვის, სადაც მოხსენებით გამოვა გამგეობის თავმჯდომარე ვ. აკიმოვი.

„ზაკტპო"-ს გამგეობის დადგენილებით: 1) საზოგადოებაში შემსვლელ ახალ წევრ მუშა-მოსამსახურე ქალს ეძლევა წლინახევრის ვადა საპაიო გადასახადის ნაწილობრივ დასაფარავად. 2) საზოგადოების წითელ სასადილო № 1-ლ (ლენრაიონში) დაერქმევა რვა მარტის სახელობის სასადილო და 3) ამ სასადილოში დაინიშნება თანამშრომლად დაწინაურების ღირსი მუშა-ქალები, რომლებსაც წამოაყენებს სათანადო ქალთა ორგანიზაცია.

შინაური.

მჭიდროთ შემოკრბით ლენინის პარტიის დროშის ქვეშ!
კომინტერნის დროშა მშრომელი ქალის დროშაა!

დღეს

— გაიხსნება სახლი უპატრონო ბავშვებისათვის — ვაშლოვანში.

— გაიხსნება ჭრა - კერვის სასწავლებელი სოფ. ბოგვში (გომბორის თემი).

— გაიხსნება დედათა და ბავშვთა დაცვის გამოფენა ქალაქში.

— დაიწყებს მუშაობას კონსულტაცია ფეხმძიმე ქალთათვის ორთაჭალაში.

— მოხდება ამხ. ფ. მახარაძის სახელობის ჭრა - კერვის სკოლის გამოშვება ავჭალის თემში.

— მოხდება თურქულ კლუბთან არსებულ წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის გამოშვება.

ქართველი მწერლების დელეგაცია სომხეთში

სრულიად საქართველოს გაერთიანებულმა მწერალთა კავშირმა სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის შირვან ზადეს პირით მიიღო მიპატიჟება ერევანში ამ გაზაფხულზე.

ამას კიდევ წინ უსწრებდა საუბარი სომხეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კარინიანთან „ქართულ მწერლობის" რედაქციის რამდენიმე წევრთა ამავე საგანზე.

ამ მოგზაურობას უეჭველია ორივე რესპუბლიკისთვის დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება.

შემდეგ ალბად თბილისში ჩამოვლენ სომხეთის მწერლები და აგრეთვე მოხდება შეთანხმებული გამგზავრება აზერბეიჯანში.

უეჭველი შეგნებული მოქალაქე და ჩვენ გვგონია მით უმეტეს მწერლები მოვალენი არიან გაამტკიცონ ის ერთსულოვანი კეთილმეზობლობის პოლიტიკა, რომელიც დასახული აქვს საბჭოთა კონსტიტუციას და რომლის საფუძველზე შენდება ახალი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

უკეთესი შვილები ორივე მოძმე ხალხისა დიდი ხანია იბრძვიან ამ კეთილმეზობლობისა და სოლიდარობის განმტკიცებისათვის. შეუძლებელია მართლა კავკასია იყოს მაკედონია და ყოველი საკითხი ხანჯლით და მაუზერით წყდებოდეს.

ვინც ემსახურება ამ პოლიტიკას, ის ამით ძირს უთხრის თავისი ერის კეთილდღეობას და ეროვნული ეგოიზმით დაბრმავებულს დაღუპვის კარამდე მიჰყავს თავისი ერი.

ასეთი მაგალითები წინად ბევრი ახსოვს როგორც საქართველოს, ისე სომხეთს—და ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ის ამბები სამუდამოთ გაქრა ახლობელ წარსულის სამწუხარო მოგონებათ. ამის დამთავრება იყო სომეხ-ქართველთა ომი 1919 წელს და ის შეურიგებლობის პოლიტიკა, რომელსაც ეწეოდენ ორივე მხრივ მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურნი—ეს ამავე ტაციტის სისადავით და ობიექტივობით აქვს მოყოლილი თავის საგულისხმო წიგნში ზურაბ ავალიშვილს „საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში"—სან-რემოს კონფერენცია.

თვითონ ისტორიულ წარსულში ქართველთა და სომეხთა შორის მყოფილა ისეთი კულტურული ურთიერთობა და იმდენად მყოფილან ორივე ერის მწერლობა დანათესავებული, რომ ხშირად ღრმად მეცნიერ მკვლევარებს უჭირდათ ზოგიერთი ისტორიული მწერლობის დოკუმენტების აღდგენა თარგმანიდან. ორივე ერი ხშირად ერთი მეორისაგან სთარგმნიდენ არა თუ ორიგინალურ ნაწარმოებს, არამედ ბერძნული ტექსტების თარგმანებსაც.

სულ უკანასკნელ ხანს აღსანიშნავია ამ დარგში სომხეთის ცნობილი პოეტის ოვანეს თუმანიანის მოღვაწეობა.

უნდა ითქვას სრულის გულწრფელობით, რომ ოვანეს თუმანიანი განხორციელებული მოციქული და აპოლოგეტი იყო კავკასიაში მოსახლე ერების სოლიდარობისა, და ამ დიდ საქმეში დიდი დამსახურება და ღვაწლიც მიუძღვის.

როცა 1919 წელს თუმანიანს 25 წლის იუბილე გადაუხადეს დიდი ზეიმით ჯერ ერევანში და შემდეგ თბილისში, ოვანეს თუმანიანის ამ საზოგადოებრივ დამსახურებაზე ერთპირად ლაპარაკობდა კავკასიის პრესა განურჩევლად მიმართულებისა და ეროვნებისა—განსაკუთრებით ამას ხაზს უსვამდენ ქართველი მწერლები.

თვითონ ეს მოგზაურობაც, რომელიც ეხლა არის განზრახული და იმედია განხორციელდება, შეადგენდა ოვანეს თუმანიანის დიდი ხნის სურვილს, ყველა ქართველ მწერალს ახსოვს ალბად, რომ როცა 1919 წელს ზაფხულს გაიმართა ქართველ მწერალთა კავშირის დიდი ტრადიციული ხადამი—ამ ხადამზე ოვანეს თუმანიანმა მოიყვანა საუკეთესო ნაწილი სომხეთის მწერლებისა:—ოვანეს თუმანიანი, შირვან ზადე, ვაგრამ პაპაზიანი, იონესიანი, დემირ ჩიანი, არტ. ოვანეს აზელიანი და სხვანი. ახალგაზრდა მწერლები—მაშინ ყოველ შემთხვევაში ეს სახელები თითქმის ამოწურავდენ სომხეთის მწერლობას.

ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ შემთხვევებისა, როცა ოვანეს თუმანიანი იყო დამწყები სომხებისა და ქართველებს შორის კულტურულ კავშირისა—როდესაც 1921 წელს ო. თუმანიანი იყო თავმჯდომარე „აიარტუნი"-ს, მისი თხოვნით, მოწყობილ იქნა საუბრები სომხეთის და საქართველოს ხელოვნებაზე, პირველი მოხსენება წაიკითხა გრიგოლ რობაქიძემ თანამედროვე მწერლობაზე, ამ მოხსენებას დაესწრო თბილისში მყოფი თითქმის ყველა სომხეთის მწერლები და საზოგადო მოღვაწენი—ხელოვნების სასახლეში განზრახული იყო სამაგიერო სალამოს მოწყობა ჯერ ოვანეს თუმანიანის შემოქმედებაზე და შემდეგ საერთოდ სომხურ ხელოვნებაზე, მაგრამ ო. თუმანიანის წასვლამ სტამბოლში და შემდეგ უეცარმა სიკვდილმა ამას შეუშალა ხელი.

სამაგიეროთ სამუდამოთ მოსაგონებლად დარჩება ერთი ამბავი.

საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნით სახალხო განათლების კომისარიატმა ოვანეს თუმანიანი შეიტანა საქართველოს პენსიონერთა სიაში. ოვანესისთვის ამას უფრო მორალური დანიშნულება ჰქონდა—ეს იყო სწორედ მისი სტამბოლში გამგზავრების წინ. გამოსათხოვარ ვახშამზე, რომელიც ამავე დროს გამართული იყო მისი პენსიონერთა სიაში შეტანის გამო, მან მიიწვია მთელი მწერალთა კავშირის საბჭო, და თბილისში მყოფი სომხეთის მწერლები და მოღვაწენი; ამ ბანკეტს დაესწრო განათლების კომისარი დავით კანდელაკი. სამუდამო მოსაგონარი იქნება ეს ღამე, რომელიც იყო ნამდვილი საიდუმლო სერობა სიყვარულისა და შორის პატივისცემისა. და განსაკუთრებით სიტყვები თვითონ ოვანეს თუმანიანისა, ვასილ ბარნოვისა, შიო არაგვისპირელისა და გრიგოლ რობაქიძისა.

მე თუ ვიგონებ დღეს ამ ამბებს მხოლოდ იმისათვის, რომ აღვნიშნო რამდენის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს, თუ ის არის ენტუზიასტი თავის საქმისა და თუ მას აქვს ისეთი ნდობა და სიყვარული მოხვეჭილი, როგორც ოვანეს თუმანიანს ჰქონდა...

ამის შემდეგ თითქმის შესწყდა ურთიერთობა ქართველ და სომეხ მწერალთა შორის და სწორედ დროულია ამჟამად ამ გრძნობის გაღვივება და გადახალისება.

ამისთვის უკეთესი შემთხვევა და შესაძლებლობაც არ იქნება, როგორც არის დელეგაციების დაგზავნა საკავშირო რესპუბლიკებში.

უეჭველია ჩვენს ერთი მეორეს დამოკიდებულებაში არ არის ძლიერი კავშირი, ჩვენ ძალიან ცუდათ ვიცნობთ ერთმანეთს და ერთმანეთის მწერლობასა და ხელოვნებას.

მიუხედავათ ასეთ ახლო მეზობლობისა ჩვენ არა გვაქვს ერთმანეთის მწერლობის თარგმანები, თუ სომხები კიდევ იცნობენ ქართულ თეატრსა, მხატვრობასა და მწერლობას, რადგან ბლომად არიან თბილისში და ამის გარდა ხშირად უხდებათ თბილისში ჩამოსვლაც; ბევრ ქართველ მწერალს წარმოდგენაც არ აქვს სომხეთის კულტურასა და მწერლობაზე, ქართველი მწერლების უმრავლესობა არც კი მყოფილან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში—ამიტომ თავის თავად ცხადია რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ დელეგაციის მოგზაურობას.

ჩვენ უფრო მჭიდროდ შეუკავშირდებით ერთმეორეს, გავიგებთ ერთმანეთის გულის ზრახვას და შემოქმედების ნაყოფს და ამით საძირკველი ჩაეყრება იმ კავშირს და ეროვნულ ურთიერთობას რომელიც უნდა იყოს თვითეულ ქართველი და სომეხი მწერლის იდეალი.

ასევე შეიძლება ითქვას აზერბეიჯანზე და სხვა საკავშირო რესპუბლიკებზე, სრულიად სამართლიანი იყო ამხ. ს. თოდრიას განცხადება ამას წინად თურქი მწერალის აბდულ რახიმ ახვერდოვის იუბილეზე, რომ ჩვენ სამარცხვინოთ ცოტა ვიცით ერთი მეორის შესახებ.

და თუ წინად ეს შედიოდა ცარიზ. ერთა გათიშვა პოლიტიკის ანგარიშში—ეხლა როცა პირიქით ყველაფერი ემყარება ამ ერთა შორის ძმობის განმტკიცებას, დანაშაულია, რომ ერთი მეორეს ვერ ვიცნობთ.

როდესაც მე წავიკითხე ვიკტორ შკლოვსკის „სანტიმენტალური მოგზაურობა" და „ომის შემდეგ"—მე გაკვირვებული დავრჩი, რომ ქართულ მწერლობაში არ უპოვია გამოძახილი სრულიად იმ დიდ ეპოპეას, რომელსაც აღწერს შკლოვსკი: თუ როგორ იხოცებოდენ თხმალეთის ფრონტზე ათასობით სომხები და აისორები. მართლაც გულშემზარავი სურათია, როცა ამერიკელი ექიმი შერი წინ მიუძღვის 6.000 ობლად დარჩენილ ბავშვს, რომელთაც დაკარგეს ყველაფერი: ადგილი, ბუდე, მშობლები, სარჩო და საბადებელი, და დარჩენ თავის თავს ამარა და რომელნიც სიკვდილმა შემთხვევით დაზოგა, რადგან ამერიკულ მისიას ვერ ეკარებოდენ გაავებული ქურთები.

ჩვენ მწერლობაში კი ამის შესახებ ერთი სტრიქონიც არ შეიხვდება და ეს ამბები კი ჩვენგან რამდენიმე კილომეტრზე ხდებოდა და რამდენიმე ქართველი ჯარისკაციც დაწოლილან ამ ფრონტზე სამუდამო ძილისათვის.

განა ბევრმა ქართველმა მწერალმა იცის უბრალოდ როგორ ცხოვრობს ჩვენი მეზობელი ხალხი, როგორ ლტოლვილთა ბედი, ლენინაკანის მიწისძვრით დარბეულთა ხვედრი—ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ მოსკოვის საილუსტრაციო ჟურნალებში თუ ვნახავთ რამდენიმე ეპიზოდს.

დღეს ყველა მოწმეა, რომ ომით დარბეული და განადგურებული სომხობა არაჩვეულებრივი ენერგიით იწყებს აღორძინებას და ახალ მშენებლობას, რომ აქ ყველა შეკავშირებულა მორიგ ამოცანებზე და ხალხი გაცხარებით ებრძვის ღარიბ ბუნებას ხასიათის ცქერის გაჩენისათვის.

აქ ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვნახოთ ისეთი, რაც გამოგვადგებოდა და ჭკუაში ჩაგვაგდებდა და რაც იძლევა წერისთვის კონკრეტულ მასალას.

უეჭველია ბევრი კიდევ რაც უნდა ითქვას ამის შესახებ, იქნება ელემენტარული ამბების გახსენება—მაგრამ ამგვარ უბრალო ელემენტებიდან შედგება ცხოვრება და საჭიროა ამის ანგარიშში გაწევა.

ჩვენ გვგონია, რომ ამ დელეგაციის მოგზაურობა ბევრ ახალ თაოსნობას მისცემს დაწყებას: ჯერ-ჯერობით საქართველოს სახელგამს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს წიგნი ოვანეს თუმანიანზე ქართულად და სომხურად. ამ წიგნში მოთხრობილი იქნება ის დიდი ღვაწლი, რომელსაც ეწეოდა ოვანეს თუმანიანი კავკასიის ერების დამეგობრებისათვის.

ეს წიგნი თან ჩაჰყვება დელეგაციას ერევანში, და მართლაც არ შეიძლება უკეთესი ადამიანის შეძღვნა წინ, როგორიც იყო ოვანეს თუმანიანი.

ამ დაახლოვებას უნდა მოჰყვეს თარგმანები სომხურიდან ქართულზე და ქართულიდან სომხურზე.

თუ წინად იყო ამის შესაძლებლობა—მით უმეტეს მეტი შესაძლებლობაა დღეს, როცა გამომცემლობის საქმე სახელმწიფოს ხელშია და ერთმანეთთან მეზობლური კავშირის გაბმა კიდევ შედის ამ სახელმწიფოს ანგარიშში.

რასაკვირველია უფრო მეტი იქნება სათქმელი და დასაწერიც, როცა ეს მგზავრობა მოხდება, როცა ჩვენ ვინახულებთ ერთი მეორეს და ავწონით კონკრეტულად შესაძლებლობას და საქმეს.

მაშინ საქმე თვითონ იტყვის თავის თავზე.

ტიციან ტაბიძე.

კრებები და თათბირები

ინჟენერთა და ტეხნიკოსთა ყრილობა

მეორე დღე

ინჟენერ ტეხნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს საქმიანობა

ინჟენერ-ტეხნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ამხ. კაკაბაძემ, მარჯარიანმა და ივანოვმა. მოხსენება წარმოადგენდა ბიუროს მოქმედების მიმოხილვას 1925 წლის მარტიდან ა.-წ. თებერვლამდე.

მოწყობის დღიდანვე ბიურო დაიყო საწარმოო, ეკონომიურ, კულტურულ და სატარიფო საყოფაცხოვრებო სექტორებათ. ორგანიზაციული მუშაობა დაეკისრა თვით ბიუროს პრეზიდიუმს. საკუთარ მუშაობას გარდა, ბიუროს დანიშნულებას წარმოადგენდა ცალკე კავშირებთან არსებულ საინჟენერო-ტეხნიკურ სექციათა ხელმძღვანელობა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში საანგარიშო პერიოდში შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: თვით ბიუროს ცენტრალურ კლუბში ბიუროს წევრებისათვის იკითხებოდა ლექცია-მოხსენებები თანამედროვე მეცნიერების ახალ მიღწევებზე, ხოლო მუშათა კლუბებს და რაიონულ კომიტეტებში საინჟენერო-ტეხნიკურ ძალების მიერ იკითხებოდა მეცნიერული ხასიათის საჭირო-პოპულიარული ლექციები მუშა მოსამსახურეთა ფართო მასსებისათვის.

მუშაობა არ განისაზღვრებოდა ლექციის კითხვით. ინჟ.-ტეხნიკოსთა სექციების დახმარებით მთელ რიგ წარმოებებში შეიქმნა და ჩამოყალიბდა საწარმოო-ეკონომიური თათბირები.

სატარიფო სექტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს შორის აღსანიშნავია შეღავათიანი საბინაო ტარიფის დაწესება ინჟენერ-ტეხნიკოსებისათვის, ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბავშვების უფლებრივი გათანასწორება მუშა-მოსამსახურეების ბავშვებთან (სკოლაში მიღების პირობები, სწავლის ფულის გადახდის მხრივ და სხვა), მთელ რიგ კონფლიქტების გარჩევა და გადაწყვეტა ბიუროს წევრთა სასარგებლოდ და სხვ. სატარიფო სექტორი ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე ინჟენერთა და საერთოდ სპეციალისტთა დატვირთვის შესამცირებლად. სექტორს ამჟამად გამორკვეული აქვს იმ თანამდებობათა რაოდენობა, რომელთა მუშაობის დრო არ არის განსაზღვრული.

დანარჩენები უნდა განთავისუფლდენ ზედმეტ სამუშაოსაგან.

ამხ. გ ჟურულაშვილის მოხსენება

ყრილობის მეორე დღის საღამოს სხდომაზე საქართველოს პროფმოძრაობის დღევანდელ მდგომარეობას ყრილობას აცნობს ამხ. გ. ჟურულაშვილი, რომელიც ვრცელ მიმოხილვას უკეთებს პროფკავშირების მუშაობას სატარიფო-ეკონომიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და საორგანიზაციო დარგებში. ეხება რა ინჟ.-ტეხნიკოსთა ძალების მონაწილეობის საკითხს მომხსენებელი ამბობს, რომ იქ, სადაც სპეციალისტთა მონაწილეობა აქტიურია და ენერგიული, საწარმოო თათბირები უფრო მეტს ნაყოფიერებას იჩენენ. საჭიროა, რაც შეიძლება უფრო მეტი ინჟ. ტეხნიკურ ძალების ჩაბმა საწარმოო თათბირების მუშაობაში.

ფაბრიკა-ქარხნებს, სადგურებს და მრავალ სამრეწველო დაწესებულებებს, რომელნიც ამ მოკლე ხანში მოეწყობა, დასჭირდება ბევრი სპეციალისტი და თუ აქედანვე ახალგაზრდები არ გაიწაფებენ და პრაქტიკული მუშაობით არ აამაღლებს თავიანთ კვალიფიკაცია, ჩვენი მრეწველობის აღორძინების პირველ წლებშივე საგრძნობი გახდება კვალიფიკაციურ სპეციალისტთა კრიზისი.

მესამე დღე

მესამე დღის დილის სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს ინჟ. ზაზოვმა ინჟენერ-ტეხნ. ცენტრალური კლუბის მუშაობის შესახებ, ქავთარაძემ — რკინიგზის ინჟ.-ტეხნიკოსთა ბიუროს მუშაობის შესახებ და ამხ. შენგელიამ — საბინაო კოოპერაც. მშენებლობის შესახებ. შემდეგ მოხსენებათა გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

განათლების მუშაკთა ყრილობა

დამთავრდა განათლების მუშაკთა კავშირის მე-6 ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მიიღო და დაამტკიცა რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებათა შესახებ.

კავშირის ცენტრალური გამგეობა.

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში ყრილობამ ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები — არჩილ მიქაძე (ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე), შ. გეგენავა (კავშირის პასუხისმგებელ მდივანი), პოლოხოვი, ფანცულაია, ასრიბეკოვი, ჭეიშვილი, აკ. თათარიშვილი, პროფ. აბულადიანი, ნინო ძიძიგური, სუხოვი, აკ. ჟუონია, მეავანაძე, მამულოვი, კარკოტაშვილი, ყოჩიაშვილი, კობახიძე, ჯაფარიძე, თათარიშვილი (გორიდან), ტ. ხუნდაძე, კრილოვი, კაკაბაძე, მდივანიშვილი და ხოლომონია. ამასთან ერთად არჩეულ იქნა 7 კანდიდატი.

დელეგატები განათლების მუშაკთა სრ. საკავშირო ყრილობაზე

განათლების მუშაკთა სრ. საკავშირო ყრილობის დელეგატებად ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ვუგალოკი, პოლტევაევი. არჩ. მიქაძე, შ. გეგენავა, პოლოხოვი, ნ. ჭეიშვილი, პროფ. აბულადიანი, ტორჩინავა, ზაზაშვილი, კვიცარიძე, ჭავჭანიძე, დალავერი, ნაცვლიშვილი; კანდიდატად — მარჯარიანი.

პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა ყრილობა

მეხუთე და მეექვსე სხდომა.

6 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პოლიგრაფიული ტრესტისა და სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენლების მოხსენებათა გარშემო. გამოსული ოპონენტები აღნიშნავდენ პოლიგრაფიულ მრეწველობაში შექმნილი კრიზისით გამოწვეულ უმუშევრობას. სტამბების დეფიციტიანობას და ეხებოდენ მომავალი მუშაობის პერსპექტივებს.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული პრაქტიკული წინადადებანი მომავალი ცენტრ. გამგეობის სახელმძღვანელოთ. პრაქტიკულ წინადადებათა შორის აღსანიშნავია წინადადებანი მასიური მუშაობის გაღრმავების, საქალაქო კონფერენციების ხშირად მოწვევის, ადგილებთან ცოცხალ კავშირის გაძლიერების და სხვათა შესახებ.

უკანასკნელი სხდომა.

უკანასკნელ სხდომაზე წაკითხულ და გარჩეულ იქნა რეზოლუციები ყველა მოსმენილ მოხსენებათა შესახებ.

რეზოლუციების მიღების შემდეგ მოხდა არჩევნები. ცენტრალურ გამგეობაში აირჩიეს: ამხ. ნ. ნიკიტინი, ა. ფანცულაია, ზარატაიძე, გ. ქარქაშაძე, კირკაშიძე, ჭყონია, ტატიშვილი, ნუგეშიძე, ნაცვლიშვილი, აკობოვი, რაშაკოვი, ცურინოვი, სოლ. არეშიძე, ზახიევა, შაირიანი, პიმენოვი, დოლიძე, ფერაძე და არჩვაძე. კანდიდატებად გავიდნენ: ხოსროშვილი, არსენაშვილი, არუთინოვი, მაჩაბელი, ქარუმიძე, მინასბეკოვი, გორგიაშვილი და ზურაბოვი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: მალაიანცი, სიხარულიძე და ოჯანეზოვი. კანდიდატებად—კუკულია და დალაქიანი.

კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ნიკ. ნიკიტინი, მდივნათ—ამხ. ა. ფანცულაია. ახალგაზრდათა შორის მომუშავეთ—ამხ. ტატიშვილი და ხაზინადრათ ამხ. ს. არეშიძე.

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა

(მეათე და მეთერთმეტე სხდომები).

6 მარტის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო განყოფილების წარმომადგენლის ამხ. მირიანაშვილის მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ მომხსენებელი ვრცლად ეხება ჩვენში მესაქონლეობის საქმის მდგომარეობას, პირუტყვთა მოვლა-მოშენებას, საქონლის ჭირთან ბრძოლას და სხვ.

მომხსენებელი განმარტავს აგრეთვე სავეტერინარო დარგში მომუშავე პერსონალის მდგომარეობას და მათი მუშაობის პირობებს.

მოხსენების გარშემო გამართული კამათი გრძელდებოდა საღამოს ((უკანასკნელს) სხდომაზედაც. კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის წარმომადგენლის ამხ. აკ. გორდელაძის მოხსენება.

დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლუციები ყველა მოსმენილ მოხსენებათა გარშემო, რის შემდეგაც ყრილობა გადავიდა ცენტრალური გამგეობის არჩევნებზე.

არჩევნები.

ცენტრალურ გამგეობაში აირჩიეს: ალ. ჯიჯაძე, პ. ცომაია, ვ. ანდღულაძე, ს. სტეპანოვი, ოქ. ფოცხიშვილი (გორიდან), გ. ხუნდაძე (აჭარისტანიდან), ა. თურქია (აფხაზეთიდან), ვლ. კანკავა (ქუთ.), მ. აკოპოვი, ნინა ჩარკვიანი, აკ. გორდელაძე, ქორიძე (თელავიდან), ორლოვსკაია, ჟორდანია, ნატროშვილი, კლ. ცომაია, გოგიბერიძე, ი. კვანტალიანი, რ. აბრამოვი, უდანოვი (სამხ. უწყებიდან) და ავთ. კვეტაიშვილი.

კანდიდატებად: ჰაიჭაძე, ჩიტუნაშვილი, ცაგარელი, ზესტაევი, ხალამატიშა, ზეჟანოვი და ბორისეიკოვი.

სარევიზიო კომისიაში გავიდენ: სან. კობალაძე, თ. კვანტალიანი, ხანუმიანი, კ. კაჭკაჭეიშვილი და კელლერი, კანდიდატებად—აბულადიანი და გოთოშია.

ც. გ. პირველი პლენუმი.

ახალი ცენტრალური გამგეობის პირველ პლენუმზე კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ალ. ჯიჯაძე და მდივნათ— ამხ. ვ. ანდღულაძე.

ა.-კ. სოც. უზრ. კომის. წარმომადგენელთა თათბირი

მეხუთე და მეექვსე სხდომა

6 მარტის დილ. თათბირმა მოისმინა საქ. გლეხკომების ცენტრალური კომიტ. წარმომადგენელის ამხ. ათაბეგოვ-ტუმასის მოხსენება გლეხკომების საქმიანობის შესახებ.

მომხსენებლის ცნობით, მთელ რესპუბლიკაში ამჟამად არის 739 გლეხკომი, ხოლო შარშან კი იყო 1870. გლეხკომების რიცხვის შემცირება აიხსნება თემგლეხკომების გაუქმებით. ყველა გლეხკომებს ამჟამად აქვთ 150 სხვადასხვა ხასიათის წარმოება. ყველა წარმოებები ლიკვიდირებულია. რესპუბლიკის გლეხკომების საერთო შემოსავალი უდრის 455.954 მანეთს, ხოლო გასავალი 271.527 მანეთს, ნაშთი თანხა, სახელდობრ, 184.426 მანეთი ხმარდება ღარიბ გლეხობისათვის დახმარების გაწევის საქმეს, კულტმუშაობას, სესხების გაცემას გლეხკომების წევრებზე, სას.-სამ. ინვენტარის შეძენას და სხვ.

მორიგი მოხსენებებით სომხეთის გლეხკომების მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ოხეპიანი. სულ სომხეთში არსებობს 9 სამაზრო, 38—სათემო და 908 სასოფლო გლეხკომი. ადგილებთან კავშირი და საინსტრუქტორო ხელმძღვანელობა სოფლის თემკომებზე მოიკოჭლებს.

საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა აზერბეიჯანის გლეხკომების წარმომადგენელმა ამხ. მუხტარ-გაჯიმ.

მთელ აზერბეჯანში ამჟამად არსებობს 1.084 სასოფლო გლეხკომი. ეს გლეხკომები აერთიანებენ 55.000 ღარიბულ გლეხს. ადგილებზე გლეხკომებს არ უწევენ შესაფერ დახმარებას ხელისუფლების ორგანოები, მაგრამ მიუხედავათ ამისა მუშაობა მაინც დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს. ადგილებზე სუსტია საინსტრუქტორო ხელმძღვანელობა.

უკანასკნელი დღე

მეშვიდე სხდომაზე დაიწყო კამათი. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ გლეხკომების მუშაობის გაძლიერების საჭიროებას, საინსტრუქტორო აპარატის გაუმჯობესებას და სხ.

მერვე სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლიუციები ყველა მოსმენილ მოხსენებათა შესახებ, რითაც დაიხურა თათბირი.

მკერავთა კავშირის მე-6 ყრილობა

მეორე სხდომა

მკერავთა კავშირის მეორე სხდომა მთლიანად მოუნდა კამათს ამხ. საკალინსკის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ამხანაგმა, რომელნიც აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მიექცეს სერიოზული ყურადღება საკერვალო დარგის განვითარებას საქართველოში.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ყაჯარაშვილის მოხსენება კავშირის ცენტრალურ გამგეობის მუშაობაზე.

მოხსენებაში ამხ. ყაჯარაშვილი შეეხო იმ მიზეზებს, რომელნიც უშლიდენ ხელს გამგეობის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

კავშირში ირიცხება სულ 1.265 წევრი, აქედან თბილისზე მოდის 1.130 კაცი, პროვინციაზე კი—135 კაცი. მათ შორის უმუშევარია 519 კაცი.

ცენტრალური გამგეობა სცდილობდა ეშოვნა სამუშაო უმუშევარ წევრთათვის და უწევდა მათ მატერიალურად დახმარებას შეძლებისდაგვარად.

კავშირს აქვს სამი დამხმარე სალარო.

ცენტრალურ გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებულია ფაბრიკა-ქარხნებში და საწარმოო დაწესებულებებში 22 კრება, რომელზედაც ირჩეოდა კულტურული და სხვა საჭირბოროტო საკითხები.

კამათში ცენტრალური გამგეობის მუშაობის გარშემო მონაწილეობა მიიღო 16 ორატორმა. ისინი აღნიშნავდენ, რომ მუშაობა ქალთა შორის მოისუსტებს, ახალგაზრდობა ვერ არის ჩაბმული მთლიანად პროფმუშაობაში. ამხანაგები შეჩერდენ აგრეთვე ბიბლიოთეკის სუსტ მუშაობაზე, საწევრო გადასახადის მოუწესრიგებლობაზე და სხვა.

კამათის შემდეგ ყრილობამ ცენტრალურ გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. მახარაძის მოხსენება სააქციო საზოგადოება „მკერავი"-ს მუშაობის შესახებ.

ყრილობამ მიანდო ცენტრ. გამგეობას პრაქტიკული ღონისძიებების გამომუშავება აღნიშნულ საზოგადოების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ ყრილობა ირჩევს ცენტრალურ გამგეობის ახალ შემადგენლობას.

წევრებად გამგეობაში არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. ყაჯარაშვილი, კაციევი, ოხიპოვი, თვაკიმიანი, ჯალამაძე, არაზაჯიანი, ედელშტეინი, აგლოდა, არუთინოვი, ზარიძე, მახვილაძე, ყუფარაძე და შალქიანი.

კანდიდატებათ— ჯავახოვი, მეტრეველი, ჩუჟინოვი, ბაიანდუროვი და ხორხომელიძე.

სარევიზიო კომისიაში ყრილობამ აირჩია ამხ. ამხ. ტარუნოვი, რამიშვილი და დიაჩკოვი; კანდიდატებათ არუთინოვი და თათოიანი.

სრულიად საკავშირო მკერავთა მე-8 ყრილობაზე დასასწრებლად ყრილობამ ერთხმად აირჩია ამხ. ყაჯარაშვილი.

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიისა და რეზოლიუციების შემმუშავებელი კომისიის მოხსენებანი.

ყველა მოსმენილ საკითხებზე ყრილობამ მიიღო წარმოდგენილი რეზოლიუციები.

დასასრულ დაიწყო ახალი ცენტრალური გამგეობის არჩევა. ც. გამგეობაში გავიდა 23 წევრი და 9 კანდიდატი.

ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხ. ფირალოვი (თავმჯდომარე), ამხ. კომახიძე (მდივანი და სატ.-საეკ. განყ. გამგე), ამხ. ჯაფარიძე (საორგანიზაციო განყ. გამგე), გაბუნია (კულტ. გან. გამგე), ოგანეზოვი (ინსტრუქტორათ) და წევრებათ ამხ. კინწიშვილი და ხაჭაპურიძე

პროფ. ს. გოგიტიძის გარდაცვალების გამო

პროფესორ სიმონ გოგიტიძის ხსოვნას



დღეს უკანასკნელად გამოვა უნივერსიტეტიდან სიმონ გოგიტიძე და გამოეთხოვება ამ სოფელს. თანახმად მისი სურვილისა მის კუბოსთან დღეს არავინ არაფერი არ უნდა სთქვას, მაგრამ საერთო გლოვის დროს ძნელია ამ ანდერძის აბსოლიუტურად შესრულება და შეუძლებელია უხმოთ გამოვეთხოვოთ იმ ღვაწლმოსილ ადამიანს, რომელიც ფრიად ძვირფასი იყო ჩვენთვის.

ხანმოკლე იყო მისი ფაქტიური მუშაობა საქართველოში—1921 წლ. დღემდის—მაგრამ დიდი და თვალსაჩინო თავისი სივრცით და შინაარსით.

სიმონ გოგიტიძე მოვიდა საქართველოში, როგორც ძველი პროფესორი, აღჭურვილი მეცნიერული ცოდნით და აკადემიური გამოცდილებით, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე, ჩვენში სამეცნიერო მუშაობის შესაძლებლობის პერსპექტივებით აღფრთოვანებული, და ეს დიდი ბედნიერება იყო ახლად დაარსებული ჩვენი უნივერსიტეტისათვის.

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ კიდევ 35 წლის განმავლობაში მოშორებული საქართველოს, ის მუდამ თავის ქვეყანაზე ოცნებობდა, და როდესაც დადგა შესაფერი დრო, ის სულით და გულით აქეთ მოისწრაფოდა.

როდესაც 1920 წელში უნივერსიტეტის სახელით ერთხმად აირჩია სიმონ ბავშვთა სნეულებათა კათედრაზე; და მას ეს ვაცნობეთ, მადლობასთან ერთად აი რას მწერდა იმავე წლის მაისში: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ შემთხვევაში მე კარიერას არ ვეძებ, მაგრამ, მართალი გითხრა, ქართულ უნივერსიტეტში მუშაობა, რაც უნდა დამემართოს, მაინც მირჩევნია, რადგან მწყურია ღრმათ შეძლებისდაგვარად ვემსახურო ჩემ მშობელ ქვეყანას და ხალხს, ახლად დამდგარს თავისუფალი აღორძინების გზაზე, და ჩემი მცირედი წვლილიც შევიტანო მისი ცხოვრების ახალ მშენებლობაში. ამისათვის, არ დაგიმალავ, წერილი მეტად მახარა თქვენმა უწყებამ ჩემი არჩევის შესახებ, რადგან ეს არჩევა მაძლევს საფუძველს ვიფიქრო, რომ ჩემი აქ მუშაობის წინააღმდეგი არავინ არის. რასაკვირველია, რომ არ ავერჩიე უნივერსიტეტის კოლეგიუმს, მე მაინც გადაწყვეტილი მქონდა წამოსვლიყავი საქართველოში სამუშაოდ თუ უნივერსიტეტში არა, სხვა სპეციალურ-საექიმო ასპარეზზე, რომელზედაც, შეიძლება, ჩემი მუშაობა არა უარესი დარჩეს, ვიდრე უნივერსიტეტში. ახლა უნივერსიტეტისაგან არჩეულს უფრო თავისუფლად შემიძლია თქვენს წრეში ჩავირიო და ერთად ვეწიო უსათუოდ მძიმეს, მაგრამ მაინც სასურველ და ძვირფას ჭაპანს".

ადვილი არ არის საზოგადოთ სამეცნიერო ასპარეზზე და მით უმეტეს ძნელი იყო იმ დროს გზის გაკაფვა და უნივერსიტეტის პროფესორის სახელის მიღება ქართველი კაცისთვის, როდესაც ძნელი იყო თვით გიმნაზიაში შესვლაც და გათავებაც და მიუხედავათ მრავალი და მრავალი დაბრკოლებისა ღირსეულად გაიკაფა სიმონმა ეს ეკლიანი გზა ს. დვაბზუდან ოზურგეთამდის, სადაც ის 4 ვერსტის მანძილზე ფეხით დადიოდა სასწავლებელში, ოზურგეთიდან ქუთაისამდე და იქიდან შორეულ კიევსა და ოდესამდის.

დიდმა დრომ განვლო უნივერსიტეტის გათავების შემდეგ სიმონის შინ დაბრუნებამდის, მაგრამ სწორედ ამ დიდი დროის განმავლობაში შეიძინა იმან ის ხელუხლებელი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამშვენებდა სიმონს და რითაც ის შეიქნა დიდათ თვალსაჩინო და საიმედო წევრი ჩვენი უნივერსიტეტის.

როდესაც იმას წილად ხვდა პედიატრიის პატრონობა და ხელმძღვანელობა ორ უნივერსიტეტში — ოდესისა და თბილისისაში,—ის გატაცებული იდეალისტის სიყვარულით, ერთგულებით და ენერგიით უვლიდა, ანვითარებდა და ასწავლიდა ახალგაზრდობას ადამიანის ცხოვრებაში ამ ფრიად მნიშვნელოვან დისციპლინას.

ჩვენ, ოდესელებს, დღესაც კარგად გვახსოვს ის თავგამოდებული ბრძოლა, რომელიც მას მოუხდა ოდესის უნივერსიტეტში ამ დიდი საგნის ჯეროვან სიმაღლემდის ასაყვანათ. მის პირველხარისხოვანი დისციპლინის სახელის გასამტკიცებლად და კლინიკის გასაფართოებლად. გვახსოვს ის სიძნელეებიც, რომელნიც ეღობებოდენ მას წინ ამ თითქმის ახლათ დაწყებული საგნის სწავლების საქმეში ფართო მოცულობით, და მიღწევა მის მიერ სასიხარულო მიზნის, როდესაც უკმაყოფილონიც კი აღიარებდენ, რომ გოგიტიძე უსათუოდ იძლევა ცოდნას სტუდენტობას.

აქ, თბილისში კიდევ მეტი ზრუნვა და ენერგია იყო საჭირო ახალი საქმის განსამტკიცებლად და ასამაღლებლად, ახალ მუშაკთა კადრის შესაქმნელად, ამ 6 ნაკ. წლის სივრცეზე ყველა ხედავდა, როგორ შეეწირა იგი მთელი თავისი არსებით ამ წმინდა საქმეს. ამ საქმისთვის ის არ ზოგავდა თავს და მოწაფეეთაგანაც მოითხოვდა მის ბეჯითად შეთვისებას, რადგანაც მტკიცეთ სწამდა ბავშვთა სათუთი ორგანიზმის შესწავლის დიდი მნიშვნელობა ხალხის ფიზიკურათ დაწინაურებისა და ცივილიზაციისათვის.

ამას გარდა, ყველამ იცის, როგორი ენერგიით და თავგამოდებით იცავდა მუდამ ეს გულ ახდილი და დიდად პატიოსანი ადამიანი აკადემიურ და მეცნიერულ პედაგოგიურ პრინციპებს. სიმონ გოგიტიძის მთელი ცხოვრება სწორედ იმით იყო განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ის იყო პრინციპის კაცი, სრულიად უანგარო და რაინდულად პირდაპირი, როგორც მეცნიერულ-პედაგოგიური, ისე ადმინისტრატიულ-პრაქტიკულ საქმეებში, ის მუდამ, ყოველი ოფიციალური და კერძო სადავო საკითხის შესახებ თავგამოდებული კამათის შემდეგაც კი იგივე დარბაისელი, კეთილი და გულწრფელი სიმონი იყო, ერთგულად გამტანი ყოველ კარგ საქმეში თავისი მოწინააღმდეგის.

და ეს დიდი ადამიანი, რომელსაც ასე მაღლა ეპყრა ანთებული ჩირაღდანი მეცნიერული, ჰუმანური პრინციპების სინათლისა და სითბოს გასავრცელებლად, დღეს სამუდამოთ გვშორდება. დაიღალა და მოიშალა მისი ენერგიული კეთილი, თბილი გულის აპარატი, და სტოვებს ის დაობლებულ საკუთარ სამ მცირეწლოვან შვილს, მგლოვიარე უნივერსიტეტს და თავის საყვარელ ერს.

სიმონ გოგიტიძის შემდეგ რჩება სიცარიელე, რომელიც დიდხანს, დიდხანს იქნება მწვავეთ საგრძნობი უნივერსიტეტისა და საზოგადოებისათვის.

იასონ მოსეშვილი.

პროფესორი სიმონ გოგიტიძე

ამა წლის 4 მარტს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ბავშვთა კლინიკის დირექტორი სიმონ გოგიტიძე. ულმობელმა სიკვდილმა მოსტაცა საქართველოს კულტურულ მუშაკებს ერთი საუკეთესო მოღვაწე აკადემიურ, სამეცნიერო-საექიმო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. ეს დანაკლისი განსაკუთრებით საგრძნობია ეხლა—საქართველოს კულტურისა და მეცნიერების აღორძინების ხანაში. ქართველი ხალხი შეიძლება საკმარისად ვერ იცნობდეს პროფ. ს. გოგიტიძეს, რადგანაც იგი აკადემიურ მოღვაწეობას, თვითმპყრობელური მთავრობის გასაგებ პოლიტიკის გამო, ეწეოდა თავის სამშობლოს გარეშე, უმთავრესად კიევსა და ოდესაში. მხოლოდ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში მიეცა იმას საშუალება საქართველოში მუშაობის და ამ, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაშიაც პროფ. ს გოგიტიძემ დაიმსახურა განსაკუთრებული პატივისცემა, დიდი ავტორიტეტი და სიყვარული თბილისის აკადემიურ წრეში, საქართველოს ექიმთა შორის და საზოგადოების ფართო ფენებში.

პროფ. ს გოგიტიძის სახელი, როგორც მეცნიერის, ცნობილია არა მარტო ს.ს.რ.-კ-ში, არამედ საზღვარ-გარეთაც. მისი მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მოთავსებულია უმთავრესად რუსულ და გერმანულ სპეციალურ ჟურნალებში. აქ არ არის ადგილი პროფ. ს. გოგიტიძის მეცნიერულ ნაშრომთა შეფასებისათვის. მოუთითებთ მხოლოდ, რომ მისი გამოკვლევების შედეგები, მაგ., სხეულის ცხიმების რძეში გადასვლის შესახებ შეტანილია გერმანულ და სხვა სპეციალურ სახელმძღვანელოებშიც კი. საქართველოში მან დასწერა ვრცელი ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომელიც ეხლა იბეჭდება და რომლის გამოცემის ხილვა ვერ ეღირსა. ხანგრძლივი, თითქმის 30 წლის, აკადემიური მუშაობით ჯერ კიევში და შემდეგ ოდესაში და თბილისში, პროფ. გოგიტიძემ დაიმსახურა აკადემიის საუკეთესო ნაწილის, უაღრესად პრინციპიალური და ობიექტიური აკადემიური მოღვაწის სახელი. ოდესაში იგი ეკუთვნოდა პროფესორთა ი. ჩ. მეჩნიკოვის ჯგუფს და ყველა, მათ შორის მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც, მას „ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სინდისს" უწოდებდენ.

უდიდესი ერუდიციით და გამოცდილებით აღჭურვილი ბავშვთა სნეულებებში, განსაკუთრებით საუკეთესო ხელმძღვანელი იყო მის კლინიკაში მომუშავე ექიმთათვის და მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი მეცნიერული ღირებულების გამოკვლევები.

როგორც ექიმი-კლინიცისტი, პროფ. გოგიტიძე ყოველთვის განირჩეოდა წმინდა მეცნიერული მიდგომით ავადმყოფისადმი, ზედმიწევნითი ჰუმანიურობით და განსაკუთრებული სიყვარულით თავის პატარა პაციენტებისადმი—ბავშვებისადმი.

თავის დაუშრეტელ ენერგიას და დაუღალაობას პროფ. გოგიტიძე იყენებდა არა მარტო წმინდა აკადემიური და მეცნიერული მუშაობისათვის. იგი როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ითვლებოდა და ითვლება მრავალ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიური წევრი და ხელმძღვანელი. [illegible] ბების ხელმძღვანელის ან კონსულტანტის მოვალეობას.

ზედმიწევნით გულკეთილი და თავმდაბალი იგი ყოველთვის და ყველას მიერ ცნობილი იყო როგორც უაღრესად პატიოსანი, გულწრფელი და პირდაპირი ადამიანი. მან მთელი თავისი ცოდნა, ძალა და ღონე შესწირა მეცნიერებას და სიკვდილის შემდეგ მას, გარდა მდიდარი ბიბლიოთეკისა პედიატრიის დარგში, არაფერი დარჩენია.

პროფ. გოგიტიძის სახით სტუდენტობამ დაჰკარგა საუკეთესო პედაგოგი, ბავშვთა კლინიკამ ბრწყინვალე ხელმძღვანელი, სამკურნალო ფაკულტეტმა და უნივერსიტეტმა გამოცდილი და დამსახურებული კლინიცისტი, ერთგული აკადემიური მოღვაწე და ერთ-ერთი დამამშვენებელი და სასიქადულო წევრი.

პროფ. ს. გოგიტიძის სიკვდილი უბედურებაა არა მარტო საქართველოსთვის. მისი სიკვდილი მწუხარებით აატოკებს რესპუბლიკათა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში მომუშავე მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს.

ვ. ჟ.

მასწავლებლის ხსოვნას

ძვირფას პროფ. სიმონ გოგიტიძის სახით სტუდენტობამ და ექიმებმა დაკარგეს შეუდარებელი მასწავლებელი. მხოლოდ ბავშვებმა, უსაყვარლესი ადამიანი, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს.

ძვირფას განძის დაკარგვა ყველაზედ მგრძნობიარეა მის მოწაფეებისათვის, ახალგაზრდა ექიმებისათვის!

მისი ყოველი სიტყვა. ჩვენ გვამხნევებდა, გვაკაჟებდა და გვამზადებდა სამკურნალო ფრონტზედ ღირსეულად ბრძოლისათვის.

პროფესორი გოგიტიძე მუდამ სცდილობდა თავისი ცოდნით და მოპყრობით ეჩვენებინა ახალგაზრდა მასწავლებელთათვის ექიმ-მოქალაქის მოვალეობანი.

იგი ყოველ წუთს, ყოველ წამს შეუდარებლად ასრულებდა თავის მოწოდებას—ამით უფრო მეტად გვხიბლავდა, გვიზიდავდა და გვიმხნევებდა ექიმებისათვის საჭირო ენერგიას და ეთიკას. თავისი სპეტაკი ხასიათით მან შესძლო უფრო მეტად ბავშვების შეყვარება.

და ნაკლისი აუნაზღაურებელია! ჩვენი, ახალგაზრდა ექიმების მოვალეობაა ძვირფას წინაპრის ყოველი სიტყვისათვის უფრო მეტი ანგარიშის გაწევა, მისი ყოველი აზრით მომავალში ხელმძღვანელობა...

მხოლოდ ტკბილ მასწავლებლის სახე, როგორც სიმბოლო ქართული აკადემიის ტრადიციისა, ყოველ ჩვენთაგანში წარუშლელად აღბეჭდილი დარჩება...

მშვიდობით დიდო მეცნიერო, მასწავლებელო.

მოწაფეთა დავალებით ექ. ა. ზურაბიშვილი.

დაკრძალვის წესი

(პროფ. სიმონ გოგიტიძის დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიისაგან).

1) ორშაბათს, 7 მარტს და დაკრძალვის დღეს, სამშაბათს, 8 მარტს, უნივერსიტეტში შეწყვეტილ იქნას ყველა ლექციები და პრაქტიკული მუშაობანი.

2) კვირას, 6 მარტს, საღამოს ექვს საათზე ცხედარი ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტიდან გადასვენდეს უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.

3) უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შეუწყვეტლივ იმორიგეოს საპატიო ყარაულმა, რომელიც შესდგება ოთხ-ოთხი კაცისაგან: ერთი პროფესორი, ერთი ასისტენტი, ერთი ორდინატორი და ერთი სტუდენტი.

4) ორშაბათს, 7 მარტს, საღამოს 5 საათზე დაინიშნოს სამოქალაქო პანაშვიდი.

5) ცხედარი დასვენდეს ნიკოლოზის სასაფლაოზე, თანახმად განსვენებულის თხოვნისა, მისი მეუღლის გვერდით.

6) გამოსვენება უნივერსიტეტის მთავარი შენობიდან ნიკოლოზის სასაფლაოზე დასასაფლავებლად მოხდეს სამშაბათს, 8 მარტს, დღის 4 საათზე.

7) სამგლოვიარო პროცესიაში უშუალოდ ცხედარის კუბოს უკან მიდიან მისი ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, შემდეგ კი თანმიმდევრობით: მთავრობის წარმომადგენლები, პროფესორები, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაკები, სამკურნ. ფაკ. სტუდენტობა კურსობრივ, სხვა ფაკულტეტების სტუდენტობა და ცხედარის სხვა პატივისმცემელნი.

8) განსვენებულის სურვილის მიხედვით არც პანაშვიდებზე და არც დაკრძალვის დროს სამგლოვიარო სიტყვები არ იქნას დაშვებული.

9) უნივერსიტეტის მთავარ შენობაში, რექტორის კაბინეტში (ტელ. № 21—76) განუწყვეტლივ მორიგეობენ კომისიის წევრები, რომლებიც აწვდიან მსურველთ ყოველგვარ ცნობებს დაკრძალვის შესახებ.

10) წესრიგს უნივერსიტეტის შენობაში, სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობის გზაზე და სასაფლაოზე იცავს სტუდენტთა მიერ გამოყოფილი ორგანიზაცია.

მუშათა ცხოვრება

გაუმარჯოს განთავისუფლებულ მშრომელ ქალს

რვა მარტი ღირსშესანიშნავია მით, რომ მონობაში მყოფი კაცობრიობის ერთი ნახევარი—ქალი სრულუფლებიანი და თავისუფალი მოქალაქეა საბჭოთა რესპუბლიკაში. ოქტომბრის დიადმა რევოლიუციამ მშრომელ ქალს იგივე უფლებები მიანიჭა, როგორითაც მამაკაცები არიან აღჭურვილნი. ვინ უნდა გაანთავისუფლოს დღეს მონობაში დარჩენილი მშრომელი ქალი ქვეყნის დანარჩენ ნაწილში? ეს განთავისუფლება წილად ერგო მებრძოლ რევოლიუციონურ კლასს, მის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას.

თუ ერთი მხრით საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელი ქალი პოლიტიკურად სწორუფლებიანად ითვლება, მეორე მხრით, ჯერ კიდევ ბევრი აქვს მუშათა კლასს გასაკეთებელი იმისათვის, რომ ქალმა გამოიყენოს ეს უფლებები. საერთო ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, კულტურული ჩამორჩენილობა და ამასთან დაკავშირებული განვითარების შედარებით დაბალი დონეზე, ქალთათვის კიდევ ბევრ დაბრკოლებებს ქმნიან მისი სრულიად განთავისუფლების საქმეში, რაც ძლიერ აფერხებს მუშათა კლასის კულტურულ დაწინაურების საქმეს, საერთოდ.

მშრომელი ქალების საერთო-საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაბმა ძლიერ ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს, როგორც ამიერ კავკასიაში, ისე საქართველოშიაც. ჯერ კიდევ, მიუხედავად საბჭოთა საქართველოს 6 წლის არსებობისა, ჩვენი ქალები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში; სამწუხაროდ ეს აიხსნება იმ ძველი ტრადიციებით, რომლის გავლენა თავის დაღს ასვამს ისეთ სხვადასხვა ერებით აჭრელებულ ქვეყანას, როგორიცაა ამიერკავკასია და ამ ძმურ ფედერაციაში შემავალი საქართველო.

ჩვენი ქვეყანა ეკონომიურ დაწინაურების გზაზე დგება. იხსნება ქარხნები, ფაბრიკები, სხვადასხვა წარმოებები, სადაც მამა-კაცებთან ერთად ქალებიც ჩაებმებიან. ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება ეკონომიურ განთავისუფლებას მიანიჭებს ქალს. ქალი თანდათან დააღწევს თავს მამაკაცისაგან დამოკიდებულ მდგომარეობას, ის თანდათანობით თავისუფლდება კიდეც, მაგრამ ჯერ ბევრი გვმართებს ამ მიმართულებით ვიმუშაოთ. ის მონობა, რომელსაც დღეს ქალი განიცდის სამზარეულოში და ოჯახში, შესაძლებელია მოესპოთ ჩვენი ეკონომიური აღორძინების გზით.

მუშა და გლეხ ქალმა რეალურად უნდა იგრძნოს ის დიადი მონაპოვარი, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ მიანიჭა მას. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებით, მისი ეკონომიური—აღორძინების განვითარებითი და იმ ზომების ცხოვრებაში განხორციელებით, რომელიც ყველა მშრომელ ქალს გაანთავისუფლებს სამზარეულოსა და ოჯახის მონობისაგან.

გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა დღეს—8 მარტს.

მუშკორი უ. ჯაში.

მშრომელი ქალის დღე.

8 მარტი—ქალთა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს ყოველწლიურად დიდი ზეიმით იხდიან მთელი ქვეყნის მუშა და გლეხი-ქალები, გამოდიან ქუჩებში, ათვალიერებენ და რაზმავენ თავის რიგებს.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქალები ჯერ კიდევ მონურ მდგომარეობაში არიან; აქ ისინი კაპიტალისგან ორმაგ ჩაგვრას განიცდიან: ჯერ როგორც ქალი, ყოველ უფლებას მოკლებული, და შემდეგ,—როგორც მშრომელი. 8 მარტს აქ მშრომელი ქალები იყენებენ დანარჩენ მუშებთან ერთად ახალი ორგანიზაციების შესაქმნელად, თავისი რიგების განსამტკიცებლად კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სულ სხვაა საბჭოთა რესპუბლიკებში. ოქტომბრის რევოლიუციამ აქ მოსპო ყოველგვარი ჩაგვრა, მონობა; მოსპო მშრომელი ქალის მონობაც. მშრომელთა ქვეყანაში ქალი იმავე უფლებებით სარგებლობს, როგორითაც მამაკაცი. მშრომელთა რესპუბლიკის კანონმა არ იცის განსხვავება მამაკაცსა და დედაკაცს შორის, ის ყველას ერთნაირად იცავს. საბჭოთა რესპუბლიკაში მშრომელი ქალები 8 მარტს დღესასწაულობენ თავის განთავისუფლებას მრავალ საუკუნეების მონობისაგან. აქ 8 მარტი ჩატარდება მშრომელი ქალის აქტივობის ზრდის, მისი საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაობაში ჩაბმის ნიშნის ქვეშ.

რვა მარტმა ხელი უნდა შეუწყოს ქალთა აქტივობის ზრდას, ქალთა ჩაბმას მშრომელთა სახელმწიფოს მშენებლობაში, ქალები უნდა ჩავაბათ საბჭოების, კოოპერაციის, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში. მშრომელი ქალი უნდა წავაყენოთ სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილებზე.

მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს იმ უფლებებით, რაც მას მიანიჭა დიდმა რევოლიუციამ; ის კიდევ ძველ წეს-ადათებს მისდევს, ძველი ზნე-ჩვეულებების გავლენის ქვეშ იმყოფება. 8 მარტის დღესასწაულმა ხელი უნდა შეუწყოს მშრომელი ქალის გამოფხიზლებას და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას.

გაუმარჯოს მშრომელ ქალთა დღეს—8 მარტს!

ლ—ა.

რვა მარტი.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა მუშა-ქალებთან ერთად მოიპოვეს გამარჯვება რევოლიუციონურ ბრძოლაში და საბოლოოდ გაანადგურეს მეფე, კაპიტალისტები, მემამულენი, საბოლოოდ მოსპეს ჩაგვრა-მონობა და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. მშრომელი ქალები დღეს ისეთივე უფლებით არიან აღჭურვილი, როგორც მამაკაცები. მუშებთან და გლეხებთან ერთად მუშა და გლეხის ქალებიც მონაწილეობენ მუშური სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

მშრომელმა ქალებმა ხელი-ხელ ჩაკიდებული და ერთსულოვნად უნდა იმუშავონ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ვინაიდან მხოლოდ ერთსულოვნებით შევსძლებთ აღმოვფხვრათ მრავალი საუკუნეებით განმტკიცებული სიბნელე.

8 მარტი უნდა იყოს მშრომელ ქალების დამარაზმველი. საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვანიჭა უფლებები. ეხლა ის გვეხმარება, რომ ეს უფლებები მოვიხმაროთ. ჩვენ უნდა გავნთავისუფლდეთ ოჯახურ წვრილმან ტვირთისაგან; ამისათვის საჭიროა საბავშვო კრების, საზოგადოებრივ სამრეცხაოების და სხვა ამგვარი დაწესებულებების დაარსება.

საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით ჩვენ დავსძლევთ იმ დაბრკოლებებს, რომელიც ეღობება ქალთა უფლებების გამოყენებას და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმას.

მუშკორი ნინო მაისურაძე.

განთავისუფლებული ქალი.

1917 წ. თებერვალში გალატაკებული, მშიერმწყურვალე, შეშველნი, სამი წლის განუწყვეტელ იმპერიალისტური ომისაგან გაწამებული მუშა-ქალები რამოდენიმე ათასობით გამოვიდენ პეტროგრადის—ეხლა ლენინგრადის ქუჩებზე და ერთხმად მოითხოვეს ომის შეწყვეტა, ქმრების, ძმების და შვილების შინ დაბრუნება. მუშა-ქალები მუშებთან ერთად იბრძოდენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ასევე იბრძოდენ მუშა-ქალები ოქტომბრის რევოლიუციის დღეებშიაც.

ოქტომბრის რევოლიუციამ ქალი სრულიად გაანთავისუფლა. თუ წინათ მუშა-ქალების მდგომარეობა უმწეო იყო, მას არ ჰქონდა ყურადღება მიქცეული, ის არ იყო კანონით გათანასწორებული მამაკაცებთან, დღეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე მუშა-ქალების მდგომარეობაც ძირიანად შეიცვალა. ქალი ყოველივე უფლებებით სარგებლობს. ყოველ დარგში გათანასწორებულია მამაკაცებთან. განვლილმა ბრძოლებმა ტყუილად არ ჩაიარა, და მამაკაცთან ერთად, მუშა-ქალიც განთავისუფლდა.

მუშკორი ლევან გუნია.

ბათომელ მუშკორთა კონფერენცია

ბათომში, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში მოწვეულია ქ. ბათომის მუშკორთა საერთო-საქალაქო კონფერენცია.

დღის წესრიგშია: 1) მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, 2) პროკურატურა და მუშგლეხკორები, 3) კედლის გაზეთი და მუშკორთა წრე.

რატომ ხდება ასე

როცა მომხმარებელი კოოპერატივში შედის დაიმედებული რომ იყიდის კარგი ღირსების საგანს ხელმისაწვდომ ფასებში, ხანდისხან მას იმედი არ უმართლდება. მოვიყვან ერთ შემთხვევას, რაც თავს გადამხდა. ამას წინად კარების სახელური ვიყიდე მუშკოოპის მაღაზიაში, 1 მან. 60 კაპ. მივეცი.

ერთი ნაცნობი კერძო ვაჭარი შემხვდა და მკითხა, როგორ იყიდე სახელური. მე ვუთხარი ფასი.

— მოდი ჩემთან მე 60 კაპ. ნაკლებ გაგატან მაგისთანა სახელურსო მითხრა ნაცნობმა.

— შენ როგორ შეგიძლია ნაკლებად გამატანო, როდესაც კოოპერატივს არ შეუძლია ამაზე ნაკლებად გაყიდოს—უპასუხე.

— იმ ტრესტში, საიდანაც კოოპერატივმა წამოიღო ეს საქონელი 2 მან. და 70 კ. ღირსო, მე 30 კაპ. მოვიგებ შენგან და მეყოფაო.

კითხვა იბადება თუ ეს ასეა, რატომ ხდება ასე. განა ტრესტსა და კოოპერატივს შორის ასეთი დიდი მანძილია, რომ 2 მან. 70 კ. 90 კაპ. მოგება უნდა დაედვას.

ამ ფაქტის მოყვანა დამჭირდა, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ უმთავრესი საშუალება ფასების დაკლების უნდა ვეძებოთ უფრო შორს, ვიდრე კოოპერატივებში. უნდა შემოკლდეს შუამავალთა რიცხვები. როგორც არიან სხვადასხვა წარმომადგენლები, რაც ფრიად დიდ ზედნადებ ხარჯებს იწვევს.

სანამ ნაწარმოები კოოპერატივში მოვა ერთი იმდენი ჯდება—რაც ფაბრიკაში დაჯდა.

ჩემის აზრით, აქეთკენ უნდა იყოს მთავარი ყურადღება მიქცეული, კოოპერატივები უშუალოდ უნდა იყვნენ დაკავშირებული წარმოებებთან, ის პირდაპირ უნდა იღებდეს საქონელს ფაბრიკიდან და აწყობდეს კოოპერატივში. მაშინ ამდენი ზედნადები ხარჯები აღარ იქნება საჭირო და საქონელიც უფრო იაფი ეღირება.

ი. ნ. ბ.

როგორ უნდა ჩატარდეს

თებერვლის რევოლიუციის 10 წლისთავის და ა.-კ. ფედერაციის 5 წლისთავის კამპანია

ქალაქად

1) კლუბებში იმართება მოხსენებები თებერვლის რევოლიუციის 10 წლის თავის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის 5 წლის თავის შესახებ.

კლუბებში ეწყობა წარმოდგენები, ინსცენირებები, ცოცხალ გაზეთების წრეების გამოსვლები, კინო და სხვ.

2) ბიბლიოთეკებში და სამკითხველოებში ეწყობა ლიტერატურის გამოფენები.

3) კამპანიას უნდა შეუფარდდეს მორიგ კედლის გაზეთების გამოშვება.

4) სკოლებში (მხოლოდ და მხოლოდ 9 წლედებში და ტეხნიკუმებში, უფროს ჯგუფებში) იმართება მოხსენებები თებერვლის რევოლიუციის 10 წლის თავის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის 5 წლის თავის შესახებ.

5) საქართველოს ცენტრალურ პროფსაბჭოს რადიოთ მოამბე აწყობს მოხსენებების და კონცერტების გადაცემას.

სოფლად

კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში ეწყობა მოხსენებები და საუბრები, და აგრეთვე იმართება სალამოები სპეციალური პროგრამით.

ეწყობა შეფების მოგზაურობა საშეფოდ აყვანილ სოფლებში. მსხვილ თემებში იმართება თემსაბჭოების საზეიმო სხდომები მოხსენებით თემაზე: თებერვლის რევოლიუციის 10 წლის თავი და ამიერ-კავკასიის ფედერაციის 5 წლის თავი.

წლის თავის კამპანია გაშუქებულ უნდა იქნას პრესაშიც.

საჰაერო მიმოსვლა

ფრენოსნობის სეზონი გაიხსნება 15 აპრილს.—ფასები დაკლებულია 50 პროცენტამდე.

მოსკოვიდან დაბრუნდა უკრაინის სამოქალაქო ფრენოსნობის საზოგადოების — „უკრვოზდუხპუტ"-ის თბილისის სადგურის უფროსი ამხ. ბ. ქებურია.

ამხ. ქებურიამ გვაცნობა, რომ მიმოსვლა გაიხსნება 15 აპრილს. ყოველდღიურად იწარმოებს ჰაეროპლანების მიმოსვლა შემდეგი მარშრუტით: თბილისი—ბაქო—მახაჩკალა—გროზნო—მინერალური წყლები—როსტოვი — ხარკოვი და მოსკოვი.

განზრახულია სპეციალური ჰაეროდრომის მოწყობა თბილისში. ჰაეროდრომისათვის საჭირო მინდორი უკვე არჩეულია საბურთალო და მის მოსაწყობათ მუშაობა დაწყებული იყო. მაგრამ ყინვების გამო შევსწყვიტეთ და ჩქარა ისევ განვაახლებთ. სამოქალაქო სამგზავრო ჰაეროპლანები ამიერიდან აფრინდებიან და ჩამოფრინდებიან საბურთალოს ჰაეროდრომზე.

ეს მინდორი, როგორც ახლო მდებარე ქალაქის ცენტრთან, საუკეთესოა ჰაეროპლანებისათვის და იგი სავსებით დააკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

წარსულ ფრენოსნობის სეზონში აღსანიშნავია თვალსაჩინო მიღწევა სამგზავრო ფასის შემცირების მხრივ: ფასები შემცირებულია 50 პროცენტამდე.

ამგვარად სამგზავრო ბილეთის ფასი თბილისიდან მოსკოვამდე—150 მანეთიდან შემცირებულია 84 მანეთამდე.

ეს მიღწევა აიხსნება საზოგადოების მიერ სამოქალაქო ფრენოსნობის საქმის რაციონალურად დაყენებით.

რაც შეეხება სამოქალაქო ფრენოსნობის მოწყობას კავკასიონის ქედით, ეს საკითხი ჯერჯერობით საბოლოოდ გამორკვეული არ არის. იგი გადაწყდება მას შემდეგ, როდესაც საზოგადოება [illegible] სპეციალურ, დიდ სიმაღლეზე მფრინავ ჰაეროპლანს.

1.691.638 მანეთი

განათლების საქმის საჭიროებისათვის ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის გამგეობამ, ცენტრალურ სატრანსპორტო განათლების სამმართველოსაგან მიიღო ცნობა, რომ ხარჯთაღრიცხვის საბოლოო დამტკიცების დროს, ამიერკავკასიის რკინის გზების მუშაკთა განათლების საჭიროებისათვის 1926—27 წ. გადადებულია 1.691.638 მანეთი.

გადადებულ თანხიდან 100.000 მანეთი გამოყოფილია ახალ სკოლების ასაგებად. სასწავლო ნაწილისათვის შესანახად საჭირო თანხა გამიანგარიშებულია 115.000 მანეთის რაოდენობით. აქედან 14.000 მანეთს სუბსიდიის სახით იღებს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

პედაგოგიურ პერსონალის გადასამზადებლად გადადებულია 7.000 მანეთი. პროფგანათლებისათვის გადადებულია—887.077 მანეთი.

დიდი მიწისძვრა

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 7 მარტს დღის 12 ს. და 38 წუთზე აღნიშნული იქნა ძლიერი კატასტროფიული მიწისძვრა. მიწისძვრის კერა მდებარეობს თბილისიდან 7.400 კილომეტრის მანძილზე.

ამიერ.-კავკ. პროფსაბჭოს პლენუმი

7 მარტს გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პლენუმის მესამე სესია. სესიის პირველ დღეს მოსმენილ იქნა მოხსენება უმუშევრობის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, ა.-კ. პროფსაბჭოს მოხსენება მუშაობის გეგმის შესახებ ა.-კ. პროფსაბჭოს საფინანსო ანგარიში და ა.-კ. პროფკავშირების ყრილობის მოწვევის შესახებ.

რკინისგზებზე

ტაუზში დაიმსხვრა სამი მატარებელი.

6 მარტს სად. ტაუზში მატ. № 811 მანევრების დროს სადგ. კოლესიის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ სემაფორი დაკეტილი იყო, შემოვიდა მატ. № 814 და დაეჯახა მატ. № 811-ს შემადგენლობას.

დაჯახების გამო მატ. № 811-ს ბოლოდან მოსწყდა 8 რონოდა და დაღმართით დაექანა სადგ. ტატლუსაკენ.

სადგ. ტატლუდან სწორედ ამ დროს ტაუზში მოდიოდა მატ. № 805, შედგენილი ცარიელი რონოდებით. დაქანებული რვა რონოდა ტაუზიდან 1 ნახ. კილომეტრის მანძილზე დაეჯახა მატ. № 805-ს.

დაჯახების გამო მატ. № 811-ს შემადგენლობიდან დაიმსხვრა 4 რონოდა. ერთი მათგანი დატვირთული იყო ბამბის თესლით. მატ. № 805-ს შემადგენლობიდან დაზიანებულია ვაგონზე წაქცეული სალასტო რონოდა და ლიანდაგიდან გადავარდა 9 ცარიელი ცისტერნა, 5 მათგანი გადავარდა ფერდობზე. მატ. № 814-დან ახცდა ლიანდაგს 4 დატვირთული ცისტერნა.

სამთავე მატარებლის ორთქლმავლები რელსებზე დარჩენ. მათგან დაზიანებულია მხოლოდ მატ. № 811-ს ორთქლმავალი. ამ ორთქლმავლის მემანქანემ კოჩნევმა, შეამჩნია რა მან მოსალოდნელი საფრთხე, გადმოხტა ორთქლმავლიდან და დატოვა დაუკეტავი რეგულატორი.

აქსტაფიდან და განჯიდან შემთხვევის ადგილზე გააგზავნეს დამხმარე მატარებლები, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. 13 რონოდიდან, რომლებიც ლიანდაგიდან გადავარდენ, დაზიანდა ექვსი რონოდა ჩაუყვანეს ტაუზს. ხაზი გაიწმინდა რვა საათის შემდეგ. გზაზე ამ ხნის განმავლობაში გაჩერებული იყო მხოლოდ ერთი მატარებელი.

გაძლიერებული გადაზიდვა

უკანასკნელ ხანებში ა. კ. რკ. გზ. ქუთაისის განყოფილების ფარგლებში ადგილი აქვს საქონლის გაძლიერებულ გადაზიდვას თბილისისაკენ.

გაძლიერებულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ა. კ. რკ. გზ. გამგეობამ დანიშნა დამატებითი ერთი წყვილი მატარებელი, რაც თვალსაჩინოდ გაადიდებს სურამის უღელტეხილზე საქონლის გადაზიდვის შესაძლებლობას.

ქრონიკა

ამხ. კრუმინის ჩამოსვლა.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული თავრიზში ამხ. ქ. კრუმინი.

მისალმება საქ. ცაკს.

საქართველოს ცაკის სახელზე ჭიათურიდან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ქალაქ ჭიათურის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პირველი ყრილობა მხურვალედ გესალმებათ თქვენ, პარტიისა და საბჭოების ღირსეულ ხელმძღვანელ ორგანოს, და ფიცს სდებს თქვენთან ერთად თქვენი ხელმძღვანელობით მუდამ მხნეთ იდგეს მშრომელთა სადარაჯოზე. მიიღეთ ჭიათურის მუშების გულწრფელი სალამი.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას! გაუმარჯოს საბჭოებს მთელს მსოფლიოში!

პრეზიდიუმის დავალებით ჭელიძე".

საკონფლიქტო კომისიების თათბირი

კვირას, 6 თებერვალს გაიხსნა ამიერ-კავკასიის საკონფლიქტო კომისიების პირველი თათბირი. თათბირმა მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჩვადმყოფური მოკლენები ახალგაზრდობის შორის მცირდება. ხულიგნობას თითქმის აღარ აქვს ადგილი, სიმთვრალე შემცირდა.

ამხ. ნიკოლაევსკის მოხსენება.

კვირას, 6 მარტს, მილიციელთა კლუბში სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციის უკანასკნელი ტეხნიკის შესახებ მოხსენება წაიკითხა რუსეთის რესპუბლიკის ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ამხ. ნიკოლაევსკიმ.

მოხსენებას დაესწრო მილიციის უფროსთა შემადგენლობა, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები და სხვ.

დასასრულ მილიციის მუშაკთა გაერთიანებულმა კრებამ ამხ. ნიკოლაევსკი აირჩია თბილისის საპატიო მილიციელად.

სწავლის ფულის გადასახადი სახ. უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით, იმ სტუდენტებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს სწავლის ფულის საგადასახადო საბუთების წარმოდგენა თავის დროზე ნება ეძლევა შემოიტანონ ასეთები 11 მარტამდე, რის შემდეგ განცხადებები არ იქნება მიღებული.

თბილისის აღმასკომში

◆ ზაჰესის ენერგია. კომუნალურ წარმოებების ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვანად თბილისის აღმასკომი იძენს 430.000 მანეთის მოწყობილობას.

◆ წყალსადენი ამჟამად თბილისს ყოველდღიურად აწვდის—1500.000 წყალს.

◆ ხანძარი. კომუნალურ განყოფილების ცნობით, 1926 წლის განმავლობაში აღრიცხულია ხანძრის გაჩენის 491 შემთხვევა.

◆ ქალაქის აბანოების აღდგენა თბილისის აღმასკომს დაუჯდა 300.444 მანეთი.

◆ საქონლის ჭირთან საბრძოლველად თბილისის მაზრაში მოეწყო 11 პუნქტი.

◆ ტრამვაის მუშაობა. ამჟამად თბილისში მუშაობს ტრამვაის 142 ვაგონი. ტრამვაის მეურნეობაში ითვლება 1745 მუშა-მოსამსახური.

◆ მოძრავი სახელოსნო. თბილისის აღმასკომმა თბ. მაზრაში მოაწყო მოძრავი სახელოსნოები სას.-სამ. იარაღების შესაკეთებლად. სახელოსნო ჭეტომობილზეა დადგმული.

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სარეცენზიოთ სახელგამის შემდეგი ახალი წიგნები: ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" № 1, 130 გვ., ფასი 70 კ. ლ. ქიაჩელი—„ტარიელ გოლუა", მესამე გამოცემა, 200 გვერდი, ფასი 90 კაპ., ალ. მაშაშვილი—„ლექსების მეორე წიგნი", პ. ქიქოძის წინასიტყვაობით, ი. ღრიაშვილი—ლექსები, ს. თოდრიას წინასიტყვაობით, 160 გვერდი ფასი 1 მ. 40 კ. ნ. ბუხარინი „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა", 117 გვერდი, ფასი 50 კ., შ. ლეჟავა—„მოგონებანი საქართველოს გასაბჭოების შესახებ" 32 გვერდი, ფასი 12 კაპ., ს. ხუნდაძე—„ქართული ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში" 125 გვ. ფასი 60 კაპ., გალაკტიონ ტაბიძე—ლექსები. 540 გვერდი, ფასი 5 მან.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს სამუშაოზე გამოძახებული არიან შრომის ბირჟის საწარმოო კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან, შემდეგი პირები: ანდრონიკ კარაპეტოვი, არუთინ მხეთარიანცი, მოსე განცევიჩი, მნაცაკან ბარსეკოვი, ილია კალანდაძე. გონებრივი მუშაკთა სექციიდან: ლეონ გოკიელოვი, შალვა ბოკვერიძე, ნიკოლოზ დავითაშვილი, ივანე ჭურჭიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ნიკოლოზ ბადალოვი და რაჟდენ უშვერიძე, მესამე სექციაში არის მოთხოვნილება ერთ მრეცხავზე.

ხელოვნების ქრონიკა.

◆ „ვეფხის ტყაოსანი" რუსულ ენაზე. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიზანშეწონილად სცნო „ვეფხის ტყაოსნის" გამოცემა რუსულ ენაზე. წიგნს სცემს ქ. მოსკოვში საბა შნიკოვის გამომცემლობა.

◆ ჟურ. „მნათობის" გავრცელება. პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას დაევალა ყველა მაზრის ბიბლიოთეკებს და ქოხსამკითხველოებს გამოუწეროს ჟურ. „მნათობი".

◆ მიგაის გასტროლი დღეს ოპერის თეატრში გაიმართება მიგაის პირველი გასტროლი. მიდის ოპერა „ევგენი ონეგინ".

◆ „ხაჭე მარცხნივ" დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ხაჭე მარცხნივ".

◆ მუშათა თეატრში, დღეს ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება აკ. ცაგარელის კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ". მთავარ როლებში რესპ. სახ. მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილი, ალ. იმედაშვილი და მ. გელოვანი, დადგმა მ. ქიაურელის. დეკორაციები ლადო გუდიაშვილის.

შეცდომის გასწორება.

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 52-ში 6 მარტის თარიღით ამხ. მუშიშვილის წერილის ბოლო ნაწილში გამოშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომები, რომლებიც ამახინჯებენ აზრს. სწერია:

„პოეტი და ადამიანი" უნდა ჩამოყალიბდეს ერთ პირობებში

უნდა იყოს:

„პოეტი და ადამიანი" უნდა ჩამოყალიბდეს ერთ პიროვნებაში.

სწერია:

„დროა გადაიქცენ ოქროს ფარებათ

ცრემლებული ჩვენი ლექსები",

უნდა იყოს:

„დროა გადიქცენ ოქროს ზარებათ

აცრემლებული ჩვენი ლექსები".

სასამართლო

8.000 მან. გაფლანგვა

9მარტს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო, თანახმად ქ. თბილისის ხელოსანთა და შინამრეწველთა თხოვნისა, საჩვენებლო პროცესის სახით შეუდგება ხელოსან-შინამრეწველთა თბილისის კავშირის მოლარის მოქ. ედიბერიძის და იმავე კავშირის ბუხჰალტერის მოქ. ქურდოვანიძის საქმის განხილვას. მოქ. ედიბერიძეს და ქურდოვანიძეს ბრალდებათ საკავშირო თანხების 8.109 მან. გაფლანგვა და მათზე ყალბი საბუთების შედგენა.

ამ საქმის შინაარსი ასეთია: მოლარე ედიბერიძემ 1924 წლის მიწურულიდან დაიწყო სალაროდან ფულების გამოტანა, და ამას ისე მოხერხებულად სჩადიოდა, რომ რამდენჯერმე მოხდენილმა რევიზიამ ვერაფერი აღმოაჩინა. ასე გრძელდებოდა 1926 წ. აგვისტომდე, როდესაც ახლად არჩეულ თავმჯდომარის მოთხოვნილებით, მოახდინეს რევიზია, რომლის დროსაც აღმოაჩინეს ფულის დანაკლისი, ყალბი საბუთები და სხვა.

რევიზიის წარმოების დროს, ედიბერიძემ განაცხადა, რომ საჭიროა რევიზიაზე ბუხჰალტერის დასწრებაც, რადგან ტალონების წიგნს ის აწარმოებდაო,—და, გავიდა რა ოთახიდან ბუხჰალტერის დასაძახებლად, გაიტაცა გასაღებები და მიიმალა.

რამდენიმე დღის შემდეგ კავშირის თავმჯდომარეს მან გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც ამბობდა, რომ ის არ უარჰყოფს თავის დანაშაულს ყალბი საბუთების შედგენასა და ფულების გაფლანგვაში, მაგრამ ამ ბოროტმოქმედებას სჩადიოდა ბუხჰალტერ მოქ. ქურდოვანიძესთან ერთად. შემდეგმა რევიზიამ დაამტკიცა ქურდოვანიძის მონაწილეობა ბოროტმოქმედებაში; ქურდოვანიძე დაპატიმრებულ იქნა. ორი თვის შემდეგ ავლაბარში დაიჭირეს ედიბერიძეც.

საქმე მოსმენილი იქნება შინამრეწველ-ხელოსანთა მიხა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში.

ხულიგნობისათვის.

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ხულიგნობისათვის კარაპეტ ყრუაშვილს მიუსაჯა 6 თვით გამსახლში დაპატიმრება.

დაუდევარი შოფერი.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით გაირჩა შოფერ ნიკო როზემბლიუმის საქმე.

გასულ წელს ბრალდებულმა სადგურის ქუჩაზე საბარგო ავტომობილი დააჯახა საგუშაგოზე მყოფ მილიციელს, მოქ. ქავჯაიას, რომელიც მძიმედ დაშავდა.

მიღებული ჭრილობებისაგან ქავჯაია გარდაიცვალა.

სასამართლოში გამოირკვა, რომ უბედური შემთხვევა შოფერის დაუდევრობით მოხდა.

სასამართლომ როზენბლიუმს მიუსაჯა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა.

შემთხვევები

◆ **ცოლის დაჭრა.** 6 მარტს ორბელიანის ქ. № 2 თედორე გალუსტოვმა დანით დასჭრა თავის ყოფილი ცოლი ელენე ახუნიკოვა.

◆ **თავის მოწამვლა.** 6 მარტს აფანასიევის ქუჩა № 36 ლიდია დემენტიევმა ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე თავი მოიწამლა.

◆ **მე-12** ელსადგურში უეცრად გაწყვეტილმა მოტორის ღვედმა მსუბუქად დაშავა მუშა ვლადიმირ რიტიაშვილი.

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.

კვირას, 6 მარტს, 18 წლის რიჩარდ ფლატი ამხანაგებთან ერთად მიდიოდა დიდუბეში. როცა მიუახლოვდენ ისინი ზაჰესის ელექტრობოძს, მოქალაქე ფლატმა განაცხადა, რომ ის ავა ელექტრობოძზე უვნებლად. განზრახვა სისრულეში მოიყვანა. ელექტრობოძის უკანასკნელ საფეხურზე მოხვდა მას ელექტრონის ძლიერი დენი, რის გამო ფლატი გადმოვარდა მეორე საფეხურზე, რომელზედაც აწერია „სასიკვდილოა“. ამ საფეხურზე ჩქერის ძალა უდრის 6.000 ვოლტს. მოქ. ფლატს წაეკიდა ცეცხლი და შველას ითხოვდა.

შემთხვევის ადგილზე გამოიწვიეს ცეცხლისმქრობელთა რაზმი. გამომძიებლის განკარგულებით რამოდენიმე საათით შეჩერებული იქნა ზაჰესის მუშაობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფლატი სავსებით დაიწვა.

ქურდ-რეციდივისტების თავშესაფარის აღმოჩენა

6 მარტს რუსეთის ქუჩა № 54 სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ქურ-რეციდივისტების თავშესაფარი, იქვე აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა ნაქურდალი ნივთები, ქურდები კარაპეტოვი, არუთინიანი გრიგოლ, ცულაყო ნალბანდიანცი, სარქისოვი და ბალუსინ ვალარშაკ დაპატიმრებულია. მათვე ბრალდება 2 თებერვალს ხოჯევანქის სასაფლაოზე თავიანთი ამხანაგის სათენიკის მოკვლა. მოკლულის გვამი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

20.000 მანეთის ნივთების მოპარვა.

გუშინ გაქურდეს ექიმ მარქაროვის ბინა (მადათოვის ქ., № 5). წაიღეს 20.000 მანეთის ნივთები, ოქროულობა და სხვ.

ბოროტმოქმედი გუშინვე დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ. ის აღმოჩნდა ცნობილი ქურდი-რეციდივისტი ოლღა აგაფონოვი.

ნაქურდალი ნივთები აღმოჩენილია.

თვითმკვლელობა.

გუშინ სადამოს ნაგანის რევოლვერით თავი მოიკლა სამხედრო საჯარიმო ათეულის უფროსმა ალა მუსტაფა-სულთანოვმა.

თავის მოკვლის განზრახვა.

გუშინ სადამოს თვითმკვლელობის მიზნით სამართებელი დანით ყელი გამოიჭრა ელენე წერეთელმა (ტყეთა კულტურის ქ., № 9).

თვითმკვლელობა.

სოფ. ზემო-მაჩხაანში (სიღნაღის მაზრა) ხანჯალით თავი მოიკლა მოქ. მიშა ბეროშვილმა. თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

ქურდობა.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ გაქურდეს ფოთში მოქ. ლდიმეშიძის ოქროულობის სახელოსნო (ნიკოლაძის ქ.); წაიღეს 500 მანეთის ნივთები.

ჯიბგირობა.

28 თებერვალს სად. მელანში თიინეთის მცხოვრებ გლეხს ჯიბიდან ამოაცალეს 400 მანეთი. სიღნაღის მაზრის მილიციამ ბოროტმოქმედნი აღმოაჩინა. ისინი აღმოჩნდნენ: ოსიებ აკიმოვი და ნიკა ნაცვლიშვილი.

კინო

სახკინმრეწვის უახლოესი მუშაობა

მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. არუტჩანოვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი.

— ჩვენი მორიგი ამოცანაა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის დავდგათ რამოდენიმე რევოლუციონური სურათი. პირველ რიგში განზრახულია დადგმული იქნეს სურათი „იბღავლე ჩინეთო“ და „მცირე შეცდომა“ ჯეკ ლონდონის მოთხრობის მიხედვით. ორივე ამ სურათს დასდგამს რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი, რომელიც ოპერატორთან ერთად რამოდენიმე თვით გაგზავნილი იქნება ჩინეთში. სურათების გადაღება იწარმოებს ხანკოუში და კანტონში. მსახიობებად გამოყენებული იქნებიან ჩინელი აქტიორები.

შემდეგ დადგმული იქნება ილია ერენბურგის „კომუნარის“ „ჩიბუხი“. სურათს სდგამს რეჟისორი წუწუნავა. ამას გარდა, დადგმული იქნება კიდევ ერთი სურათი ბაქოს კომუნარების ისტორიიდან.

დანარჩენი სურათებიდან წუწუნავა დასდგამს კიდევ „ხაჯი-მურატს“ „ამორძალებს“ და „შამილს“.

მარჯანიშვილი ამჟამად ათავებს „ამოკს“ და საბავშვო სურათს „გოგი რატიანი“. სურათების დამთავრების შემდეგ მას დასადგმელად მიეცემა რამოდენიმე ახალი სურათი.

ბარსკის დასადგმელად აქვს მიცემული „ხაზბულატი“, „მწირი“ და ორი სურათი კავკასიის ცხოვრებიდან. ახალ დადგმებზე იმუშავებენ აგრეთვე რეჟისორი **ბერიშვილი, პუში და შენგელაია.**

სახკინმრეწვი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა რეჟისორების კადრის შექმნას. ამ მხრივ წელს ერთი ახალი თემა მიეცემა ახალგაზრდა რეჟისორს **მიხეილ ჭიაურელს.** ამას გარდა განზრახულია რამოდენიმე საბავშვო სურათის დადგმა მიეცეს სრულიად ახალგაზრდა რეჟისორებს. საბავშვო სურათებში ითამაშებენ **გოგი რატიანი, უჩელო ბავშვი დადეშქელიანი** და კიდევ რამოდენიმე სხვა.

შევსებული აგრეთვე ჩვენი ოპერატორების კადრი. მიმდინარე წელში დამოუკიდებლად იმუშავებენ ახალგაზრდა ოპერატორები **კალატოზიშვილი, კერესელიძე, გეგელი და პოზნანი.**

რაც შეეხება სურათების გაქირავებას, ამ მხრივ ჩვენ სრულიად ნორმალური ურთიერთობა დავამყარეთ რუსეთთან. უკრაინაში, ჩვენი სურათები ჯერ-ჯერობით არ მიდის, და მოლაპარაკება სწარმოებს უკრაინის კინო-მრეწველობასთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ სურათების გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე.

მოსკოვში ჩვენ მოვაწყვეთ „ორი მონადირის“, „ბელას“ და „თავადის ასული მერის“ საზოგადო გასინჯვა, რომელსაც დაესწრენ მოსკოვის კინო-მუშაკები. „ორი მონადირე“ რეჟისორის მუშაობის მხრივ საუკეთესო სურათად იქნა ცნობილი. მოწონებული იქნა აგრეთვე „ბელა“ და „მერი“. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, მან იმდენათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრმა გვთხოვა ცალკე მოგვეწყო მისთვის ამ სურათის საზოგადო გასინჯვა. იშვიათია ის ინტერესი, რომელსაც იჩენენ მოსკოვის კინო-მუშაკები და ფართო საზოგადოება ჩვენი სურათებისადმი.

ჩვენი სურათებიდან საზღვარგარეთ გაყიდულია „ყაჩაღი არსენა“: ფინეთში, ლატვიაში და ჩეხო-სლოვაკიაში; „სამი სიცოცხლე“ ბალტიის მხარის სახელმწიფოებში, ბალკანეთში და პოლონეთში. „ვინ არის დამნაშავე“ გაყიდულია ბალტიის სახელმწიფოებში, ბალკანეთზე, პოლონეთში და გერმანიაში, „ნათელა“—საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში და ინგლისში და „შუქურას საიდუმლოება“—ბალტიის სახელმწიფოებში.

სახკინმრეწვს ამჟამად რუსეთში აქვს 10 საკუთარი თეატრი: მოსკოვში ლენინგრადში, როსტოვში, კრასნოდარში და სხვა ქალაქებში.

ჩვენი სურათების ფართო მასასთან დაახლოვების მიზნით სახკინმრეწვმა გადასწყვიტა შეამციროს ბილეთების ფასები თბილისის კინო-თეატრებში 10-15 პროცენტით. ფასების დაკლება გატარებული იქნება ახლო ხანში.

სახკინმრეწვი დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ჩვენი სურათების გაგზავნას სოფლად. ამ მიზნით შეძენილია რამოდენიმე მოძრავი კინო-აპარატი.

პოპულარული ლექციები

ეს ერთი ხანია სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომის კულტკომისიამ ხელი მოჰკიდა დიდ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეს რომელსაც დღემდის მხოლოდ რუსეთის და დასავლეთ ევროპის დიდ კულტურულ ცენტრებში აქვს ადგილი და რომელსაც ჩვენში უეჭველია დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან. კომისია აწყობს პოპულარულ ლექციებს მეცნ. ყველა დარგებიდან და აგრეთვე პოლიტიკიდან. ლექციების წაკითხვა კომისიას უკვე აღუთქვეს შემდეგ. პროფესორებმა: 1) ალ. ნათიშვილმა—„ევგენიკა და მემკვიდრეობა“, 2) ალ. ჯანელიძე—„მიწისძრის პრობლემა“, 3) ივ. თიკანაძე—„უშიშლობა“, 4) ალ. თვალჭრელიძე „მინერალოგიის ამოცანები საქართველოს მადნეულობის მომავალთან დაკავშირებით, 5) „საერთაშორისო მდგომარეობა“ (ლექტორი ჯერ არ არის მოწვეული). შეძლებისდაგვარად ყველა ლექციები მოწყობილი იქნება ბუნდოვანი სურათებით, დიაგრამებით და საზოგადოდ მიქცეული იქნება ყურადღება თვალსაჩინოებაზე. ჯერ-ჯერობით, შესდგა მხოლოდ ერთი ლექცია მედიცინის დოქტორის ი. აბაკელიას „ტუბერკულოზი და მასთან ბრძოლა“. უნივერსიტეტის მოსამსახურეებს გარდა ლექციებზე დასწრება შეუძლიათ გარეშე პირებსაც.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 16

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართ. სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების ექსპლოატაციის მოწესრიგებისა და მათი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

მუნიციპალური საბინაო ფონდის ექსპლოატაციის მოსაწესრიგებლად და მისი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ და შემოიღონ სამოქმედოდ არა უგვიანეს ა. წ. აპრილის 1-სა სახლების საგასავლო ბიუჯეტის უკიდურესი ნორმები იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (ამა დადგენილების მეოთხე მუხლი) სახლის მფლობელობის ხარჯების დანორმვის შესახებ, ამასთანავე, აღნიშნული ინსტრუქციაში გათვალისწინებული ნორმები ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიძლება გადიდებულ ან შემცირებულ იქნეს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

2. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს თვალყური ადევნონ, რათა მუნიციპალურ საბინაო ფონდის სახსარი,—როგორც კომუნალურ ორგანოთა უშუალო გამგებლობაში ქონებული სახლების საბინაო ქირისა, ისე საბინაო-საიჯარო კოოპერატივთა, საბინაო ამხანაგობათა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძ. პირთათვის გადაცემული შენობების საიჯარო ქირის სახით წესიერად შემოდიოდეს და დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს.

3. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს მოახდინონ მუნიციპალური სახლების ინვენტარიზაცია.

4. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს და დაგზავნოს სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია მუნიციპალურ სახლის მფლობელობის ხარჯების დანორმვის შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა საბინაო-საიჯარო კოოპერატივთა და საბინაო ამხანაგობათა გაძლიერების შესახებ, რისთვისაც საიჯარო კოოპერატივისა და საბინაო ამხანაგობის სახლში მცხოვრებ არა წევრზე გავრცელებულ უნდა იქნეს ის ვალდებულება და ხარჯი, რაც დაკისრებული აქვს წევრს.

6. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ერთი თვის განმავლობაში წარუდგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა მუნიციპალური საბინაო ფონდისა და აგრეთვე ახლად აგებულ სახლების ექსპლოატაციის წესის შესახებ, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნეს სახლების დაცვა, სახლის ასაგებად აღებული სესხის წესიერად და თავის დროზე გადახდა და აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს სახლების ამგებ საწარმოთა და დაწესებულებათათვის ამ სახლებში მცხოვრებთა დასახლებისა და საცხოვრებელ სივრცის გამგებლობის უფლება.

7. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად, წარუდგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა ყოველგვარი სახლის სამეურნეოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სახლის მტაცებლურ და უყაირათო მართვა-გამგებლობისათვის და აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც სახლის სამეურნეოს პასუხისმგებლობა ნამდვილად განხორციელებულ იქნება.

8. საჭიროდ იქნეს ცნობილი საბინაო კოოპერატივებში და საბინაო ამხანაგობებში პროლეტარული ნაწილის მნიშვნელობისა და მისი ხელმძღვანელობითი როლის სათანადოდ გაძლიერება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. თებერვლის 17.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტი „თებერვლის რევოლუციის 10 წლისთავის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსების 5 წლისთავის“ შესახებ მოხსენებების ჩასატარებლად რაიონებში გზავნის შემდეგ ამხანაგებს:**

პირველ რაიონში:

მიხა ცხაკაია, ს. თოდრია, ტოროშელიძე, ა. მიქაძე, ა. ათაბეგოვი, იმედაძე, რუხაძე ლენტორ, ლ. სალუქვაძე, მთვარელიძე, გერმანე დოლიძე.

მეორე რაიონში:

ს. ხანოიანი, მათიკაშვილი, ავაქოვი, ს. ჯუღელი, ჩხენკელი, შავერდოვი, ლევანდოვსკი, ვირაპი, მარიამ ორახელაშვილი, გობეჩია, ხნეგიროვი, პისეცკი, მეძმარიაშვილი, ხაცკევიჩი, ფესიუკი, პოლოსოვი, ნემერზელი, ხრისტოლიუბოვი, ჩხარტიშვილი.

მესამე რაიონში:

ვ. სტურუა, შირვანსკი, ვანციანი, ოსეპიანი, ს. თუმანოვი, ვართაპეტოვი, ი. მამულია, ტერსიმონიანი, მ. ჯავახიძე, ბერიძე.

მეოთხე რაიონში:

შ. ელიავა, ა. დოლიძე, ერქომაიშვილი, ვარძიელი, სუტირინი, ტალახაძე, ყურულაშვილი, გულოიანი, ფანცხავა, ბოლოტნიკოვი, ს. მარდანიანი, არჩილ რუხაძე, ქაცარავა, მონატოვი, თათარიშვილი.

თბილისის კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

თებერვლის რევოლუციის 10 წლის თავის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის 5 წლისთავის კამპანია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის **რაიონში** გატარებულ იქნება შემდეგ პუნქტებში:

1) ახალი მუშათა კლუბი—მომხსენებელი **ამხ. ბოლოტნიკოვი და ფანცხავა,** 2) განათლების მუშაკთა სახლი—**ერქომაიშვილი,** 3) კატორი—**გულოიანი,** 4) სახალხო კავშირის მუშაკთა კლუბი—**ვართანიანი,** 5) საბურთალო — **მონატოვი,** 6) ხელოვნების მუშაკთა კლუბი—**სუტირინი,** 7) შრომის სკოლა № 14—**საყვარელიძე,** 8) სანიმუშო-საჩვენებელი სკოლა—**არჩილ რუხაძე,** 9) შრომის სკოლა № 21—**რ. მელაძე,** 10) შრომის სკოლა № 20—**კ. ქაცარავა,** 11)—№ 8—**ხუხუა,** 12)—№ 9—**კორძახია,** 13)—№ 42—**კუდრიავცევი,** 14)—№ 43—**ვეინგერ,** 15)—№—10ა—**დავიდოვი,** 16)—№ 72—**არშ. მელიქიანი,** 17)—№ 70—**ალავერდიანი,** 18) სამრეწველო ტეხნიკუმი—**მონატოვი,** 19) პედაგოგიური ტეხნიკუმი—**ს. ზურაბოვი,** 20) სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი—**ტალახაძე,** 21) პირველი პროფსკოლა — **ყურულაშვილი,** 22) მესამე პროფსკოლა **მინასიანი,** 23) ცეკავშირის კოოპერატიული კურსები—**ან. დოლიძე,** 24) საბჭოთა სავაჭრო მოსამსახ. საბუჰგალტერიო კურსები—**შ. ლეჟავა,** 25) სახელმწიფო საბუჰგალტერიო კურსები—**ვარძიელი,** 26) საფინანსო კურსები — **თათარიშვილი,** 27) დავლიაშვილის საბუჰგალტერიო კურსები—**ნოე ლეჟავა.**

ქალაქის რაიკომის **საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი** უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად.

სავალდებულოა პლენუმის და უჯრედთა ბიუროების ყველა წევრების დასწრება აღნიშნულ დროისათვის.

დღის წესრიგი:

1) ქალაქის საბჭოს არჩევნების შედეგები ქალაქის რაიონში, 2) პარტაღწერის შედეგები და 3) რაიკომის მიმღები კომისიის ოქმების დამტკიცება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 8 მარტს, საღამოს 4 ნახევარ საათზე, აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა, მესამე სართული, შესავალი ეზოდან) შესდგება მოწინავე კომკავშირის უჯრედების მდივნების და აგიტპროპორგანიზატორების თათბირი იმ ამხანაგებთან ერთად, რომლებიც ცხრაწლედებში, ტეხნიკუმებში და სხვადასხვა კურსებზე აკეთებენ მოხსენებებს თებერვლის რევოლუციის 10 წლისთავის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსების 5 წლისთავის ჩატარების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი რაიკომის ყველა წევრების და უჯრედთა ბიუროების წევრებს საყურადღებოდ აცხადებს, რო 9 მარტს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბის სალექციო დარბაზში შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად.

სახ. უნივ. აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, 8 მარტს, საღამოს 8 საათზე, მოწვეულია ამავე უჯრედის მორიგი კრება. დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის **კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა** შესდგება სამშაბათს, 8 მარტს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის **ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.**

საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისია შემოჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს, რომ 8 მარტს 9 საათზე გამოცხადდენ საკონტროლო კომისიაში (ოთახი № 12): შეილდაძე ანდრო, მუშინსკი ალექსი გუკასის ძე, გარსევანიშვილი ივანე, ჯინჭველაშვილი გიორგი, მალოიანი ხორენ ტიგრანის ძე, აბრამიანი ვაგან გრიგორის ძე, სავაიანი ერვანდ ვაგრამის ძე, ხაჩატურიანი სურენ, კარაპეტიანი სარქის, მანუკიანცი ლევან.

— ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მე-3-მე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატს ამხ. პეტრე შაუთიძეს პარტიაში გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ვთხოვთ გვაცნობოს ქართ. მეთ. სამხ. სკოლის მე-3-ე კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მუშფაკის მსმენელს—სტიპ. ამხ. შ. ბერიშვილს

პასუხი

როგორც სტიპენდიანტი და მუშფაკის მსმენელი, თითოეულ კვად. მეტრზე ბინის ქირად თვიურად გადაიხდით ოთხ კაპეიკს.

შრომის ხელფასით ვალების დაფარვის შესახებ

კავშირ. წევ. (წიგ. № 3785) გერონტი—გ.-შლია

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ გმართებთ სხვადასხვა ვალები; ამას გარდა განშორდით ცოლს და ცოლშვილი გთხოვენ საზრდოს და ამიტომ გეკითხებით, აქვთ თუ არა უფლება დაგიკავონ მთელი თქვენი ხელფასი ვალების გასასტუმრებლად.

ვიპასუხებთ

თანახმად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მუხ. 290-ის შენიშვნისა, როდესაც ერთ და იმავე დროს გადასახდევნებელია ოჯახის წევრთა შესანახი თანხა და სხვა რაიმე ვალი, მუშა-მოსამსახურეს ყოველ შემთხვევაში, უნდა დარჩეს მისი ხელფასის ორმოცდაათი პროცენტი (ე. ი. ნახევარი მთელი ხელფასისა).

აღმასკომის აგურის ქარხნის მუშას ირა დიონ გვაჯავას

პასუხი

ხელფასი უნდა მოგვეცეთ იმ რაოდენობით, რაც აღნიშნულია თქვენ სააგარიშო წიგნაკში. გირჩევთ მიმართოთ ადგილობრივ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიას სათანადო განცხადებით.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ჯანსახკომის მეცნიერულ საბჭოს წევრის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის

სიმონ კონსტანტინეს ძე
გოგიტიძის

გარდაცვალებას. 1987

ქალ. პირველი კლინიკური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დიდათ პატივცემულ აკადემიურ მოღვაწის

პროფესორ სიმონ გოგიტიძის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 4 მარტს, გარდაიცვალა დიდათ პატივცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორი

სიმონ კონსტანტინეს-ძე გოგიტიძე

1973

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად კურს დამთავრებულ ექიმები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას დაუვიწყარ, იშვიათ მასწავლებლის

პროფესორ სიმონ გოგიტიძის

დაკარგვის გამო. გამოსვენება სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან. დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 1990

ბავშთა სნეულებათა კლინიკის ექიმები ღრმათ დამწუხრებულნი აცხადებენ, რომ 4 მარტს, საღამოს 4 ს. გარდაიცვალა მათი ძვირფასი მასწავლებელი და დაუფასებელი ხელმძღვანელი

პროფესორი სიმონ კონსტანტინეს ძე
გოგიტიძე

რომლის დასაფლავება მოხდება 8 მარტს, ნაშუადღევის 4 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1984

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტეხნიკოსთა I-ლი კურსის მსმენელები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ პატივცემულ

პროფესორ
სიმონ გოგიტიძის

გარდაცვალების გამო. 1—1 ნ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამა მარტის 4-ს, 4 ნახ. საათზე, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა დაუვიწყარი

პროფ. სიმონ კონსტანტინეს ძე
გოგიტიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 8 მარტს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1983

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტობა დიდი მწუხარებით აცხადებს, რომ 4 მარტს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი მასწავლებელი და დაუფასებელი ხელმძღვანელი ბავშთა სნეულებათა კლინიკის დირექტორი პროფესორი

სიმონ კონსტანტინეს ძე
გოგიტიძე

გამოსვენება მოხდება უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან, მელიქიშვილის ქუჩა, ა | წ. 8 მარტს, სამშაბათს, დღის 4 საათზე, დასაფლავება ძველი ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1976

თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკ. მეორე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მათი ძვირფას პატივცემულ პროფესორის

სიმონ გოგიტიძის

გარდაცვალებას ნ. 782

ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა“-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის თანამშრომელის, დამსახურებული აკადემიური მოღვაწის

პროფესორ
სიმონ გოგიტიძის

გარდაცვალებას 1979

თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის მე-5-ე კურსის სტუდენტობა გლოვობს, დაუვიწყარ, ძვირფას მასწავლებელ

პროფესორ
სიმონ გოგიტიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე,—უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან—დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 1989

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მედსანშრომის პროფ-სექცია და სამკურნ. ფაკულტ. სტუდენტთა სამეცნიერო წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი მასწავლებლის

პროფ. სიმონ გოგიტიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება უნივ. მთავარ შენობიდან, სამშაბათს, 8 მარტს, ნაშუადღ. 4 საათზე, დაკრძალვა ყოფილ ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1991

ქალაქის ჯან. განყოფილების გაერთიანებული საბავშო სახლი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დედათა და ბავშთა დაცვის ქვე-განყოფილების ძვირფას და დამსახურებულ კონსულტანტის

პროფესორ სიმონ კონსტანტინეს ძე
გოგიტიძის

გარდაცვალების გამო. 1980

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებულ აკადემიურ მოღვაწის

პროფესორ სიმონ გოგიტიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან ა | წ. 8 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის ძველ სასაფლაოზე. 1985

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები: დავით გრიგოლის ძე და ქეთევან გიორგის ასული ბოკერიები, ბებია ნინო პაატაშვილისა, ბიძები პოლიკარპე, ვარლამ და ევგენი გრიგოლის ძე ბოკერიები და ვანო პაატაშვილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ 7 ამა მარტს დილის 4 საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობისაგან უდროოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი

პატარა რობერტი

რომლის გამოსვენება საკუთარ ბინიდან არგუტინსკის ქ. № 19 და დაკრძალვა ვერის სასაფლაოზედ, დანიშნულია დღეს, 8 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. 1986

გულდათუთქულნი დები: ეტია და მარო, სიძე ერმილე სიხარულიძე, რძალი ბარბალე შვილებით ალფეზიკო და გივით, დისშვილები ლეონიდე სიხარულიძე და მიხაკო, ცოლით მარო და შვილები: ნინო, თამარი, ქეთო, ანტონ, არჩილი და ზურაბი ქანუყვაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა | წ. 4 მარტს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი

სიმონ კონსტანტინეს ძე
გოგიტიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ა | წ. 8 მარტს სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ნიკოლოზის ძველ სასაფლაოზე. ცხედარის გამოსვენება უნივერსიტეტის შენობიდან. 1994

გერმანე იოსების ძე გოგიტიძე აუწყებს თავის ბიძის, დაუფასებელი მეგობრის და ოჯახის სიამაყის

პროფესორ სიმონ კონსტანტინეს ძე
გოგიტიძის

უდროოთ გარდაცვალებას. 1975

სახელმწიფო დრამა

3—1 ნ. 789

დღეს, 8 მარტს, ბილ-ბელოცერკოვსკის **საჭე მარცხნივ!**
თარგმანი: ს. ჩიქოვანის.
პიესა 4 მოქ. 15 სურათი მუსიკა: პ. იპოლიტოვის.
დადგმა: ალ. ახმეტელისა. კონსტრუქ. და კოსტ. ირ. გამრეკელის

ხუთშაბათს, 10 მარტს, ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

ნ. 783

დღეს, ს. ი. მიგაის გასტროლი **ევგენი ონეგინ**
ბოკოვას, ვოლჩანეცკაიას, მაყაშვილის, კანსბურგის, შარაშიძის მონაწილეობით.
დირიჟორი მელიქ-ფაშაევი

ოთხშაბათს, 9 მარტს, პირველ აბონიმენტის მეცხრე წარმოდგენა
პიკის ქალი (ჰუგენოტების მაგიერ)

ხუთშაბათს, 10 მარტს, ს. ი. მიგაის გასტროლი **დემონ**

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 11 მარტს, ე. ა. სტეპანოვას & ს. ი. მიგაის გასტროლი პრემიერა **სნეგუროჩკა**
სნეგუროჩკა—სტეპანოვა, მაზგირ—მიგაი

სამშაბათს, 15 მარტს, ს. ი. მიგაის გასტროლი **ევგენი ონეგინ**

ხუთშაბათს, 17 მარტს, ე. ა. სტეპანოვას & ს. ი. მიგაის გასტროლი **რიგოლეტო** ჯილდა—სტეპანოვა, რიგოლეტო—მიგაი

შაბათს, სტეპანოვას და მიგაის გასტროლი
ტრავიატა ნ. 784

აპოლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—5 ნ. 748

დღეს და ყოველდღიურათ
საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
„თავადის ასული მერი“
ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ ციკლიდან
დადგმა ვ. ვ. ბარსკის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი.

პირველად თბილისში
„სისხლის მსმელი ჰერცოგი“
ისტორიული კინო-რომანი. მთავარ როლში პაულ ვეგენერ

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—2 ნ. 786

ს.ს.ს. რესპ.-დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 8 და ოთხშაბათს, 9 მარტს
დიდი სანახაობანი მონაწილეობს ყველა ძალები 3 განყ. ჭიდაობის ჩემპიონატი გრძელდება. ჩამოვიდა, გამოვა და იჭიდავებს ცნობილი მსოფლიო ჩემპიონი **კლემენტი ბულ** თბილის საყვარელი მოჭიდავე

სამშაბათი, 3 წყვილი
ქ. ბულ—მაისურაძე
იაუნზე—შულც გადამწყვ.
ერტნერ—ლეში
დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

ოთხშაბათი, 3 წყვილი
ვანდეიკ ქ. ბულ
(ყ. ნიღაბი) გერკულეს
გადამწყვ. ერტნერ—ნიდ. ფენომენ
კრილოვი—მაისურაძე

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტაძე.

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომელიდაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინაამდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

3—1 **მთავარი კანტორა**

წყნეთის რაიონში
მსურს ვიქირაო ორი
სუფთა, მზიანი
ოთახი
თავის სამზარეულოთი
(ძირითა სართული არ გამოდგება)
მისამართი: პუშკინის ქუჩა, „სასახლის სასტუმრო“ ოთახი 21
ილიკო ქურხულს.

დაკარგა პირადობის მოწმობა დარეგისტრაციის ქაღალდი ვანო კონსტანტინეს-ძე კაკალოვის სახელზე, ჩ. გ. 9921

დღეს და ყოველდღე კინო-თეატრებში აპოლო არფასტო სოლეი

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

თავადის ასული მერი

ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ ციკლიდან

დადგმა—ვ.ვ. ბარსკის
ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი

მთავარ როლებში:
თ. ბოლქვაძე,
ბ. ბელეცკაია,
ნ. პროზოროვსკი,
ზ. დავითაშვილი,
ა. თაყაიშვილი.

თბ. მუშ. თეატრი (ყოფ. სახალხო სახლი)

დღეს, 8 მარტს,
რაც მინახავს ვეღარ ნახავ
კომედია 4 სურათად ა. ცაგარელის.
ტექსტი გადმოკეთებულია ნ. ჩაჩავას მიერ.
მე-2 მოქ. კინო სურათი „ბატონის პასუხი“
დადგმა მ. ქიაურელის. 1988

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ქიაურში მოაწყო. ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—10

დაკარგა სახალხო კვების კავშირის წიგნაკი № 176, მოწმობა აღმასკომის I-ლი საბჭოთა სახლის გამგის მიერ მოცემული № 178, მანდატი № 179, მოწმობა № 422 გაცემული 7 თებ. 1926 წ. ამიერ-კავკასიის რკინის-გზის საგანგებო კომისიის მიერ აქციზენი დავითის-ძე კუპარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1982

დაკარგა პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ბიძინა ილიას-ძე ჯაშის სახელზე, ჩ. გ. 1980

დაკარგა შრ. სკ. გათავების მოწმობა № 113 ნინო მათეს ასული გორგაძეს სახელზე, ჩ. გ. 1978

დაკარგა სამხედრო სამობილიზაციო პირადი მოწმობა და მუშკოოპის წიგნაკი № 3704—მ. გაზაევის სახელზე, ჩ. გ. 1981

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 472, ვასილი ჟღენტის სახელზე, ჩ. გ. 1974

დაკარგა „იპის“ საწევრო წიგნაკი № 15503 ვასო ჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1977

დაკარგა დროებითი მოწმობა, თამარა ლავრენტის ასული ვანიძის სახელზე, გაცემული გან. ჰუმ. კავშირის მიერ, ჩ. გ. 1972

დაკარგა პასპორტი შაბათა მენაშეს-ძე ჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1993

დაკარგა მე-3 ხარისხის სავაჭრო მოწმობა, გაცემული სიღნაღის ხ ზინიდან № 176, ანა გეურქას ასული გოძელაურის სახელზე, ჩ. გ. ნ. 787

დაკარგა შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირის წიგნაკი № 1425 ივანე ადამოვის სახელზე, ჩ. გ. 1972

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, თარმა № 4, მასწავლებელ გრიგოლ ისიდორეს-ძე შონიას სახელზე, ჩ. გ. 1970

დაკარგა აღმშენებელთა პ | კავშირის წიგნაკი № 14 10943, სამხედრო ბუსხა № 188, პირადობის მოწმობა № 211, ეგვეთ რემანოზის-ძე შანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 790

დაკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი დიმიტრი ლომთაძის სახელზე, ჩ. გ.

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.